

არჩევნებზე დაკვირვების სახელმძღვანელო

მესუთე გამოცემა

არჩევნებზე დაკვირვების სახელმძღვანელო გამოქვეყნებულ იქნა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) მიერ 2005 წელს. პუბლიკაციის ქართულ ენაზე თარგმნა და გამოქვეყნება განხორციელდა საქართველოში ეუთოს მისიის ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით.

არქივნი დაკვირვების სახელმძღვანელო

მესამე გამოცემა



სარჩევანი

წინასიტყვაობა	7
1. შესავალი	11
2. ზოგადი ხასიათის ცნობები არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვების შესახებ	15
3. არჩევნებისა და ადამიანის უფლებათა უნივერსალური პრინციპები	21
4. არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვების პრაქტიკული სქემა	29
5. არჩევნებზე დაკვირვებისთვის მზადება: სიტუაციის შეფასების მისია	33
6. ეუთო/„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნებზე დაკვირვების მისიის სტრუქტურა	35
7. წინასაარჩევნო პერიოდზე დაკვირვება	49
8. დაკვირვების წარმოება არჩევნების დღეს	69
9. ხმების დათვლაზე დაკვირვება	83
10. ანგარიშების წარდგენა, გამოკითხვა და განცხადებები	89
11. დაკვირვება არჩევნების შემდეგ	93
12. ეუთო/„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნებზე დაკვირვების მისიის დახურვა	97
13. პარტნიორობა	99
14. დასკვნითი ანგარიში	101
15. შემდგომი ღონისძიებანი	103
დანართი A: ეუთო-ს დოკუმენტები	106
დანართი B: არჩევნების დღის საკონტროლო ანკეტა — ეუთო/„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ მოდელი	111
დანართი C: არჩევნებთან დაკავშირებული გამოცემები	114



წინასიტყვაობა

ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეშთო) 55 მონაწილე სახელმწიფოსაგან შემდგარი ტრანსატლანტიკური სამთავრობათშორისო ორგანიზაციაა, რომელიც მოიცავს ევროპის ვრცელ რეგიონს (სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ჩათვლით) და რომელშიც კანადა და ამერიკის შეერთებული შტატებიც შედის. ამდენად, ეშთო მოიცავს მთლიან რეგიონს, რომელიც ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე გადაჭიმულია.

თავის რეგიონში ეშთო ადრეული გაფრთხილების, კონფლიქტების თავიდან აცილების, კრიზისების მართვისა და კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაციის უმთავრესი ინსტრუმენტია. უსაფრთხოებისადმი მისი მიდგომა თანამშრომლობას ეფუძნება; მისი გადაწყვეტილებები მიიღება კონსენსუსის საფუძველზე და მათ პოლიტიკურად სავალდებულო ხასიათი აქვთ 55 მონაწილე სახელმწიფოსათვის.

1975 წელს ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის (ეშთკ) სახით თავისი დაარსებიდან, ეშთო-ს უსაფრთხოების ყოვლისმომცველი ხედვა ახასიათებს. უსაფრთხოების **ადამიანური განზომილება** — ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და მხარდაჭერა, ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტებისთვისა და კანონის უზენაესობისთვის ხელის შეწყობა – მშვიდობისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად ისევე მნიშვნელოვნად ითვლება, როგორც პოლიტიკურ-სამხედრო ან ეკონომიკური განზომილებანი. ეშთო-ს მონაწილე ყველა სახელმწიფო ერთგულია დემოკრატიული პრინციპების მხარდაჭერისა და ადამიანის უფლებათა ფართო სპექტრის დაცვისა, მათ შორის პერიოდული და ჭეშმარიტი არჩევნებისა.

ეშთო-ს მონაწილე ყველა სახელმწიფო ეთანხმება აზრს, რომ ადამიანური განზომილების საკითხები არ არის საშინაო საქმე, არამედ ყველა სხვა მონაწილე სახელმწიფოს უშუალო და კანონიერი ინტერესის საგანს წარმოადგენს. 1996 წლის ლისაბონის სამიტის დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ: „ადამიანური განზომილებები მწვავე პრობლემათა შორის, ადამიანის უფლებათა ჯერაც არსებული დარღვევები,



როგორცაა ... არჩევნების გაყალბება ... კვლავაც საფრთხეს უქმნის სტაბილურობას ეშტო-ს რეგიონში“. გარდა ამისა, ეშტო-ს მონაწილე სახელმწიფოებმა განაცხადეს, რომ ისინი „მოწადინებულნი არიან, განაგრძონ ამ პრობლემათა მოგვარების მცდელობანი“.

ვარშავაში ბაზირებული „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“ ეშტო-ს ადამიანური განზომილების საკითხებით დაკავებული მთავარი დაწესებულებაა. „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ ადამიანური განზომილებისეული მანდატის ძირითადი ელემენტია დემოკრატიული არჩევნებისათვის ხელის შეწყობა. ამ მიზნით ოფისმა შეიმუშავა არჩევნებთან დაკავშირებული მთელი რიგი პროგრამებისა, რომელთაგანაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია არჩევნებზე დაკვირვება საერთაშორისო დამკვირვებელთა მიერ. 1991 წელს „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ დაარსების შემდეგ, იგი რეგიონში არჩევნებზე დამკვირვებელი მთავარი ორგანიზაცია გახდა. ოფისის არჩევნებთან დაკავშირებულ საქმიანობას მხარს უჭერს და აძლიერებს სხვა პროგრამათა ფართო სექტორი, რომლებიც გამიზნულია ადამიანის უფლებათა დასაცავად. დემოკრატიული ინსტიტუტების გასაძლიერებლად, კანონის უზენაესობის პრინციპის პატივსაცემად და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის ხელშესაწყობად ყველა მონაწილე სახელმწიფოში.

„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ **არჩევნებზე დაკვირვების სახელმძღვანელო ეშტო-ს მონაწილე სახელმწიფოთა თხოვნით** შეიქმნა¹ და მისი პირველი გამოცემა 1996 წელს გამოვიდა. ჩაფიქრებული, უპირველეს და უწინარეს ყოვლისა, როგორც საინსტრუქციო საშუალება „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნებზე დაკვირვების მისიათა ქცევისათვის, მოცემულ სახელმძღვანელოში აღწერილი მეთოდოლოგია შეესაბამება არჩევნებზე დამკვირვებელთა საერთაშორისო საზოგადოებრიობის ძალისხმევას, გააკეთონ საარჩევნო პროცესების თანამიმდევრული და ამომწურავი შეფასება. ეს მეთოდოლოგია უკვე საკმაო ხნის განმავლობაში კარგად ემსახურება ეშტო-ს და მან მტკიცე საფუძველი ჩაუყარა „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“, როგორც არჩევნებზე დაკვირვების დარგის ლიდერის, რეპუტაციას.²

წინამდებარე მეხუთე გამოცემა უახლესი მონაცემებით განახლდა და განიერცო მეთოდოლოგიის ახალ ვითარებასთან ადაპტირების მიზნით, იგი აგრეთვე ასახავს ამ ბოლო წლების განმავლობაში დაგროვებულ ახალ გამოცდილებას. მე გულითადად ვუწვევ მას რეკომენდაციას როგორც სავალდებულო საკითხავ მასალას არა

¹ ბუდაპეშტის სამიტის დეკლარაცია, 1994.

² „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ მეთოდოლოგია მიღებული და ადაპტირებული იქნა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერაც არჩევნებზე დაკვირვებასთან დაკავშირებული მათი შესაბამისი მოღვაწეობისათვის. მაგალითად, ევროპის კავშირი სახელმძღვანელოში *Handbook for European Union Election Observation Missions* აცხადებს, რომ მისი საკუთარი მეთოდოლოგიური მიდგომა არჩევნებზე დაკვირვებისადმი „განსაკუთრებით გაამდიდრა ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის გამოცდილებამ და არჩევნებზე დაკვირვების მისეულმა მეთოდოლოგიამ, რომლის არსიც გადმოცემულია ეშტო/„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნებზე დაკვირვების სახელმძღვანელოში“.



მარტო ყველა ჩვენი არჩევნებზე დამკვირვებლისათვის, არამედ აგრეთვე საარჩევნო პროცესებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებრიობისათვის.

ჩვენს სხვა გამოცემებთან ერთად, მოცემული სახელმძღვანელო, დემოკრატიულ პროცესებთან მიმართებაში საერთაშორისო საზოგადოებრიობის უმნიშვნელოვანეს მიღწევებსა და ორიენტირებს ასახავს. „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ ყველა გამოცემის ნახვა შესაძლებელია ჩვენს ვებ-გვერდზე (www.osce.org/odihr) და მათი გამოყენება უფასოა.

დასასრულ, მინდა მაღლობა მოგახსენო ათასობით დამკვირვებელს, რომლებმაც თავიანთი დრო და ენერგია არ დაიშურეს არჩევნებზე ჩვენს მიერ განხორციელებულ დაკვირვებათა გასაძლიერებლად. მათს თავდადებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ძალისხმევისათვის.

ელენი კრისტიან სტროჰალი,
„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და
ადამიანის უფლებათა ოფისის“
დირექტორი





1.

შესავალი



1.1 „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნებზე დაკვირვების სახელმძღვანელოს შესახებ

ამ სახელმძღვანელოში მოცემულია „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ სადამკვირვებლო მეთოდოლოგიის საფუძვლიანი მიმოხილვა და იგი საცნობარო და საინსტრუქციო ნაშრომს წარმოადგენს არჩევნებზე დაკვირვების მისიის ყველა წევრისათვის.³ იგი აგრეთვე ინფორმაციას აწვდის მთლიანობაში მშობიარეობის საზოგადოებრიობას, მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობების, პოლიტიკური პარტიების, კანდიდატების, ამომრჩევლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩათვლით, არჩევნებზე დაკვირვების მისიის დაგეგმვის, განთავსებისა და რეალიზაციის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ მეთოდოლოგია საფუძვლიანად არ შეცვლილა 1996 წელს ამ სახელმძღვანელოს პირველად დაბეჭდვის შემდეგ, წინამდებარე მესამე გამოცემა გამდიდრებულია დღემდე „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ მიერ 150-ზე მეტ არჩევნებზე წარმოებული დაკვირვების შედეგად დაგროვებული გამოცდილებით. მან თავის ყურადღების სფეროში მოაქცია სპეციფიკური საკითხები, განსაკუთრებით ისეთ დარგებში, როგორც არჩევნებში ქალთა მონაწილეობა და ეროვნულ უმცირესობათა ჩართვა. 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის გარდა, ეს გამოცემა ეყრდნობა აგრეთვე ყველა მონაწილე სახელმწიფოთა

³ არჩევნებზე დაკვირვების მისიების წევრთათვის განკუთვნილი უფრო დეტალური და სპეციალიზებული ინსტრუქციების ნახვა შესაძლებელია „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ მიერ მომზადებულ მთელ რიგ სხვა გამოცემაში, რომელთა რიცხვშიც შედის: *Handbook for Monitoring Women's Participation in Elections, Guidelines for Reviewing a Legal Framework for Elections, Guidelines to Assist National Minority Participation in the Electoral Process*, და *Handbook on Resolving Election Disputes in the OSCE Area: Towards a Standard Election Dispute Monitoring System*. ყველა ამ გამოცემის მიღება შეიძლება ნაბეჭდი ასლების სახით „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისისაგან“, ანდა ელექტრონული ფორმით — „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ ვებ-გვერდიდან: www.osce.org/odihr.



მიერ სხვადასხვა ფორუმებზე შეთანხმებულ არჩევნებთან დაკავშირებულ დამატებით ვალდებულებებს.⁴

სახელმძღვანელოს მეხუთე გამოცემის გამოშვება ემთხვევა ჰელსინკის დასკვნითი აქტის 30-ე წლისთავს, ისევე როგორც კოპენჰაგენის დოკუმენტისა და პარიზის ქარტიის მე-15 წლისთავს. როგორც ასეთი, იგი საზოგადოებრიობას კიდევ ერთხელ შეახსენებს ევროკავშირის, როგორც ორგანიზაციის, მიღწევებს მონაწილე სახელმწიფოებში დემოკრატიული საარჩევნო პროცესებისათვის ხელშეწყობის დარგში. მოცემული სახელმძღვანელოს პირველივე გამოცემა ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ საარჩევნო პროცესი მარტოოდენ ერთდღიანი მოვლენა არ არის, და ასახავდა „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ გაზრდილ როლს თავად არჩევნების დღემდე, მის განმავლობაში და მის შემდეგ გრძელვადიანი დაკვირვების წარმოების საქმეში (ბუდაპეშტის სამიტის დეკლარაცია, 1994).

დღეისათვის, სტამბულში (1999), პორტუში (2002), და მასტრიხტში (2003) მიღებული გადაწყვეტილებების შემდეგ, მოცემული სახელმძღვანელოს წინამდებარე მეხუთე გამოცემა აგრეთვე უკეთეს აქცენტირებას „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ მუდმივ დაინტერესებას იმით, რომ კვლავაც მოუწოდოს ევროკავშირის მონაწილე სახელმწიფოებს, განუხრებლად ასრულონ თავიანთი ვალდებულებანი და დაუყოვნებლივ გაატარონ ცხოვრებაში „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ რეკომენდაციები საარჩევნო პროცესების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ათწლიანი პერიოდის განმავლობაში, სახელმძღვანელოს პირველი გამოცემიდან მეხუთე გამოცემამდე, „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ ხაზს უსვამდა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია გრძელვადიანი დაინტერესება და პროცესზე ორიენტირებული მიდგომა, ევროკავშირის მონაწილე სახელმწიფოთა პარტნიორობით, არჩევნებთან დაკავშირებით ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების საერთო მიზნის მისაღწევად.

1.2 როგორ უნდა გამოვიყენოთ ეს სახელმძღვანელო

ეს სახელმძღვანელო ისეა აგებული, რომ მკითხველს მისთვის ყველაზე უფრო საინტერესო სპეციფიკური მასალის იოლად მოძიება გაუადვილოს. პირველ-მეოთხე თავებში განხილულია „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ მიერ არჩევნებზე დაკვირვების წარმოების საფუძველი, ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებების ჩათვლით, რომელთა მიხედვითაც ფასდება საარჩევნო პროცესები ევროკავშირის რეგიონში, და აგრეთვე დემოკრატიული არჩევნების სხვა უნივერსალური პრინციპები.⁵ განხილულია აგრეთვე არჩევნებზე დაკვირვების მისიის საქმიანობის მარეგულირებელი ბაზაც, რაშიც შედის როგორც არჩევნებზე ეფექტიანი დაკვირვების აუცილებელი პირობები, ასევე დამკვირვებელთა ქცევის კოდექსი.

⁴ ბუდაპეშტის სამიტის დეკლარაცია, 1994; ლისაბონის სამიტის დეკლარაცია, 1996; სტამბულის სამიტის დეკლარაცია, 1999; ვეროვის უსაფრთხოების ქარტია, 1999.

⁵ უნივერსალური პრინციპები ის პრინციპებია, რომლებიც ჩადებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტში. ამ და ბამრო-ს სხვა დოკუმენტების სრული ტექსტის ნახვა შეიძლება ადამიანის უფლებათა ბამრო-ს უმაღლესი კომისიის ვებ-გვერდზე, რომლის მისამართიცაა: www.ohchr.org.





დანარჩენი თავები შემდგენიად არის დაჯგუფებული: მეხუთე-მეექვსე თავები მოიცავს კონკრეტულ მზადებას არჩევნებზე დაკვირვების მისიის საქმიანობის დასაწყებად, სიტუაციის შეფასების მისიით დაწესებული და მისიის საბოლოო განთავსებით დამთავრებული, აქვე აღწერილია მისიის სტრუქტურა და ორგანიზაცია; მეშვიდე-მეცხრე თავებში დეტალურადაა აღწერილი წინასაარჩევნო პერიოდზე დაკვირვების მეთოდოლოგია, და აგრეთვე ხმის მიცემისა და დათვლის პროცედურები; მეთექვსმეტე თავებში ყურადღება გამახვილებულია არჩევნების შემდგომ პერიოდზე, უშუალოდ არჩევნების შემდეგ ანგარიშების მომზადების, არჩევნების შემდგომ მოკლენათა დაკვირვებისა და მისიის დახურვის ჩათვლით; ხოლო დასკვნით (მეცამეტე-მეთხუთმეტე) თავებში განხილულია „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ პარტნიორობა სხვა ორგანიზაციებთან, არჩევნების საბოლოო შეფასება და არჩევნების შემდგომი შესაძლო ღონისძიებანი.

დასასრულ, სახელმძღვანელო ასევე შეიცავს სამ დანართს, რომლებშიც დამატებით ინფორმაციაა წარმოდგენილი: A დანართი შეიცავს ეშთი-ს წინაშე არჩევნებთან დაკავშირებით აღებულ ყველა ძირითად ვადდებულებას, რომლებიც შესულია 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტში, და აგრეთვე მათთან დაკავშირებულ სხვა ვადდებულებებს, რომლებიც აღებულია ეშთი-ს წინაშე; B დანართში მოყვანილია კითხვარის ნიმუში, რომელსაც მოკლევადიანი დამკვირვებლები საარჩევნო უბნების მონახულებისას იყენებენ; C დანართში კი მოყვანილია „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ მიერ მომზადებული არჩევნებთან დაკავშირებული გამოცემების ბიბლიოგრაფია.





2.

ზოგადი სასიათის ცნობები არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვების შესახებ



2.1 რისთვის არის საჭირო არჩევნებზე დაკვირვება?

როგორც დემოკრატიისადმი ერთგული ქვეყნების გაერთიანება, ეშთო მუდამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დემოკრატიული არჩევნებისათვის, როგორც სტაბილურობის დედაბოდისათვის, ხელშეწყობას. ეშთო-ს მონაწილე ყველა სახელმწიფომ ივალდებულა, მოიწვიონ საერთაშორისო დამკვირვებლები, და განსაკუთრებით „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“ (სტამბულის სამიტი, 1999), თავიანთ არჩევნებზე, იმის აღიარების ნიშნად, რომ არჩევნებზე დამკვირვებლებს მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლიათ არჩევნების პროცესისადმი ნდობის გაზრდის საქმეში. არჩევნებზე დამკვირვებელთა განთავსება წარმოადგენს დემოკრატიული პროცესისადმი თვალსაჩინო მხარდაჭერას და მას შეუძლია დაეხმაროს ეშთო-ს მონაწილე სახელმწიფოებს, მიადწვიონ თავიანთ მიზანს — ჩაატარონ ჭეშმარიტი არჩევნები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება ეშთო-ს წინაშე აღებული ვალდებულებებთან.

არჩევნები წარმოადგენს ადამიანის ძირითად უფლებათა და, უფრო კონკრეტულად, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა განდიდებას, და ამდენად არჩევნებზე დაკვირვების წარმოება ხელს უწყობს ამ უფლებათა მხარდაჭერას და დაცვას. ჭეშმარიტი არჩევნები პოლიტიკური კონკურენციაა, რომელიც მიმდინარეობს გარემოში, რომელსაც ნდობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება ახასიათებს, და რომელიც ამომრჩევლებს საშუალებას აძლევს, ინფორმირებულობაზე დაფუძნებული არჩევანი გააკეთონ მკაფიოდ გამოხატულ პოლიტიკურ ალტერნატივებს შორის. ჭეშმარიტად დემოკრატიული საარჩევნო პროცესი გულისხმობს თვითგამოხატვის თავისუფლებისა და თავისუფალი მედიისადმი პატივისცემას; გაერთიანების, შეკრების და გადადგილების თავისუფლებას; პოლიტიკური პარტიების დაარსებისა და



სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად კონკურირების უფლებას; დისკრიმინაციის არარსებობასა და თანაბარ უფლებებს ყველა მოქალაქისათვის; დაშინებისაგან თავისუფლებას; და ადამიანის სხვა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, რომელთა დაცვა და ხელშეწყობაც ნავალდებულები აქვს ქვეყნის მონაწილე ყველა სახელმწიფოს.

არჩევნებზე დაკვირვება გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას ზრდის, რითაც აძლიერებს პროცესისადმი ნდობას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. თუმცა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ მარტოოდენ საერთაშორისო დამკვირვებელთა ყოფნა ლეგიტიმურობას ან სანდოობას მატებს საარჩევნო პროცესს. მართალია, დამკვირვებელთა დასწრება შეიძლება მიუთითებდეს, რომ პროცესი დაკვირვებას იმსახურებს, მაგრამ მაინც, „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ აზრი არჩევნების შესახებ განპირობებული იქნება პროცესის თაობაზე დამკვირვებელთა დასკვნებით, რომლებიც დაეფუძება „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ მეთოდოლოგიას.

„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ საბოლოო მიზანია შეაფასოს, რამდენად შეესაბამება საარჩევნო პროცესი ვალდებულებებს, ადებულს ქვეყნის წინაშე 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის, საშინაო კანონმდებლობისა და დემოკრატიული არჩევნების სხვა უნივერსალური პრინციპების თანახმად. საშინაო კანონმდებლობა აგრეთვე ფასდება ამ ვალდებულებებთან შესაბამისობის თვალსაზრისით და არჩევნების საკანონმდებლო ბაზა სრულად უნდა ასახავდეს ამ ვალდებულებებს.

2.2 არჩევნებზე დაკვირვება კონტექსტში

არჩევნებზე დაკვირვებასთან დაკავშირებული საქმიანობის მასშტაბების გაფართოება ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში პირდაპირ არის დაკავშირებული შესაბამის მსოფლიო ტენდენციასთან დემოკრატიზაციისაკენ. ამდენად, არჩევნებზე დაკვირვება წარმოადგენს საქმიანობას, რომელიც უმთავრესად ახალი დემოკრატიებისა და დემოკრატიისაკენ გადასვლის პროცესში მყოფი ქვეყნების მხარდასაჭერად არის ხოლმე მიმართული. „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნებზე სადამკვირვებლო საქმიანობამ აჩვენა ქვეყნის მოწადინება, დაეხმაროს ქვეყნის რეგიონის ახალ და განვითარებად დემოკრატიებს მტკიცე დემოკრატიული სტრუქტურების შემქმნაში. ამავე დროს, დაკვირვება ახდენს აგრეთვე იმის შეფასებასაც, თუ რაოდენ ასრულებენ ახალი და განვითარებადი დემოკრატიები ქვეყნის წინაშე ადებულ თავიანთ ვალდებულებებს.

მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებზე დაკვირვების ყურადღების ცენტრში, უმეტეს შემთხვევაში, ახალი დემოკრატიები და გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნები იყო, საერთაშორისო ექსპერტების მიერ ჩატარებულ მიზნობრივ დაკვირვებას ან შეფასებას განვითარებული დემოკრატიებისთვისაც შეუძლია სარგებლის მოტანა. უნდა აღინიშნოს, რომ თანახმად სუვერენულ სახელმწიფოთა თანასწორობის პრინციპისა, რომელიც კელსინკიში იქნა მიღებული, 55-ვე მონაწილე სახელმწიფო ერთნაირად არის მოვალე, შეასრულოს იდენტური ვალდებულებები. ამის გათვალისწინებით, „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ განათავსა არჩევნების შეფასების მისიები (იხ. ნაწილი 2.4.2) აგრეთვე ხანგრძლივი ან მყარად





დამკვიდრებული დემოკრატიული ტრადიციების მქონე ქვეყნებში, საარჩევნო მეთოდების შეფასებისა და, თუ აუცილებელი იქნა, გაუმჯობესებათა შეტანის რეკომენდების მიზნით.

არჩევნებზე დაკვირვება სამოქალაქო საქმიანობაა. მაგრამ არჩევნებზე დაკვირვების ჩატარება შესაძლებელია კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებშიც, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მოხერხდება, შეიქმნას სათანადო უსაფრთხო გარემო, რომელშიც დამკვირვებლებსა და საარჩევნო ექსპერტებს მუშაობა შეეძლებათ და ასეთივე უსაფრთხო გარემო შინაარსიანი და სერიოზული საარჩევნო პროცესის ჩასატარებლად. თუმცა, არჩევნებზე დაკვირვებას, არსებითად, ღირებულება ეკარგება, თუკი იგი ტარდება უსაფრთხოების მკაცრი ზომების დაცვით, მათ შორის შეიარაღებული დაცვის ქვეშ.

2.3 „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ მანდატი არჩევნებზე დაკვირვების წარმოებაზე

„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ მანდატი, აწრმოოს დაკვირვება არჩევნებზე, წარმოდგება 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის მე-8 მუხლიდან, და დადასტურებულია 1990 წლის ახალი ევროპის შესახებ პარიზის ქარტიით, ეშთპ-ის საბჭოს მეოთხე სხდომის დოკუმენტით (რომი), 1994 წლის ბუდაპეშტის სამიტის დოკუმენტითა და 1999 წლის სტამბულის დოკუმენტით (ევროპის უსაფრთხოების ქარტიით).

„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ თავდაპირველად დაარსდა როგორც თავისუფალი არჩევნების ოფისი, რაც ეშთპ-ის წინამორბედი ორგანიზაციის, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის, 1990 წლის პარიზის სამიტის გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდა. ოფისის თავდაპირველი მანდატი ითვალისწინებდა ეშთპ-ის წინაშე აღებული ვალდებულებების რეალიზაციისათვის ხელის შეწყობას კონკრეტულად დემოკრატიულ არჩევნებთან დაკავშირებით. არჩევნებზე დაკვირვებასთან დაკავშირებულ მცირემასშტაბიან საქმიანობას მან თავისი დაარსებიდან ცოტაოდენი ხნის შემდეგ მოჰკიდა ხელი.

ოფისს სახელი შეეცვალა და „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“ ეწოდა 1992 წელს, როდესაც მას დამატებითი მოვალეობები დაეკისრა ადამიანური განზომილების სხვა ელემენტებთან მიმართებაში. 1993 წელს ეშთპ-ის საბჭომ, რომელიც რომში მართავდა სხდომას, გადაწყვიტა, გაეზარდა „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ როლი არჩევნების ყოვლისმომცველი მონიტორინგით.⁶ მომდევნო წელს, იმის აღიარების ნიშნად, რომ საარჩევნო პროცესი მარტოდენ ერთდღიანი მოვლენა არ არის, ბუდაპეშტის სამიტმა გადაწყვიტა, რომ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისს „გაზრდილი როლი უნდა ეთამაშა არჩევნების მონიტორინგში არჩევნებამდე,

⁶ ეუთო-ის საბჭოს მეოთხე სხდომის დოკუმენტი, რომი 1993, გადაწყვეტილებები, თავი IV, პუნქტი 4 მოცემულ სახელმძღვანელოში მოხსენიებული ეს და ეშთპ-ის სხვა დოკუმენტები შეიძლება ინახოს ეშთპ-ის ვებ-გვერდზე, მისამართით www.osce.org. ეშთპ-ის წინაშე ადამიანის უფლებათა მათ შორის არჩევნების სფეროში ნაკისრ ვალდებულებათა კრებული შეიძლება ინახოს OSCE Human Dimension Commitments, მეორე გამოცემაში (ვარშავა, ეშთპ/„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“, 2005). ამ კრებულის ნახვა შეიძლება აგრეთვე „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ ვებ-გვერდზე, მისამართით www.osce.org/odihr.





არჩევნების მსვლელობაში და არჩევნების შემდეგ⁷. ბუდაპეშტის სამიტმა აგრეთვე კონკრეტულად დაავალა „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისს“ არჩევნებთან დაკავშირებით მედიის თავისუფალი და დამოუკიდებელი ფუნქციონირების პირობების შეფასება.

ევროპის უსაფრთხოების ქარტიაში, რომელიც ეშთო-ს 1999 წლის სტამბულის სამიტზე იქნა მიღებული, მონაწილე სახელმწიფოებმა აიღეს კონკრეტული ვალდებულება, მიეწვიათ „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“ მათს არჩევნებზე დაკვირვების საწარმოებლად. იმავე დოკუმენტში აღიარებდნენ რა, რომ არჩევნებზე დაკვირვება თვითმიზანი არ არის, არამედ საარჩევნო მეთოდის გაუმჯობესების მისაღწევადაა განკუთვნილი, მონაწილე სახელმწიფოებმა დაუმატეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ვალდებულება: „ჩვენ თანახმანი ვართ, დაუყოვნებლივ გავატაროთ შემდგომი ღონისძიებანი „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ მიერ გამოთქმულ არჩევნების შეფასებასთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით“⁸.

2.4 როდის უნდა ჩატარდეს დაკვირვება

1994 წლის ბუდაპეშტის სამიტმა „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისს“ დაავალა „მომავალი არჩევნებისთვის მუდმივი კალენდრის შედგენა“⁹. ეშთო-ს მონაწილე ყველა სახელმწიფოს ეთხოვა, ეცნობებინათ „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისისთვის“ თავიანთი მომავალი არჩევნების შესახებ და დროულად გაეგზავნათ „ოფისისთვის“ ოფიციალური მიწვევა, სასურველია არანაკლებ სამი თვით ადრე არჩევნების დღემდე. თუმცა, ყოველწლიურად ეშთო-ს რეგიონში ეროვნულ დონეზე და უფრო დაბალ დონეებზეც მრავალი არჩევნები ტარდება და „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა“ ხელთარსებული რესურსების გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს, რომელ არჩევნებზე დაკვირვებას მიანიჭოს პრიორიტეტი.

„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნებზე დაკვირვებასთან დაკავშირებული საქმიანობა ფინანსდება ეშთო-ს ძირითადი ბიუჯეტიდან, რომელიც ეშთო-ს მონაწილე სახელმწიფოთა შორის თანხმდება კონსენსუსის საფუძველზე. ეს რესურსების გულდასმით განაწილების აუცილებლობას გულისხმობს და „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“ დაკვირვებასთან დაკავშირებულ პოტენციურ საქმიანობას დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ხელშეწყობაზე ოპტიმალური ზემოქმედების გათვალისწინებით განიხილავს. ამდენად, არჩევნებზე დაკვირვება ახალ ან განვითარებად დემოკრატიებში პრიორიტეტად რჩება, ვინაიდან ამგვარი სახელმწიფოებისთვის არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვებასა და შემდგომ რეკომენდაციებს, ჩვეულებრივ, ყველაზე მეტი სარგებელი მოაქვს ხოლმე.

⁷ ბუდაპეშტის დასკვნითი დოკუმენტი, გადაწყვეტილებები, თავი VIII, პუნქტი 12.

⁸ ევროპის უსაფრთხოების ქარტია, სტამბული, პუნქტი 25.

⁹ ეს კალენდარი შეიძლება ინახოს „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ ვებ-გვერდზე, მისამართით www.osce.org/odihr.





როგორც წესი, „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ ყურადღება ძირითად კონცენტრირებულია ხოლმე ეროვნულ დონეზე სახელმწიფო ორგანოთა პირდაპირ არჩევნებზე. თუმცა, ამ ბოლო წლებში, 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის მე-8 პუნქტის თანახმად, „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა“ დაკვირვება აწარმოვა მუნიციპალური და რეგიონალური დონის არჩევნებზეც. დაკვირვება ჩატარდა რეფერენდუმების შეხედულებულ რაოდენობაზეც.

ზოგიერთ შემთხვევაში, „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა“ შეიძლება გადაწყვიტოს, არ ჩაატაროს დაკვირვება ამა თუ იმ არჩევნებზე, იმის გამო, რომ: წინასწარი შეფასება აჩვენებს, რომ შესაბამის მონაწილე სახელმწიფოს უკვე ჩატარებია ემპირიის წინაშე აღებულ ვალდებულებათა შესაბამისი არჩევნები; სახეზე არ არის სამართლებრივი ბაზა ან საერთო პირობები ემპირიის წინაშე აღებულ ვალდებულებათა შესაბამისი ჭეშმარიტი დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად; ანდა იმის გამო, რომ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ფაქტორები ან სხვა მოსაზრებები ვერ იძლევა აუცილებელი მინიმალური პირობების გარანტიას არჩევნებზე ეფექტიანი დაკვირვების საწარმოებლად.

2.5 „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ სადამკვირვებლო მეთოდოლოგიის ადაპტაცია

„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ სტანდარტული სადამკვირვებლო მეთოდოლოგია მოყვანილია ამ სახელმძღვანელოს მეექვსე-მეთხუთმეტე თავებში. მაგრამ, არჩევნებზე დაკვირვების სტანდარტული მისიების შემთხვევათა გარდა, „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა“ მოხდინა არჩევნებზე დაკვირვების თავისი მეთოდოლოგიის ადაპტაცია მთელ რიგ იმ სპეციფიკურ გარემოებებზე სათანადოდ რეაგირების მიზნით, რომლებიც არჩევნებზე დაკვირვების კონტექსტში წარმოიქმნება ხოლმე. ეს ადაპტაციები მოკლედ მომდევნო ნაწილებშია დახასიათებული.

2.5.1. არჩევნებზე დაკვირვების მისიები მოკლევადიანი დამკვირვებლების გარეშე

არჩევნებზე დაკვირვების ზოგიერთი მისია მხოლოდ გრძელვადიანი პერსონალისაგან შედგება, არჩევნების დღეს მოკლევადიანი დამკვირვებლების ყოფნის გარეშე. ეს იმ ქვეყნებში ხდება ხოლმე, სადაც წარსულის გამოცდილება ან სიტუაციის შეფასების მისია (იხ. მე-5 თავი) მიუთითებს, რომ სერიოზული პრობლემები არჩევნების დღეს მოსალოდნელი არ არის საარჩევნო უბნის დონეზე, მაგრამ გრძელვადიან პროცესზე დაკვირვებას შედეგად სასარგებლო რეკომენდაციები შეიძლება მოჰყვეს. ალტერნატივის სახით, მისიამ შეიძლება არ განათავსოს მოკლევადიანი დამკვირვებლები, თუკი თავიდანვე ნათელია, ანდა საარჩევნო პროცესის მსვლელობაში ხდება ნათელი, რომ არ შექმნილა პირობები სრულფასოვანი კენჭისყრის დღისათვის.

2.5.2 არჩევნების შეფასების მისიები

„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ მიერ მისი მანდატის შესასრულებლად გამოჩენილი კიდევ ერთი ინიციატივაა არჩევნების შეფასების მისიათა შექმნა. შეფასების მისია, ჩვეულებრივ, განთავსდება ხოლმე არჩევნების შესაფასებლად ხანგრძლივი ისტორიის მქონე ან შედარებით მყარად დამკვიდრებულ დემოკრატიებში და მისი საქმიანობის ძირითად საგანს სპეციფიკური



საკითხები და საუკეთესო პრაქტიკის რეალიზაცია წარმოადგენს. ვინაიდან მყარად დამკვიდრებულ დემოკრატიებს, ჩვეულებრივ, აქვთ ხოლმე კარგად აპრობირებული საარჩევნო პრაქტიკა, რომელიც მათი ელექტორატის საყოველთაო ნდობით სარგებლობს, და აგრეთვე თავისუფალი და ძლიერი მედია, რომელიც ავლენს არჩევნების ნაკლოვანებებს საჯაროდ მათ განსახილველად, ამდენად, შეფასების აღნიშნულ მისიებს შეუძლიათ თავის ძირითად მიზნებს მიაღწიონ მინიმალური ხარჯებით, არჩევნების დღეს მომუშავე დამკვირვებელთა გრძელვადიანი დასწრების ან სისტემატური განთავსების გარეშეც.

შეფასების მისია, როგორც წესი, შედგება ექსპერტთა გუნდისაგან, რომლებიც ქვეყანას შედარებით მოკლე ვადით ეწვევიან ხოლმე არჩევნებამდე ან არჩევნების დღეს. შეფასების მისია არა ცდილობს საარჩევნო პროცესის ისეთსავე ამომწურავ კომენტირებას, როგორც ამას დაკვირვების მისია აკეთებს, და მას არჩევნების დღეს მხოლოდ შეზღუდული დასწრება აქვს საარჩევნო უბნის დონეზე. მაგრამ შეფასების მისიას შესაძლებლობა აქვს განიხილოს არჩევნების ჩატარების საერთო ადმინისტრაციულ და სამართლებრივ ბაზასთან დაკავშირებული საკითხები, საკითხები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს არჩევნებზე როგორც სახელმწიფო, ასევე რეგიონალურ დონეზე და, ფრიად შეზღუდული მასშტაბით, საარჩევნო უბნის პროცედურები. რეკომენდაციები გამოითქმის აუცილებლობისდა მიხედვით.

2.5.3 საექსპერტო მხარდაჭერის გუნდები

ისეთ შემთხვევებში, როდესაც „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“ არ აწარმოებს დაკვირვებას კონკრეტულ არჩევნებზე, მას შეუძლია გაგზავნოს ცალკეული ექსპერტი ან ექსპერტთა მცირე გუნდი ეშორს-ს შესაბამისი საველე მისიისათვის დახმარების აღმოსაჩენად, სადაც კი ეს შესაძლებელი იქნება. მათი როლი მდგომარეობს უშუალო დასწრებაში არჩევნებამდე, არჩევნების განმავლობაში და არჩევნების შემდეგ და მისიის უნარის გაზრდაში, მიაწოდოს ანგარიში არჩევნების შესახებ ანგარიშების მიწოდების თავისი სტანდარტული არხების მეშვეობით. საექსპერტო მხარდაჭერის გუნდები ყველაზე უფრო ხშირად განთავსდება ხოლმე მუნიციპალური არჩევნების ან რეფერენდუმების შემთხვევაში, რომელთა დაკვირვებაც უფრო ფართო მასშტაბით „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისს“ განზრახული არა აქვს.

3.

არჩევნებისა და ადამიანის უფლებათა უნივერსალური პრინციპები



ევროპის მონაწილე ქვეყნის სახელმწიფო შეთანხმდა, რომ „ხალხის ნება, თავისუფლად და სამართლიანად გამოხატული პერიოდული და ჭეშმარიტი არჩევნების მეშვეობით, მთავრობის ძალაუფლებისა და ლეგიტიმურობის საფუძველია“. მაშასადამე, ჭეშმარიტი არჩევნები ადამიანის ძირითად უფლებასა და დემოკრატიის ფუნდამენტურ ელემენტს წარმოადგენს. „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნებზე დაკვირვების მისიები აფასებენ საარჩევნო პროცესების შესაბამისობას ევროპის წინაშე აღებული ვალდებულებებთან და დემოკრატიული არჩევნების უნივერსალურ პრინციპებთან. მაგალითად, თუ სახელმწიფოები წარმოადგენენ ადამიანის უფლებათა შესახებ ბაშარ(ო)-ს ხელშეკრულებების, ან არჩევნებთან დაკავშირებული სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების (მაგალითად, ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენციის) მხარეებს, მათი ერთგულება ამ პრინციპებისადმი აგრეთვე იქნება მიღებული მხედველობაში.

3.1 უნივერსალური პრინციპები

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ, რომელიც მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ, დაადგინა ჭეშმარიტი არჩევნების უნივერსალური უფლება. „საყოველთაო დეკლარაციის“ 21-ე მუხლში ნათქვამია, რომ „ყველას აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს თავისი ქვეყნის მართვაში, უშუალოდ, ან თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით“. იგივე მუხლი აგრეთვე ადგენს, რომ თავისუფალი არჩევნები მთავრობის ძალაუფლების ერთადერთი საფუძველია: „ხალხის ნება მთავრობის ძალაუფლების საფუძველია; ეს ნება გამოხატული უნდა იყოს პერიოდული და ჭეშმარიტი არჩევნების მეშვეობით, რომლებიც უნდა ეფუძნებოდეს საყოველთაო და თანასწორ ხმის უფლებას და უნდა ჩატარდეს ფარული კენჭისყრით, ან ხმის მიცემის ეკვივალენტური თავისუფალი პროცედურების გამოყენებით“.



გარდა 21-ე მუხლისა, რომელიც კონკრეტულად არჩვენებს ეხება, „საყოველთაო დეკლარაციაში“ ფორმულირებულია საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებულ უფლებათა მთელი რიგი, თვითგამოხატვის, გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლებათა ჩათვლით.

„საყოველთაო დეკლარაციაში“ ჩამოყალიბებული უფლებები კვლავ იქნა მოხსენიებული და განივრცო „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტში“ – ბამრ(ო)-ს ხელშეკრულებაში ადამიანის უფლებათა შესახებ, რომელიც რატიფიცირებულია ეუთო(ო)-ს მონაწილე თითქმის ყველა სახელმწიფოს მიერ. როგორც ხელშეკრულება, „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი“ სამართლებრივ ვალდებულებას აკისრებს სახელმწიფოებს, დაემორჩილონ მის დებულებებს. „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის“ 25-ე მუხლი ყველა მოქალაქეს, დისკრიმინაციის გარეშე, ანიჭებს ხმის მიცემისა და სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად კონკურირების უფლებას. „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტში“ აგრეთვე კოდიფიცირებული და განვრცობილია „საყოველთაო დეკლარაციაში“ ჩადებული მრავალი სხვა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლება.

ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ბამრ(ო)-ს სხვა აქტები შეიცავს კონკრეტულ დებულებებს საარჩევნო უფლებათა შესახებ, ისევე როგორც ადამიანის იმ სხვა უფლებათა შესახებ, რომლებიც კავშირში შეიძლება იყოს არჩევნებთან. მაგალითად, „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის“ მე-5 მუხლი ყველა ადამიანისათვის, განსხვავებისა თუ დისკრიმინაციის გარეშე, უზრუნველყოფს „პოლიტიკურ უფლებებს, განსაკუთრებით უფლებას, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში – ხმა მისცეს და კენჭი იყაროს არჩევნებში...“. „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია“ მე-7 მუხლში უზრუნველყოფს ქალთა უფლებას, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ ცხოვრებასა და არჩევნებში მამაკაცებთან თანაბარ პირობებში. ეუთო(ო)-ს მონაწილე პრაქტიკულად ყველა სახელმწიფომ მოახდინა „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციისა“ და „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის“ რატიფიკაცია და ამ კონვენციითა დებულებები მათთვის სავალდებულო ძალის მქონეა. იძულებით გადაადგილების შესახებ ბამრ(ო)-ს სახელმძღვანელო პრინციპები ადგენს, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებს იგივე უფლებები აქვთ, როგორც ყველა სხვა მოქალაქეებს, განსაკუთრებით ხმის მიცემისა და სამთავრობო და სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის უფლების ჩათვლით.

3.2 ეუთო(ო)-ს წინაშე აღებული ვალდებულებანი

ეუთო(ო)-ს მონაწილე სახელმწიფოებმა ივალდებულეს, შეესრულებინათ დემოკრატიული მმართველობისა და ადამიანის უფლებათა მხარდაჭერის, დაცვისა და ხელშეწყობის სტანდარტების ფართო სპექტრი.¹⁰ კონკრეტულად არჩევნებთან დაკავშირებულ ძირითად ვალდებულებათა უმეტესობა შესულია 1990 წლის კომპანაგენის დოკუმენტის მეექვსე-მერვე პუნქტებში, თუმცა იქ არის აგრეთვე შესაბამისი ვალდებულებანი, რომლებიც შეეხება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების, კანონის უზენაესობის საკითხებისა და დისკრიმინაციაზე უარის თქმასთან დაკავშირებული დებულებების

¹⁰ იხ. OSCE Human Dimension Commitments, მეორე გამოცემა, იქვე, შენიშვნა №6.





ფართო სპექტრს, რომელთაც მხედველობაში დებულობენ ხოლმე არჩევნებზე დაკვირვების მისიები.¹¹ ყველა დამკვირვებელი უნდა გაეცნოს ამ ვალდებულებებს, რომელთა სრული ტექსტიც A დანართშია შეტანილი. მოკლედ, ეს ვალდებულებანი სახელმწიფოებს სთხოვს:

- ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები დროის მისაღები შუალედებით;
- დაუშვან საკანონმდებლო ორგანოს მინიმუმ ერთი პალატის ყველა ადგილის წარმომადგენლის არჩევა პირდაპირი არჩევნების გზით;
- მისცენ მოქალაქეებს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების გარანტია;
- პატივი სცენ მოქალაქეთა უფლებას, ეცადონ თანამდებობის დაკავება;
- პატივი სცენ პოლიტიკური პარტიების დაარსების უფლებას და უზრუნველყონ, რომ ყველა პარტიას შეეძლოს კონკურირება კანონისა და სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან თანასწორი მოპყრობის პირობებში;
- უზრუნველყონ პოლიტიკური კამპანიის ჩატარება თავისუფალ და სამართლიან ატმოსფეროში, ადმინისტრაციული ჩარევის, ძალადობის, დაშინებისა თუ კანდიდატების, პარტიების ან ამომრჩევლების მიმართ შურისგების გარეშე;
- უზრუნველყონ მედიის დაუბრკოლებელი ხელმისაწვდომობა დისკრიმინაციის გარეშე;
- უზრუნველყონ ხმების მიცემა ფარული კენჭისყრით და მათი პატიოსნად დათვლა და შეტყობინება, შედეგების დროულად გამოქვეყნებით; და
- უზრუნველყონ, რომ კანდიდატები, რომლებიც მათი არჩევისათვის საჭირო რაოდენობის ხმებს დააგროვებენ, სათანადო წესით ოფიციალურად იქნენ თანამდებობაზე დანიშნულნი და უფლება მიეცეთ თანამდებობაზე დარჩნენ მათი ვადის ამოწურვამდე.

გარდა ამისა, 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის მე-8 პუნქტში ნათქვამია, რომ უცხოელი და ადგილობრივი დამკვირვებლების დასწრებას საარჩევნო პროცესის სამართლიანობის გაზრდა შეუძლია.

დოკუმენტი მოწოდებს მონაწილე სახელმწიფოებსა და შესაბამის კერძო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, დაიცვან თავიანთი ეროვნული საარჩევნო პროცედურები.

მუშო-ს სხვა დოკუმენტებში შესულია არჩევნებთან დაკავშირებული დამატებითი ვალდებულებანი. მაგალითად, 1996 წლის ლისაბონის სამიტის დეკლარაცია არჩევნების გაყალბებას ადამიანის უფლებათა დარღვევად და რეგიონალური უსაფრთხოების პრობლემურ საკითხად იხსენიებს და ავალდებულებს ყველა მონაწილე სახელმწიფოს, ეცადონ ამ აღიარებული პრობლემის მოგვარებას. 1999 წლის სტამბულის სამიტზე მიღებული დოკუმენტი კვლავ ადასტურებს მუშო-ს შუამავალ სახელმწიფოთა ვალდებულებას, ჩაატარონ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები და მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის უზრუნველყონ ხმის მიცემის სრული უფლება და ხელი შეუწყონ ლტოლვილების უფლების განხორციელებას, მონაწილეობა მიიღონ მათი წარმოშობის ქვეყნებში ჩატარებულ არჩევნებში. როგორც წინამდებარე სახელმძღვანელოს მე-2 თავში აღინიშნა, მონაწილე სახელმწიფოებმა აგრეთვე

¹¹ ადამიანური განზომილების საკითხებთან დაკავშირებით მუშო-ის კოპენჰაგენში გამართული სხდომის დოკუმენტი, კოპენჰაგენი, 1990.





ივალდებულებს, დაუყოვნებლივ გაატარონ შემდგომი ღონისძიებანი „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ მიერ გამოთქმულ შეფასებებთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

3.3 სხვა საერთაშორისო ვალდებულებანი

მუშო(ს) მონაწილე სახელმწიფოთა უმეტესობა ევროპის საბჭოს წევრებიც არიან და ამდენად მათთვის საავალდებულო ძალა აქვს ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპულ კონვენციასა და მის პროტოკოლებს, და აგრეთვე ევროპის საბჭოს მიერ მიღებულ სხვა ხელშეკრულებებს.¹² „ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენციის“ პირველი პროტოკოლის მე-3 მუხლი სახელმწიფოთაგან მოითხოვს, „ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები დროის მისაღები შუალედებით, ფარული კენჭისყრითა და ისეთ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფს ხალხის აზრის თავისუფალ გამოხატვას მისი საკანონმდებლო ორგანოს არჩევასთან დაკავშირებით“. მუშო(ს) მონაწილე სახელმწიფოებში, რომლებიც ევროპის საბჭოს წევრები არიან, ინდივიდუალურ პირებს შეუძლიათ აგრეთვე საარჩევნო დარღვევებთან დაკავშირებით სარჩელით მიმართონ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, იმ პირობით, რომ მანამდე ისინი მიმართავენ ყველა შესაძლო ზომას თავიანთი ქვეყნების ფარგლებში.

ევროპის კავშირს ასევე აქვს მიღებული თავისუფალ არჩევნებთან დაკავშირებული დებულებების შემცველი ხელშეკრულებები, მათ შორის „ევროპის კავშირისა და ძირითად უფლებათა თაობაზე ევროპის კავშირის ქარტიის შესახებ ხელშეკრულება“. ამ ხელშეკრულებებს საავალდებულო ძალა მხოლოდ ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოთათვის აქვთ. დემოკრატიასთან დაკავშირებულ საკითხებს ცენტრალური როლი აქვთ მიკუთვნებული ევროპის კავშირსა და მის პარტნიორებს შორის ურთიერთობებში, რამდენადაც დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების კონსოლიდაცია საერთო ფასეულობაა და ყველა მხარის მიერ ოფიციალურად აღიარებულ ერთობლივი ინტერესის საგანს წარმოადგენს.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობასა და ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციას აგრეთვე აქვთ მიღებული საარჩევნო სტანდარტები, რომელთაც საავალდებულო ძალა აქვთ მუშო(ს) მონაწილე შესაბამისი სახელმწიფოებისათვის, რომელთაც მათი რატიფიკაცია აქვთ მოხდენილი.

3.4 პრაქტიკული შინაარსი

ქვემოთყოფინდ პარაგრაფებში მოკლედაა გადმოცემული უნივერსალურ პრინციპებში, მუშო(ს) წინაშე აღებულ ვალდებულებებსა და სხვა საერთაშორისო ვალდებულებებში ჩადებული ზოგიერთი ძირითადი კონცეფცია, რომელთაც დამკვირვებელთა მისიები უდიდესი გულისყურით უნდა მოეკიდონ, მათ შორის: პერიოდული არჩევნები, ჭეშმარიტი არჩევნები, თავისუფალი არჩევნები, სამართლიანი არჩევნები, საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლება, ხმის მიცემა ფარული კენჭისყრით და შედეგების პატიოსანი დათვლა და შეტყობინება. ამ ვალდებულებათა შესრულების

¹² ევროპის საბჭოს დოკუმენტების ნახვა შეიძლება ორგანიზაციის ვებ-გვერდზე, მისამართით www.coe.int.





უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი უპირველეს ყოვლისა თითოეული ქვეყნის მთავრობაა.

პერიოდული არჩევნები მოითხოვს, რომ არჩევნები ჩატარდეს კანონით დადგენილი რეგულარული შუალედებით. დროის მონაკვეთი არჩევნებს შორის გაუმართლებლად ხანგრძლივი არ უნდა იყოს. ეშმო-ს რეგიონის ფარგლებში შვიდი წელი, ჩვეულებრივ, მაქსიმალურ მისაღებ პერიოდად ითვლება აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის არჩევნებს შორის, თუმცა ქვეყნების უმეტესობა არჩევნებს შორის ოთხ ან ხუთწლიან შუალედებს ამჯობინებს. ხუთი წელი, ჩვეულებრივ, მაქსიმალურ მისაღებ შუალედად ითვლება პარლამენტის ქვედა პალატების არჩევნებს შორის.

ჯეშმარიტი არჩევნები გულისხმობს, რომ საარჩევნო პროცესი ჩატარდება ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის პირობებში და ამომრჩევლებს რეალური და ინფორმირებულიობაზე დაფუძნებული არჩევანის გაკეთების საშუალებას მისცემს, რითაც ელექტორატის საყოველთაო ნდობას უზრუნველყოფს. ჯეშმარიტი არჩევნების კონცეფცია ექვექვეშ შეიძლება დადგეს, თუკი პატივს არ სცემენ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, სახეზე არ არის პოლიტიკური კონკურენციის სარწმუნო ნიშნები, მოქმედებს გაუმართლებელი შეზღუდვები პოლიტიკური პარტიების დაარსებაზე ან ფუნქციონირებაზე, ან თუ არ არსებობს იმის რეალური პერსპექტივა, რომ ამომრჩევლებს შეეძლებათ ხმის მიცემის შედეგად თანამდებობიდან გადააყენონ ამჟამად თანამდებობაზე მყოფი ოფიციალური პირები.

თავისუფალი არჩევნები მოითხოვს, რომ ყველა მოქალაქე სარგებლობდეს თავისი ძირითადი უფლებებით — ჰქონდეს თვითგამოსაზრების, გაერთიანების, შეკრების და გადაადგილების თავისუფლება. თითოეულ ამომრჩეველს უნდა შეეძლოს ხმა მისცეს დაშინების, ძალადობის, ადმინისტრაციული ჩარევის, ან მოსალოდნელი შურისგების გარეშე. არავითარი დაბრკოლება არ უნდა ეღობებოდეს წინ კანდიდატებს, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთ შეხედულებებს, და ხელს არ უნდა უშლიდეს ამომრჩევლებს კამპანიებში მონაწილეობაში და ამ შეხედულებათა გაცნობასა თუ განხილვაში. მედიას უნდა შეეძლოს კამპანიის თავისუფლად გაშუქება, ოფიციალურ ორგანოთა ჩარევის, ან მათ მიერ დაწესებული გაუმართლებელი შეზღუდვების გარეშე. ადგილობრივ დამკვირვებლებს, როგორც პარტიულ (კანდიდატებისა და პარტიების წარმომადგენლებს), ასევე უპარტიო დამკვირვებლებს, თავისუფლად უნდა შეეძლოთ საარჩევნო პროცესის ყველა ეტაპის დაკვირვება არჩევნების დღემდე, არჩევნების დღეს და არჩევნების დღის შემდეგ. შედეგების შეჯამება ხილული და შემოწმებადი უნდა იყოს საარჩევნო უბნის დონიდან დაწყებული, საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა საშუალებდო დონემდე და დასასრულ, ეროვნული საარჩევნო ორგანოს დონემდე.

სამართლიანი არჩევნები უნდა უზრუნველყოფდეს თანაბარ პირობებს საარჩევნო პროცესის ყველა მონაწილისათვის. სამართლებრივი ბაზა უნდა ასახავდეს ეშმო-ს წინაშე აღებულ ვალდებულებებსა და სხვა უნივერსალურ პრინციპებს, არჩევნებთან დაკავშირებული ყველა კანონის რეალიზაცია და აღსრულება კი ზედმიწევნით უნდა ხდებოდეს. ყველა კანდიდატს, პარტიასა და პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელსაც თანამდებობის დასაკავებლად არჩევნებში მონაწილეობა სურს, უნდა შეეძლოს ამის გაკეთება და კონკურენციაში მონაწილეობა კანონისა და სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან თანასწორი და მიუკერძოებელი მოპყრობის პირობებში. კანდიდატებისა და პოლიტიკური პარტიებისათვის მედია დაუბრკოლებლად ხელმისაწვდომი





უნდა იყოს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. სახელმწიფო მედიამ კი უნდა შეასრულოს თავისი განსაკუთრებული მოვალეობა, რაც გულისხმობს ამომწურავი, გაწონასწორებული ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც საშუალებას მისცემს ელექტორატს, არჩევანი კარგად ინფორმირებულობის საფუძველზე გააკეთოს. საარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესები არ უნდა იყოს ხელსაყრელი ან მადისკრიმინირებელი რომელიმე მხარისათვის ან კანდიდატისათვის. უნდა არსებობდეს მკაფიო განსხვავება სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის და სახელმწიფო რესურსები უსამართლოდ არ უნდა იქნეს გამოყენებული ერთი რომელიმე კანდიდატის ან კანდიდატთა ჯგუფის სასარგებლოდ. ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაცია პროფესიულად და ნეიტრალურად უნდა იქცეოდეს, ხოლო ხმის მიცემის, დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცესი თავისუფალი უნდა იყოს თაღლითობისა და მანიპულაციისაგან. კანონის ან ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევაში კანდიდატებს, პარტიებსა და ამომრჩევლებს უნდა ჰქონდეთ სამართლიანობის სწრაფად და ეფექტიანად აღდგენის შესაძლებლობა, მათ შორის დამოუკიდებელი სასამართლოს მეშვეობით. მათ, ვისაც ბრალი მიუძღვით კანონის დარღვევაში, დროულად უნდა მოეთხოვოთ პასუხი. კანდიდატები, რომლებიც მათი არჩევისათვის საჭირო ხმათა რაოდენობას მიიღებენ, სათანადო წესით ოფიციალურად უნდა იქნენ დანიშნულნი თანამდებობაზე.

საყოველთაო საარჩევნო უფლება მოითხოვს, რომ საარჩევნო უფლების მქონე ყველა მოქალაქეს მიეცეს ხმის მიცემის უფლება. უნდა არსებობდეს ამომრჩეველთა რეგისტრაციის ქმედითი, მიუკერძოებელი, არადისკრიმინაციული და ზუსტი პროცედურა, რომელიც ხმის მიცემის უფლებას უზრუნველყოფს საარჩევნო უფლების მქონე ყველა მოქალაქისათვის და გამორიცხავს მრავალჯერ ხმის მიცემას. არ უნდა არსებობდეს საარჩევნო გადასახადები ან სარეგისტრაციო მოსაკრებლები. არ უნდა მოქმედებდეს ხმის მიცემის რაიმე შეზღუდვები უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის, ქალებისათვის ან მოქალაქეთა სხვა ჯგუფებისათვის. საარჩევნო უბნები თუ ხმის მიცემის სხვა პროცედურები იოლად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ამომრჩევლისათვის, უნარშეზღუდულ პირთა ჩათვლით. უნდა შემუშავდეს ზომები, რომლებიც ხმის მიცემის საშუალებას მისცემს იძულებით გადაადგილებულ პირებს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა ადეკვატური ზომები იქნეს მიღებული ხმის მიცემის ჩასატარებლად საზღვარგარეთ. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შეზღუდვები დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირთათვის დანაშაულის პროპორციული უნდა იყოს, ხოლო ხმის მიცემის უფლებანი ასეთ პირებს ავტომატურად უნდა აღუდგეთ სასჯელის მოხდასთანავე.

თანასწორი საარჩევნო უფლება გულისხმობს, რომ ყოველი მოქალაქის ხმას ერთნაირი ღირებულება უნდა ჰქონდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ პროპორციული წარმომადგენლობის სისტემათა ფარგლებში თითოეული ოლქის წარმომადგენელთა რაოდენობა ელექტორატის სიდიდის პროპორციული უნდა იყოს და პარლამენტში ადგილების მოსაპოვებლად დაწესებული აუცილებელი ბარიერები არ უნდა იყოს იმდენად მაღალი, რომ ამან ამომრჩეველთა შედარებით დიდი რაოდენობის პოლიტიკური არჩევანის უკულებელყოფა გამოიწვიოს. მაკორიტარული საარჩევნო სისტემების ფარგლებში თანასწორი საარჩევნო უფლება ნიშნავს იმას, რომ საარჩევნო ოლქების მოსახლეობა დაახლოებით თანაბარი უნდა იყოს; დაახლოებით 10 პროცენტზე მეტი სხვაობა შეშფოთების მიზეზი შეიძლება გახდეს.



ხმის მიცემა ფარული კენჭისყრით მოითხოვს, რომ ყველა ამომრჩეველმა თავისი ბიულეტენი მარტომ უნდა დანიშნოს, განცალკევებულმა დაცულ საარჩევნო კაბინაში, თანაც ისე, რომ შეუძლებელი იყოს ვინმეს მიერ საარჩევნო ბიულეტენის დანახვა საარჩევნო ურნაში მის ჩაშვებამდე და შეუძლებელი იყოს შემდგომში მისი იდენტიფიცირება კონკრეტულ ამომრჩეველთან. ნებადართული არ უნდა იყოს საარჩევნო კაბინაში ერთზე მეტი პირის ყოფნა, ვინაიდან ეს საფრთხეს უქმნის ხმის მიცემის პროცესის ფარულობას. გამონაკლისები უნდა გაკეთდეს მხოლოდ კონკრეტულად განსაზღვრულ პირობებში, იმ ამომრჩეველთა თხოვნით, რომელთაც დახმარება ესაჭიროებათ, მაგალითად უნარშეზღუდული ან წერა-კითხვის უცოდინარი ამომრჩევლების თხოვნით. ყოველგვარი ხმის მიცემა საარჩევნო კაბინის გარეთ საფრთხეს უქმნის ხმის მიცემის ფარულობას. „ჯგუფური ხმის მიცემა“, ერთად ხმის მიცემა ოჯახის წევრთა მიერ, ღია ხმის მიცემა და უკანონო ხმის მიცემა წარმომადგენელთა მეშვეობით ფარული კენჭისყრით ხმის მიცემის პრინციპის დარღვევებია. სამხედროების და, სადაც ეს ნებადართულია, პატიმრების მიერ ხმის მიცემისათვის მიღებულმა ზომებმა უნდა უზრუნველყოს, რომ მათ მიერ ხმის მიცემა ფარული იყოს და არ ხდებოდეს იძულებით, ხოლო სამხედროებს, იდეალურ შემთხვევაში, ხმის მიცემა სამოქალაქო მოსახლეობასთან ერთად უნდა შეეძლოთ, სპეციალური საარჩევნო უბნები კი რეზერვირებული უნდა იყოს განსაკუთრებული შემთხვევებისთვის. არც ერთი საარჩევნო უბანი არ უნდა იყოს იმდენად მცირე, რომ შედეგების გამოცხადებას კენჭისყრის ფარულობისთვის საფრთხის შექმნა შეეძლოს (ეს ზოგჯერ შეიძლება პრობლემა იყოს სამხედრო ნაწილებში, ციხეებში ან საზღვარგარეთ არსებულ საელჩოებში გამართული კენჭისყრისას).



4.

არჩევნაზე საერთაშორისო დაკვირვების პრაქტიკული სქემა



არჩევნებზე დაკვირვების პრაქტიკული სქემა ეფუძნება ეფექტიანი დაკვირვებისათვის საჭირო ქვემოთოყვანილ მინიმალურ პირობებს, რომელთა უზრუნველყოფაც მიმღები ქვეყნის მთავრობას მოეთხოვება, და მუშაოს დაკვირვებელთა ქცევის კოდექსს, რომლის შესრულებაც დაკვირვებლებს მოეთხოვებათ.

4.1 პირობები ეფექტიანი დაკვირვებისათვის

ეფექტიანი დაკვირვების საწარმოებლად, „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“ მიმღები ქვეყნის მთავრობისგან მოითხოვს გარანტიებს, რომ არჩევნებზე დაკვირვების მისიას შეეძლება საკუთარ მოვალეობათა დროულად შესრულება, კონკრეტულად კი მას საშუალება ექნება:

- გახსნას მისია ისეთ ვადებში, რომლებიც საარჩევნო პროცესის ყველა სტადიაზე დაკვირვების შესაძლებლობას იძლევა;
- დამოუკიდებლად გადაწყვიტოს, დაკვირვებელთა რა რაოდენობაა აუცილებელი ქმედითი სადამკვირვებლო მისიის დასაარსებლად;
- მიიღოს ყველა თავისი დაკვირვებლის აკრედიტაცია მარტივი და არადისკრემინაციული პროცედურის გზით;
- ყველა დონის სახელისუფლო ორგანოთაგან დროულად მიიღოს საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული მთელი ინფორმაცია;
- შეხვდეს კანდიდატებს, ყველა პოლიტიკური პარტიის წევრებს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს და მის მიერ არჩეულ ნებისმიერ სხვა პირებს;
- თავისუფლად იმოგზაუროს ქვეყნის ყველა რეგიონში საარჩევნო პროცესის განმავლობაში და არჩევნების დღეს, რაიმე შეზღუდვის ან წინასწარი შეტყობინების გარეშე;
- დაუბრკოლებლად შევიდეს ყველა საარჩევნო უბანზე, საარჩევნო კომისიაში და ხმათა დათვლისა და შეჯამების ცენტრებში მთელი ქვეყნის მასშტაბით; და

- გააკეთოს საჯარო განცხადებები.
როდესაც სახეზე არ არის ეს გარემოებანი, ეფექტიანი დაკვირვების წარმოების პირობები, არსებითად, არ არსებობს.

4.2 დამკვირვებელთა ქცევის კოდექსი

დამკვირვებელთა ქცევის კოდექსი შეიქმნა იმის უზრუნველსაყოფად, რომ არჩევნებზე დაკვირვების მისიის ყველა წევრი იქცეოდეს მაღალი პროფესიული და პერსონალური სტანდარტების თანახმად და მოქმედებდეს ისე, როგორც ეს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი დამკვირვებლის როლს შეეფერება. დამკვირვებლის როლი დაკვირვების წარმოებითა და ანგარიშის მომზადებით შემოიფარგლება და დამკვირვებელს არა აქვს მითითებების მიცემის, დახმარების აღმოჩენის, ანდა ხმის მიცემაში, ხმათა დათვლაში, შეჯამებაში თუ საარჩევნო პროცესის სხვა ასპექტებში ჩარევის უფლებამოსილება. დამკვირვებელთა ქცევის კოდექსს სავალდებულო ძალა აქვს „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ ყველა დამკვირვებლისთვის; ამ კოდექსის ნებისმიერი სერიოზული დარღვევა დამკვირვებლის აკრედიტაციის გაუქმებას გამოიწვევს.

ქცევის კოდექსი ეუთო/„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ დამკვირვებელთათვის	
<input type="radio"/>	დამკვირვებლები მკაცრად დაიცავენ მიუკერძოებლობას თავიანთ მოვალეობათა შესრულების პროცესში და არასდროს საჯაროდ არ გამოთქვამენ ან გამოხატავენ რაიმე მიუკერძოებლობას ან უპირატესობის მინიჭებას ქვეყნის ხელისუფლების, პარტიების და კანდიდატების მიმართ, ანდა საარჩევნო პროცესის რაიმე სადავო საკითხთან დაკავშირებით.
<input type="radio"/>	დამკვირვებლები თავიანთ მოვალეობებს არაშემავსებლად შეასრულებენ და არ ჩაერევიან საარჩევნო პროცესში. დამკვირვებლებს შეუძლიათ საკითხები წამოჭრან საარჩევნო ოფიციალურ პირთა წინაშე და მათი ყურადღება გაამახვილონ დარღვევებზე, მაგრამ არ უნდა მისცენ მითითებანი და არ უნდა გააუქმონ მათი გადაწყვეტილებანი.
<input type="radio"/>	დამკვირვებლები სამსახურებრივ მოვალეობებს შეასრულებენ არჩევნების მთელი დღის განმავლობაში, ხმების დათვლაზე დაკვირვების ჩათვლით და, თუ სათანადო მითითებას მიიღებენ, შეჯამების ეტაპის განმავლობაშიც.
<input type="radio"/>	დამკვირვებლები ყველა დასკვნას გამოიტანენ მათი პირადი დაკვირვებების, ან აშკარა და დამაჯერებელი ფაქტებისა და მტკიცებულებების საფუძველზე.
<input type="radio"/>	დამკვირვებლები მედიის წინაშე არ გააკეთებენ რაიმე კომენტარს საარჩევნო პროცესის ან მათი დაკვირვების შინაარსის თაობაზე და მედიისათვის გაკეთებული მათი ნებისმიერი კომენტარი შემოიფარგლება ზოგადი ხასიათის ინფორმაციით დაკვირვების მისიისა და დამკვირვებელთა როლის შესახებ.

- დამკვირვებლები არ გასწევენ ზედმეტ ან გაუმართლებელ რისკს. თითოეული დამკვირვებლის პირადი უსაფრთხოება ყველა სხვა მოსახრებაზე უფრო მნიშვნელოვანია.
- დამკვირვებლები ატარებენ მიმღები ქვეყნის მთავრობის ან საარჩევნო კომისიის მიერ გაცემულ ნებისმიერ სავალდებულო პირადობის მოწმობას და ნებისმიერი ოფიციალური პირის მოთხოვნით დაასახელებენ საკუთარ ვინაობას.
- დამკვირვებლები დაემორჩილებიან ქვეყნის ყველა კანონსა და სამართლებრივ ნორმას.
- დამკვირვებლები ყველა შემთხვევაში გამოავლენენ პირადი კეთილგონიერებისა და პროფესიული ქცევის უმაღლეს დონეს.
- დამკვირვებლები დაესწრებიან მისიის მიერ გამართულ ყველა აუცილებელ ბრიფინგებსა და დამკვირვებელთა გამოკითხვებს და შეასრულებენ ეუთო/„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნებზე დაკვირვების მისიის მიერ მომზადებულ განთავსების გეგმასა და მის ნებისმიერ სხვა მითითებებს.

დამკვირვებელთა ქცევის კოდექსის გარდა, ყველა დამკვირვებელს მოეთხოვება შესარულოს ეუთო-ს სახელმძღვანელო პრინციპები პროფესიული სამუშაო გარემოს შესახებ, რომლებიც კრძალავს დისკრიმინაციას ან სექსუალურად შემაწუხებელი ხასიათის ქმედებებს. ზოგიერთ ქვეყნებში არჩევნებზე დაკვირვების მისიებს შეუძლიათ დამატებით გამოსცენ ეუთო/„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ დამკვირვებელთათვის სავალდებულო ძალის მქონე წესები ან ინსტრუქციები.



5.

არჩევნაზე დაკვირვებისთვის გზადება: სიტუაციის შეფასების მისია



„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნებზე დაკვირვების მისიის დაარსების საწყისი ეტაპია სიტუაციის შეფასების მისიის განთავსება, ჩვეულებრივ, მოცემულ არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე. სიტუაციის შეფასების მისიის მუშაობას რამდენიმე დღის განმავლობაში წარმართავენ ხოლმე „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ საარჩევნო დეპარტამენტის წევრები. მონაწილეობა შეიძლება მიიღონ აგრეთვე სიტუაციის შეფასების პოტენციური მისიის ხელმძღვანელმა, ხელმძღვანელის მოადგილემ, ან თანამშრომელმა ლოგისტიკის საკითხებში, როგორც ეს შესაფერისი ან საჭირო შეიძლება იყოს.

სიტუაციის შეფასების მისიის დანიშნულებაა, გაარკვიოს საარჩევნო პროცესის ეშპო-ს წინაშე აღებულ ვალდებულებათა შესაბამისად წარმართვის პერსპექტივები და შემდგომ კონსულტაცია გაუწიოს „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ დირექტორს „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ რეკომენდებული საქმიანობის თაობაზე. სიტუაციის შეფასების მისია აგრეთვე ადგენს, განზრახული აქვს თუ არა მიმდები ქვეყნის მთავრობას, შეასრულოს არჩევნებზე ეფექტიანი დაკვირვების საწარმოებლად აუცილებელი მინიმალური პირობები.

სიტუაციის შეფასების მისიის ანგარიში, რომელიც ყველა მონაწილე სახელმწიფოს დაეგზავნება, ასახავს „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ დასკვნას დასაარსებელი დაკვირვების მისიის საქმიანობის ფარგლებსა და მასშტაბის შესახებ. ზოგიერთ შემთხვევაში, სიტუაციის შეფასების მისიამ შეიძლება გამოთქვას რეკომენდაცია, რომ სრულმასშტაბიანი დაკვირვების ჩატარება მართებული ან აუცილებელი არ არის, და ამის ნაცვლად მოითხოვოს არჩევნებზე შეზღუდული დაკვირვების მისიის, ან არჩევნების შეფასების მისიის (იხ. ნაწილი 2.4) განთავსება. სიტუაციის შეფასების მისიის ანგარიში განსაზღვრავს აგრეთვე რაოდენობას გრძელ-



და მოკლევადიანი დაქვეითებებისა, რომელთა მივლენასაც მოსთხოვენ მონაწილე სახელმწიფოებს შესაბამისი მისიის რეალიზაციის მიზნით.

სიტუაციის შეფასების მისია გამოიყენება აგრეთვე ადრეული დიალოგის გასამართავად ეროვნულ საარჩევნო ორგანოებთან და საარჩევნო პროცესში ჩართულ სხვა დაწესებულებებთან. როგორც წესი, საჭიროებათა მისიის თანამშრომლები ხედებიან ხოლმე საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალი რანგის ოფიციალურ პირებს, სამთავრობო დაწესებულებების (საგარეო საქმეთა სამინისტროსა და არჩევნებთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა დაწესებულებების, როგორცაა შინაგან საქმეთა სამინისტრო და ეროვნულ უმცირესობათა და ადამიანის უფლებათა საკითხებით დაკავებული დაწესებულებები) წარმომადგენლებს, პოლიტიკურ პარტიებს, მედიის წარმომადგენლებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, ეშთო-ს მისიებს (სადაც ეს შესაფერისია), ეშთო-ს მონაწილე სახელმწიფოთა საელჩოებს და ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ საერთაშორისო ორგანიზაციებს.

სიტუაციის შეფასების მისია წინასწარ აფასებს:

- თუ რამდენად იქნა რელიზებული „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნებზე დაკვირვების მისიათა მიერ ადრე გამოთქმული რეკომენდაციები;
- წინასაარჩევნო გარემოს, იმის ჩათვლით, თუ რამდენად იცავს მთავრობა ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს მომავალ არჩევნებთან მიმართებაში;
- საკანონმდებლო ბაზას და წინა არჩევნების შემდეგ შეტანილ ნებისმიერ შესწორებებს (როდესაც ეს შესაძლებელი ან მართებული იქნება, „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“ მოამზადებს საარჩევნო კანონმდებლობის სპეციალურ დეტალურ ანალიზს);
- საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობასა და სტრუქტურას, ისევე როგორც არჩევნებისათვის მისი მზადების საერთო მდგომარეობას და მისი საქმიანობისადმი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ნდობის საერთო ზომა-ხარისხს;
- მედიის მდგომარეობას და მის მოსალოდნელ როლს არჩევნებში;
- განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ნებისმიერ სხვა საკითხებს, როგორცაა ამომრჩეველთა სიების შედგენა, კანდიდატების/პარტიების რეგისტრაციის პროცესი, ქალების მონაწილეობა, უმცირესობათა ჩართვა, ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა საარჩევნო საქმიანობა;
- თუ რამდენად სჯერათ გამოკითხულ თანამოსაუბრეებს, რომ „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნებზე დაკვირვების მისიის დაარსება სასარგებლო იქნება.
- ხელსაყრელია თუ არა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით არსებული სიტუაცია დაკვირვების მისიის საქმიანობისათვის.



6.

ეუთო/ „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნაზე დაკვირვების მისიის სტრუქტურა



„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნებზე დაკვირვების მისიის განთავსება ხდება „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ დირექტორის საერთო ხელმძღვანელობით. „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ საარჩევნო დეპარტამენტის ხელმძღვანელი წარმოადგენს დირექტორს ყველა საარჩევნო საკითხთან დაკავშირებით. არჩევნებზე დაკვირვების კონკრეტული მისიის ხელმძღვანელი ინიშნება „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ დირექტორის მიერ და პასუხისმგებლობას კისრულობს არჩევნებზე დაკვირვების მისიის ყოველდღიურ საქმიანობაზე. „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ საარჩევნო დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით. „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ კონსულტანტი საარჩევნო საკითხებში, რომელსაც პასუხისმგებლობა ეკისრება კონკრეტულ არჩევნებთან დაკავშირებით, წარმოადგენს რეგულარულ შეკავშირეს არჩევნებზე დაკვირვების მისიასა და ვარშავაში განლაგებულ „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ შორის. არჩევნებზე დაკვირვების კონკრეტული მისიის ხელმძღვანელი შეიძლება დროდადრო მისიიდან ვარშავაში გამოიძახონ მისთვის ბრიფინგებისა და გამოკითხვების ჩასატარებლად.

სტანდარტული მისია შედგება ძირითადი გუნდისგან, გრძელვადიანი დამკვირვებლებისგან და მოკლევადიანი დამკვირვებლებისგან. ძირითადი გუნდის წევრებს ირჩევენ „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“



ექსპერტთა რეესტრიდან¹³ და მათთან პირდაპირ კონტრაქტს აფორმებენ, ანდა ზოგჯერ მათ ეშთო-ს მონაწილე სახელმწიფოები მიაგლეწენ ხოლმე „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ მოთხოვნით. ყოველი არჩევნების დროს, „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“ ეშთო-ს მონაწილე ყველა სახელმწიფოს უგზავნის ვერბალურ ნოტას, რომლითაც სთხოვს მათ გრძელვადიანი დამკვირვებლებისა და მოკლევადიანი დამკვირვებლების მიგლეწას ამ კონკრეტულ არჩევნებზე.

ზოგიერთ შემთხვევაში, გრძელვადიანი დამკვირვებლებისა და მოკლევადიანი დამკვირვებლების აყვანა შეიძლება მოხდეს „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნებზე დაკვირვების მისიათა გამრავალფეროვნების ნებაყოფლობითი ფონდის მეშვეობით, რომელიც 2001 წელს დაარსდა. მთელი მომდევნო პერიოდის განმავლობაში ფონდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისისათვის“ თავისი მცდელობებით, გაამრავალფეროვნოს არჩევნებზე დაკვირვების მისიათა შემადგენლობა და უზრუნველყოს არჩევნების დამკვირვებელთა მონაწილეობა ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპიდან და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შემავალი მონაწილე სახელმწიფოებიდან. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც საშუალებას იძლევა, დაკვირვების მისიებში წარმოდგენილი იყოს მრავალფეროვანი გამოცდილება, ხშირად იმ მონაწილე სახელმწიფოებისა, რომლებიც რეგულარულად არ მიაგლეწენ ხოლმე დამკვირვებლებს.

„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ საარჩევნო დამკვირვებლები უნდა იყვნენ ეშთო-ს მონაწილე სახელმწიფოთა მოქალაქეები,¹⁴

შესაბამისი მიმღები სახელმწიფოს გამონაკლისით. ვინაიდან ინგლისური „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნებზე დაკვირვების მისიათა სამუშაო ენას წარმოადგენს, არჩევნებზე დაკვირვების მისიის ყველა წევრს, გრძელ- და მოკლევადიანი დამკვირვებლების ჩათვლით, უნდა შეეძლოს ქმედითი ურთიერთობის წარმოება როგორც ზეპირსიტყვიერი, ასევე წერილობითი ინგლისური ენის გამოყენებით. თუმცა, ფრიად სასურველია მისიის განთავსების რაიონში ფართოდ გაფრცვლებული მეორე ენის ცოდნაც.

კონკრეტული ინფორმაცია „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნებზე დაკვირვების თითოეული მისიის შესახებ შეიძლება მოძიებული იქნეს სპეციალურ ვებ-გვერდზე, რომელიც მისიის დაარსებისთანავე იქმნება ხოლმე.¹⁵

¹³ „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“ ურჩევს ექსპერტებს, რეგულარულად განაახლონ ინფორმაცია მათ შესახებ, „ოფისის“ ექსპერტების მონაცემთა ბაზაში შესატანად, რათა ამით გაადვილდეს მონაცემთა ბაზის გამოყენება მისიების შტატებით დასაკომპლექტებლად (მონაცემთა ბაზის ნახვა შეიძლება „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ ვებ-გვერდზე, მისამართით www.osce.org/odihr).

¹⁴ ზოგიერთ შემთხვევაში, ეშთო-ს „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“ მოკლე ვადით იწვევს დამკვირვებლებს ეშთო-ს პარტნიორი ქვეყნებიდან.

¹⁵ არჩევნებზე დაკვირვების მისიათა ინდივიდუალური ვებ-გვერდების ნახვა შეიძლება „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ ვებ-გვერდზე, მისამართით www.osce.org/odihr.





6.1 ძირითადი გუნდი

„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“ არჩევნების დღემდე დაახლოებით ექვსი-რვა კვირით ადრე შესაბამისი მიმღები ქვეყნის დელეგატაქში აარსებს თავის ოფისებს, სადაც ბაზირებული იქნება არჩევნებზე დაკვირვების ამა თუ იმ კონკრეტული მისიის ძირითადი გუნდი. ძირითადი გუნდი, ჩვეულებრივ, შედგება 10-12 საერთაშორისო ექსპერტისგან, მისიის სიდიდისა და არჩევნების კონკრეტული გარემოებებისა მიხედვით. როგორც წესი, მისიის ხელმძღვანელს მისი მოვალეობების შესრულებაში დახმარებას უწევს ხელმძღვანელის მოადგილე; ძალზე დიდ მისიებში შეიძლება დაინიშნოს ერთზე მეტი მოადგილე. ძირითადი გუნდის სხვა წევრთა რიცხვში შედიან: საარჩევნო ანალიტიკოსი, პოლიტიკური ანალიტიკოსი, იურიდიული ანალიტიკოსი, მედიის ანალიტიკოსი, სტატისტიკური ანალიტიკოსი, გრძელვადიანი დამკვირვებლების კოორდინატორი, თანამშრომელი ლოგისტიკის საკითხებში, თანამშრომელი უსაფრთხოების საკითხებში, თანამშრომელი საფინანსო საკითხებში და თანამშრომელი პარლამენტთან ურთიერთობის საკითხებში, როდესაც ეს მართებულია. ზოგჯერ ძირითად გუნდს შეიძლება მიამაგრონ გენდერული ან ეროვნულ უმცირესობათა საკითხების ექსპერტი, საარჩევნო კონტექსტის ამ კონკრეტული საკითხების ანალიზის გასაძლიერებლად. ხსენებული პერსონალის მოვალეობანი დახასიათებულია ქვემოთ.

მისიის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია სადამკვირვებლო მისიის ყოველდღიურ მუშაობაზე. იგი წარმართავს მისიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად შეესაბამება საარჩევნო პროცესის ყველა ასპექტი შიდა კანონმდებლობას, ემსო-ს წინაშე აღებულ ვალდებულებებს და დემოკრატიული არჩევნების სხვა უნივერსალურ პრინციპებს.

მისიის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია, „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ საარჩევნო დეპარტამენტთან მჭიდრო კოორდინაციითა და თანამშრომლობით, მისიის მუშაობაზე, რაშიც შედის:

- წინასწარი ანგარიშების მომზადება, რომლებშიც მოკლედ იქნება დახასიათებული ძირითადი წინასაარჩევნო საკითხები და მოვლენები;
- კონტაქტის დამყარება და ქონა სახელისუფლო ორგანოებთან, საარჩევნო ადმინისტრაციასთან, ძირითად პოლიტიკურ პარტიებთან, კანდიდატებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, დამკვირვებელთა სხვა ჯგუფებთან, ქვეყანაში მუდმივად მცხოვრებ დიპლომატთა საზოგადოებასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- ძირითადი გუნდის, გრძელვადიანი დამკვირვებლებისა და მოკლევადიანი დამკვირვებლების მუშაობის მეთვალყურეობა;
- მედიასთან ურთიერთობა, არჩევნებზე დაკვირვების მისიის საჯარო განცხადებათა მომზადების ჩათვლით (აგრეთვე „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ წარმომადგენელთან კოორდინაციითაც);
- საპარლამენტო დელეგაციებთან ბრიფინგების გამართვა და მჭიდროდ თანამშრომლობა (როდესაც ეს შესაძლებელია);
- დაკვირვების წინასწარი შედეგებისა და დასკვნების შესახებ ანგარიშისა და პრეს-რელიზის მომზადება, ზოგჯერ სხვა დელეგაციათა ხელმძღვანელებთან ერთობლივად; და





- დასკვნითი ანგარიშის მომზადება, რომელიც საარჩევნო პროცესის დასრულებიდან დაახლოებით ექვსი კვირის შემდეგ უნდა გამოიცეს.

მიმღებ ქვეყანაში ჩასვლის შემდეგ, „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“ ან პრესის მეშვეობით აკეთებს განცხადებას, რომელშიც ქვეყნის საზოგადოებრიობას მისიის გახსნის შესახებ აცნობებს, ანდა მისიის ხელმძღვანელი მართავს პრესკონფერენციას, რომელზეც საზოგადოებას მისიასა და მის საქმიანობას წარუდგენს. პრესკონფერენცია შესაძლებლობას იძლევა, განიმარტოს მისიის დანიშნულება და „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნებზე დაკვირვების მეთოდოლოგია, და აგრეთვე გამოიხატოს მისიის მზადყოფნა, შეხვდეს ყველა დაინტერესებულ მხარეს და მიიღოს ინფორმაცია საარჩევნო პროცესის შესახებ.

მისიის ხელმძღვანელის მოადგილე როგორც წესი, შტაბის უფროსის ფუნქციებს ასრულებს, უზრუნველყოფს რა არჩევნებზე დაკვირვების მისიის ქმედით საერთო კოორდინაციას, ეხმარება მისიის ხელმძღვანელს მისი სამუშაო და ადმინისტრაციული მოვალეობების შესრულებაში, და წარმოადგენს მისიის ხელმძღვანელს, როდესაც ეს საჭიროა. სხვა მოვალეობათა შორის, ხელმძღვანელის მოადგილე მეთვალყურეობას უწევს გრძელვადიანი დამკვირვებლებისა და მოკლევადიანი დამკვირვებლების მოქმედებათა ყველა ასპექტს, ბრიფინგების, განთავსების გაწონასწორებული და წარმომადგენლობითი გეგმისა და გამოკითხვების მომზადების ჩათვლით. მან შეიძლება მოახდინოს წინასწარი ანგარიშების შედგენის კოორდინირება მისიის ხელმძღვანელთან და „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ საარჩევნო დეპარტამენტთან ერთად. არჩევნებზე დაკვირვების შედარებით უფრო მცირე მისიებში ხელმძღვანელის მოადგილეს შეიძლება ერთდროულად ეკავოს ექსპერტის/ანალიტიკოსის ერთ-ერთი ქვემონაპოთვლილი თანამდებობაც.

საარჩევნო ანალიტიკოსი აფასებს, თუ როგორ ასრულებს მიმღები ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაცია ეშტო-ს წინაშე აღებულ ვალდებულებებსა და სხვა უნივერსალურ პრინციპებს. იგი არჩევნებზე დაკვირვების მისიის მთავარი საკონტაქტო პირია საარჩევნო ადმინისტრაციასთან საურთიერთოდ და ესწრება ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და, აუცილებლობისდა მიხედვით, მისი ეკვივალენტური ორგანოს, ყველა შეკრებას. საარჩევნო ანალიტიკოსი აფასებს ამ ორგანოს ეფექტიანობას, დამოუკიდებლობას აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთაგან, გამჭვირვალობასა და მიუკერძოებლობას. საარჩევნო ანალიტიკოსი პასუხისმგებელია ამომრჩეველთა რეგისტრაციის, კანდიდატთა რეგისტრაციის, არჩევნების ჩატარების წესებისა და პროცედურების, საარჩევნო ბიულეტენების შემუშავებისა და დაბეჭდვის, უფრო დაბალი დონის საარჩევნო კომისიების ეფექტიანობისა და საარჩევნო ადმინისტრაციის კომპეტენციის სფეროში შემავალი სხვა საკითხების მონიტორინგზე. საარჩევნო ანალიტიკოსი მიმოიხილავს აგრეთვე ხმების დათვლისა და შეჯამების პროცედურებს და აანალიზებს საბოლოო კრებისით შედეგების მიღების პროცესის შესაბამისობას სამართლებრივ ნორმებთან და ადმინისტრაციულ პროცედურებთან. საარჩევნო ანალიტიკოსი იურიდიულ ანალიტიკოსთან მჭიდრო თანამშრომლობაში მუშაობს არჩევნებთან დაკავშირებულ საჩივრებსა და აპელაციებზე.





იურიდიული ანალიტიკოსი ატარებს სარჩევნო კანონმდებლობისა და წესების ექსპერტიზას. იგი აფასებს, თუ რამდენად შეესაბამება კანონმდებლობა და მისი რეალიზაცია მუშაობის წინაშე აღებული ვალდებულებებსა და სხვა უნივერსალურ პრინციპებს და გამოიყენება თუ არა ქვეყნის შიდა სამართალი სრულად და მიუკერძოებლად. იურიდიული ანალიტიკოსი აგრეთვე თვალყურს ადევნებს არჩევნებთან დაკავშირებულ დავებს, საჩივრებს, სასამართლო საქმეებსა და აპელაციებს. ეს შესაძლებელს ხდის იმის შეფასებას, თუ რამდენად ხელმისაწვდომია ქმედითი ზომები მომხივანთათვის და რამდენად მიუკერძოებელი არიან სასამართლო ორგანოები არჩევნებთან დაკავშირებული საქმეების გარჩევისას.

პოლიტიკური ანალიტიკოსი წარმოადგენს არჩევნებზე დაკვირვების მისიის მთავარ მეკავშირეს კანდიდატებთან და პოლიტიკურ პარტიებთან ურთიერთობისას და აფასებს პოლიტიკური კამპანიის შესაბამისობას მუშაობის წინაშე აღებული ვალდებულებებთან და სხვა უნივერსალურ პრინციპებთან. იგი კონტაქტს აძლევს საარჩევნო პროცესთან კავშირის მქონე პოლიტიკურ პარტიებთან, სამოქალაქო საზოგადოების წევრებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკურ ანალიტიკოსს შეიძლება დაევალოს კონკრეტული მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა ქალთა მონაწილეობა, უმცირესობათა საკითხები და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საკითხები. პოლიტიკურ ანალიტიკოსს შეიძლება აგრეთვე დაევალოს არჩევნებზე ადგილობრივ დამკვირვებლებთან ძირითადი საკონტაქტო პირის ფუნქციათა შესრულება.

მედიის ანალიტიკოსი კოორდინაციას უწევს ანალიტიკურ გუნდს, რომელსაც საარჩევნო პროცესის განმავლობაში ძირითადი ელექტრონული და ბეჭდვითი მედიის მუშაობის ხარისხისა და შინაარსის თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზი ევალება. იგი აფასებს, თუ რამდენად თანაბრად ხელმისაწვდომია მედია პარტიებისა და კანდიდატებისთვის მუშაობის წინაშე აღებული ვალდებულებებისა და სხვა უნივერსალური პრინციპების თანახმად. მედიის ანალიტიკოსი აკონტროლებს, ასრულებს თუ არა მედია, განსაკუთრებით კი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი მედია, თავის მოვალეობას, უზრუნველყოს საარჩევნო პროცესის გაწონასწორებული და ნეიტრალური გაშუქება. საბოლოო ჯამში, მედიის ანალიტიკოსმა უნდა შეაფასოს, იძლევა თუ არა მედია საკმარის, გაწონასწორებულ და ნაირფეროვან ინფორმაციას, რომელიც საშუალებას მისცემს ამომრჩევლებს, გააკეთონ კარგად ინფორმირებულობაზე დაფუძნებული არჩევანი. მედიის ანალიტიკოსი ეცნობა მედიასთან დაკავშირებულ კანონმდებლობას და აფასებს, ასრულებენ თუ არა მედია და სახელისუფლო ორგანოები მედიასთან დაკავშირებულ კანონებსა და სამართლებრივ ნორმებს. მედიის ანალიტიკოსი აგრეთვე თვალყურს ადევნებს მედიის მარეგულირებელი ნებისმიერი ორგანოს საარჩევნო საქმიანობას და არჩევნებთან დაკავშირებულ დავებს, რომლებიც მედიას შეეხება. მედიის ანალიტიკოსს შეიძლება აგრეთვე დაევალოს ახალი ამბების ყოველდღიური შემაჯამებელი მიმოხილვების მომზადება.

სტატისტიკური ანალიტიკოსი პასუხისმგებელია სტატისტიკურ ანალიზზე არჩევნების დღეს მოპოვებული უმთავრესი მონაცემებისა, რომლებიც ემყარება მოკლევადიანი დამკვირვებლების მიერ შევსებულ ფორმებს და განკუთვნილია საარჩევნო უბნებისა და ხმათა დათვლის ცენტრების პროცედურათა შესაფასებლად.





სტატისტიკური ანალიტიკოსი კონსულტაციებს იძლევა მოკლევადიანი დამკვირვებლების ფორმათა შედგენის თაობაზე შესაბამისი არჩევნებისთვის და მეთვალყურეობას უწევს მონაცემების შეტანაზე პასუხისმგებელ გუნდს. წინასწარი მონაცემები გაანალიზებული და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ადრე დილით, უშუალოდ არჩევნების დღის შემდეგ, რათა შესაძლებელი იყოს დაკვირვების შედეგების ინკორპორირება წინასწარ განცხადებაში. სტატისტიკური ანალიტიკოსი ქვეყანაში ჩადის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე და იქიდან მიემგზავრება მას შემდეგ, რაც მოკლევადიანი დამკვირვებლების ყველა ფორმა დამუშავებული და გაანალიზებული იქნება.

ბრძელვადიანი დამკვირვებლების კოორდინატორი ძირითადი გუნდის მთავარი საკონტაქტო პირია გრძელვადიან დამკვირვებლებთან საურთიეროდ. გრძელვადიანი დამკვირვებლების კოორდინატორი, მისიის ხელმძღვანელის მოადგილესთან კოორდინაციით, ადგენს გრძელვადიანი დამკვირვებლების განთავსების გეგმის პროექტს, იმის უზრუნველსაყოფად, რომ მთელს ქვეყანაში არჩევნებთან დაკავშირებით მიმდინარე მოვლენები ადეკვატურად იქნეს გაშუქებული. იგი მართავს ბრიფინგს გრძელვადიანი დამკვირვებლებისათვის, როდესაც ისინი მიმდებ ქვეყანაში ჩადიან, შემდგომ კი აწვობს მათს გამოკითხვებს დაკვირვების მიმდინარეობისას. გრძელვადიანი დამკვირვებლების კოორდინატორი მითითებებს აძლევს გრძელვადიან დამკვირვებლებს, უზრუნველყოფს, რომ მათ საკუთარი მოვალეობანი შეასრულონ და მისიისაგან მიიღონ მათთვის საჭირო დახმარება, აქვს მათთან მუდმივი კონტაქტი და ღებულობს და აანალიზებს მათს ანგარიშებს. იგი აგრეთვე კონსულტაციას იძლევა ქვეყნის რეგიონებში მოკლევადიანი დამკვირვებლების სათანადო განაწილებასთან დაკავშირებით, განთავსების გაწონასწორებული და წარმომადგენლობითი გეგმის შედგენის მისაღწევად და შეიძლება პასუხს აგებდეს ადგილობრივად მობილიზებული მოკლევადიანი დამკვირვებლების განთავსების კოორდინირებაზე. გრძელვადიანი დამკვირვებლების კოორდინატორი მთავარ როლს თამაშობს არჩევნების დღისა და არჩევნების დამის შესახებ გრძელვადიანი და მოკლევადიანი დამკვირვებლების მიერ ანგარიშების მომზადების ორგანიზებასა და დაგეგმვაში იმის უზრუნველსაყოფად, რომ წინასწარი განცხადების მოსამზადებლად შესაძლებელი იყოს სრული და დროული ანგარიშების გამოყენება.

თანამშრომელი ლოგისტიკის საკითხებში დაკავებულია არჩევნებზე დაკვირვების მისიის ლოგისტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა საკითხით. იგი, ჩვეულებრივ, ქვეყანაში ჩადის ძირითადი გუნდის დანარჩენ წევრებზე რამდენიმე დღით ადრე და პოულობს და ქირაობს შესაფერის საოფისე შენობა-სათავსოებს, მოწყობილობას, კომუნიკაციის საშუალებებს და აგრეთვე ადვენს, რა შესაძლებლობები არსებობს პერსონალის დასაბინავებლად. თანამშრომელი ლოგისტიკის საკითხებში აგრეთვე ხელს უწყობს ადგილობრივი დამხმარე სტატის დაქირავებას. როდესაც არჩევნების დღე ახლოვდება, თანამშრომელი ლოგისტიკის საკითხებში ახორციელებს მოკლევადიან დამკვირვებელთა განთავსების გეგმას (გრძელვადიანი დამკვირვებლების კოორდინატორთან და მისიის ხელმძღვანელთან კოორდინაციით) და სათანადო ზომებს ღებულობს, რათა უზრუნველყოს მოკლევადიანი დამკვირვებლები თარჯიმნებით, მძღოლებით და საცხოვრებელი ფართით. იგი შეიძლება აგრეთვე პასუხს აგებდეს არჩევნებზე დაკვირვების მისიის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, იმ შემთხვევაში, თუკი დანიშნული





არა ყოფილა თანამშრომელი უსაფრთხოების საკითხებში. თანამშრომელი ლოგისტიკის საკითხებში ქვეყანაში რჩება რამდენიმე დღეს ძირითადი გუნდის დანარჩენი წევრების იქიდან გამგზავრების შემდეგ, რათა დახმარება გასწიოს არჩევნებზე დაკვირვების მისიის დახურვაში.

რამდენადაც ეშთო-ს პერსონალის, არჩევნებზე დაკვირვებელთა ჩათვლით, უსაფრთხოებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ სადამკვირვებლო საქმიანობისას, არჩევნებზე დაკვირვების მისიებში, როდესაც ეს აუცილებელია, რეგულარულად ინიშნება **თანაფრთხილი უსაფრთხოების საკითხებში**. როგორც წესი, თანამშრომელს უსაფრთხოების საკითხებში რეგულარული კონტაქტები აქვს მიმღები ქვეყნის შესაბამის სახელისუფლო ორგანოებთან, განსაკუთრებით სამართალდამცავ დაწესებულებებთან; იგი უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ რეგულარულ ბრიფინგებს უტარებს არჩევნებზე დაკვირვების მისიის წევრებს, გრძელ- და მოკლევადიანი დამკვირვებლების ჩათვლით; ამზადებს ევაკუაციის გეგმას, სამედიცინო ევაკუაციის ჩათვლით; და მჭიდრო კავშირი აქვს უსაფრთხოების საკითხებში ეშთო-ს კოორდინატორთან ვენაში და ეშთო-ს მუდმივი მისიებისა თუ ოფისების თანამშრომლებთან უსაფრთხოების საკითხებში, როგორც ამას საჭიროება მოითხოვს.

თანაფრთხილი საფინანსო საკითხებში ადგენს და მართავს არჩევნებზე დაკვირვების მისიის დეტალურ ბიუჯეტს, თანახმად „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ წესებისა და პროცედურებისა. იგი ახდენს არჩევნებზე დაკვირვების მისიის ფინანსებისა და ხარჯების ადმინისტრირებას, ოფისებთან და მოწყობილობით სარგებლობის საფასურის, ხელფასების, ყოველდღიური და სხვა ხარჯების ჩათვლით, და უზრუნველყოფს, რომ მათი გადახდა ბიუჯეტის თანახმად მოხდეს. იგი აგრეთვე ადგენს ან ზედამხედველობას უწევს ადგილობრივ დამხმარე შტატთან და იჯარით აღებულ მოწყობილობასთან და ობიექტებთან დაკავშირებულ კონტრაქტებს. თანამშრომელი საფინანსო საკითხებში, ჩვეულებრივ, ქვეყანაში ჩადის ლოგისტიკის საკითხებში თანამშრომელთან ერთად ძირითადი გუნდის დანარჩენ წევრებამდე რამდენიმე დღით ადრე და ქვეყანაში რჩება, რათა დახმარება გასწიოს არჩევნებზე დაკვირვების მისიის დახურვაში.

თანაფრთხილი პარლამენტთან ურთიერთობის საკითხებში არჩევნებზე დაკვირვების მისიის ძირითად მუკავშირეს წარმოადგენს ამა თუ იმ კონკრეტულ არჩევნებზე დაკვირვების მწარმოებელ საპარლამენტო დელეგაციებთან. მათ რიცხვში შეიძლება შედიოდნენ ეშთო-ს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის პარლამენტის ან, ზოგ შემთხვევაში, სხვა საპარლამენტო ორგანოების წევრები. კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, თანამშრომელს პარლამენტთან ურთიერთობის საკითხებში შეიძლება დაევალოს ბრიფინგების, ლოგისტიკური მხარდაჭერის, განთავსების გეგმებისა და პარლამენტარებისათვის განკუთვნილი სხვა ღონისძიებების ორგანიზება. თანამშრომელს პარლამენტთან ურთიერთობის საკითხებში მჭიდრო კონტაქტი აქვს შესაბამისი საპარლამენტო ორგანოების ადმინისტრაციულ შტატთან. იგი, ჩვეულებრივ, ქვეყანაში ჩადის არჩევნებამდე ორი-სამი კვირით ადრე და იქ რჩება პარლამენტარების ქვეყნიდან გამგზავრებამდე.





6.2 გრძელვადიანი დამკვირვებლები

ბრძელვადიანი დამკვირვებლების გაგზავნის მოთხოვნა ხდება ექსპერტ-ს 55-ე მონაწილე სახელმწიფოსათვის გადაცემული ვერბალური ნოტიო, რომელშიც „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“ მოითხოვს სათანადო საარჩევნო ადმინისტრირების და/ან შედარებითი სადამკვირვებლო გამოცდილების მქონე პირთა მივლენას, რომლებიც გრძელვადიანი დამკვირვებლების მოვალეობებს შეასრულებენ. გრძელვადიანი დამკვირვებლებს უნდა შეეძლოთ დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ობიექტური ურთიერთობების წარმოება მუნიციპალურ ან რეგიონალურ ოფიციალურ პირებთან, საარჩევნო ადმინისტრაციის ოფიციალურ პირებთან, პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების წარმომადგენლებთან და შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მათ უნდა შეეძლოთ მოამზადონ მიმღები ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე არსებული წინასაარჩევნო გარემოს დამოუკიდებელი ანალიზი, რომელიც ჩართული იქნება „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ ანგარიშების საერთო სისტემაში. მიმღები ქვეყანა საკუთარ თავზე იღებს გრძელვადიანი დამკვირვებლების განთავსებისა და მხარდაჭერის ხარჯების უმეტეს ნაწილს.

გრძელვადიანი დამკვირვებლები, ჩვეულებრივ, ქვეყანაში ჩადიან არჩევნებზე დაკვირვების მისიის გახსნიდან დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ და რჩებიან დაახლოებით ერთ კვირას არჩევნების დღის შემდეგ. მათ, ჩვეულებრივ, ორკაციან გუნდებად, რომლებშიც სხვადასხვა მოქალაქეობის მქონე პირები შედიან, განთავსებენ ხოლმე მიმღები ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, თანახმად განთავსების გეგმისა, რომელიც გაწონასწორებული გეოგრაფიული დაფარვის შესაძლებლობას იძლევა. გრძელვადიანი დამკვირვებლებს მოეთხოვებათ იმუშაონ მუნიციპალურ, საოლქო, ან პროვინციულ დონეებზე და დარჩნენ თავიანთ რეგიონებში მთელი საარჩევნო პროცესის განმავლობაში, თუკი სხვაგვარ მითითებას არ მიიღებენ. მათ, როგორც წესი, მოეთხოვებათ დაესწრონ პერიოდულ გამოკითხვებს ცენტრალურ დონეზე. გრძელვადიანი დამკვირვებელთა რაოდენობა შეიძლება ვარიირებდეს ქვეყნის სიდიდიდან და სხვა კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე.

თავიანთი მოვალეობების შესრულების ზონაში მათ განთავსებამდე, გრძელვადიანი დამკვირვებლებს უტარდებათ ამომწურავი ბრიფინგი, რომელშიც შედის:

- ექსპერტ-ს საქმიანობისა და „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნებზე დაკვირვების მისიის ფარგლებში გრძელვადიანი დამკვირვებლების როლის მოკლე მიმოხილვა;
- „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნებზე დაკვირვების მეთოდოლოგიისა და ქვეყნის კოდექსის მიმოხილვა;
- საარჩევნო სისტემის, საარჩევნო კანონისა და წესების, და საარჩევნო ადმინისტრაციის სტრუქტურის ანალიზი;
- მოკლე პოლიტიკური მიმოხილვა;
- ადწერა ნებისმიერი იმ ძირითადი საკითხისა, რომელზეც დაკვირვება უნდა მოხდეს, და ნებისმიერი იმ სპეციფიკური დავალებებისა, რომლებიც უნდა შესრულდეს;
- მოკლე მიმოხილვა გენდერული და უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხებისა, საჭიროებისდა მიხედვით;





- მიმოხილვა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხებისა, საჭიროებისდა მიხედვით;
- ლოგისტიკასთან, ფინანსებთან და განთავსებასთან დაკავშირებული ინფორმაცია; და
- ინსტრუქტირება ანგარიშების მომზადებისა და სხვა ამოცანების თაობაზე.

არჩევნებზე დაკვირვების მისიის თანამშრომელი ლოგისტიკის საკითხებში ეხმარება გრძელვადიან დამკვირვებლებს თარჯიმნებისა და მძღოლების დაქირავებაში, მოვალეობების შესრულების ზონამდე მათი ტრანსპორტირების ორგანიზებაში, და აგრეთვე უზრუნველყოფს გრძელვადიან დამკვირვებელთა თითოეულ გუნდს ისეთი ძირითადი აღჭურვილობით, როგორცაა „ნოუტბუკის“ ტიპის კომპიუტერი და მობილური ტელეფონი. გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა თავიანთი საცხოვრებელი სათავსოდან უნდა იმუშაონ, რამდენადაც არჩევნებზე დაკვირვების მისიათა ბიუჯეტები არ ითვალისწინებს გრძელვადიანი დამკვირვებლებისთვის განკუთვნილი საოფისე ფართის სახსრებს.

გრძელვადიან დამკვირვებელთა ყოფნა უზრუნველყოფს, რომ არჩევნებზე დაკვირვების მისია შეძლებს ეფექტიანად მოიცვას თავისი საქმიანობით მთელი ქვეყნის ტერიტორია. გრძელვადიან დამკვირვებელთა თითოეული გუნდი დაკვირვებასთან და ანგარიშების მიწოდებასთან დაკავშირებულ თავის საქმიანობას აწარმოებს რეგიონებში, ზუსტად ისევე, როგორც ძირითადი გუნდი აწარმოებს ამავე საქმიანობას ეროვნულ დონეზე. გრძელვადიან დამკვირვებელთა თითოეული გუნდი საკუთარ დროს უთმობს არჩევნებთან დაკავშირებული არსებითი საკითხების მონიტორინგსა და ლოგისტიკურ და განთავსებასთან დაკავშირებულ სამზადისს მოკლევადიანი დამკვირვებლებისთვის, რომლებიც მათს ზონაში იქნებიან განთავსებულნი და მათი უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ იმუშავენ.

გრძელვადიანი დამკვირვებლის არსებითი როლი მდგომარეობს საარჩევნო ადმინისტრაციის ეფექტიანობისა და მიუკერძოებლობის, საარჩევნო კანონისა და წესების აღსრულების, კამპანიის ხასიათისა და პოლიტიკური გარემოს დაკვირვებასა და შეფასებაში. ამ მიზნით, გრძელვადიანი დამკვირვებლები ამყარებენ და ინარჩუნებენ კონტაქტს რეგიონალურ და ადგილობრივ საარჩევნო ადმინისტრაციებთან და სამთავრობო ორგანოებთან, პოლიტიკურ პარტიებთან და კანდიდატებთან, უმცირესობათა ჯგუფების ლიდერებთან და არჩევნებთან დაკავშირებულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან. ამ უკანასკნელთა რიცხვში შედის ადამიანის უფლებათა დაცვის ჯგუფები, არჩევნებზე დაკვირვების ადგილობრივი ჯგუფები, ქალთა ორგანიზაციები, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები და მედიის წარმომადგენლები. არჩევნებზე დაკვირვების მისიის მედიის ანალიტიკოსთან კოორდინაციით, გრძელვადიან დამკვირვებლებს შეიძლება ეთხოვოთ, თვალყური ადევნონ არჩევნების გაშუქებას რეგიონალურ მედიაში (მედიის ანალიზთან დაკავშირებით გასათვალისწინებელი საკითხების დეტალები შეტანილია წინამდებარე სახელმძღვანელოს მე-7 თავში).

გრძელვადიან დამკვირვებლებს მოეთხოვებათ, წარუდგინონ მისიის ხელმძღვანელს ყოველკვირეული ანგარიშები გრძელვადიანი დამკვირვებლების კოორდინატორის მეშვეობით. ამ ანგარიშებში შეჯამებული უნდა იყოს განვლილი კვირის განმავლობაში





გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ პროცესზე წარმოებული დაკვირვების ძირითადი შედეგები, და მათში აგრეთვე მითითებული უნდა იყოს სხვადასხვა გამართული შეხვედრები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ან გადაუდებელი ინფორმაციის შესატყობინებლად უნდა მომზადდეს ცალკე საგანგებო ანგარიშები. გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ წარმოებული დაკვირვების შედეგები გაერთიანდება არჩევნებზე დაკვირვების მისიის ანგარიშების საერთო სისტემაში.

გრძელვადიან დამკვირვებლებს მოეთხოვებათ, მოკლევადიან დამკვირვებლებს ჩაუტარონ შინაარსიანი ბრიფინგები საარჩევნო პროცესის იმ ასპექტების თაობაზე, რომლებსაც სპეციფიკური მნიშვნელობა აქვს მათს პასუხისმგებლობაში მყოფი ზონისათვის. ეს ბრიფინგები აშუქებს საარჩევნო პროცესის მთავარ ასპექტებს მათს რეგიონში და ძირითად პოლიტიკურ საკითხებს, აგრეთვე აქცენტრ კეთდება მნიშვნელოვან ინფორმაციაზე, რომელიც ლოგისტიკისა და უსაფრთხოების საკითხებს შეეხება. გრძელვადიან დამკვირვებლებს მოეთხოვებათ, დაესწრონ პერიოდულ შეკრებებს, რომლებსაც მისიის ხელმძღვანელი ატარებს დაკვირვების წარმოების განმავლობაში.

გრძელვადიანი დამკვირვებლების როლს მოკლევადიანი დამკვირვებლებისთვის ლოგისტიკური დახმარების აღმოჩენაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არჩევნებზე დაკვირვების მისიის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. გრძელვადიანი დამკვირვებლების ყველა გუნდმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მოკლევადიანი დამკვირვებლების იმ რაოდენობის განსაზღვრაში, რომელიც საჭირო იქნება არჩევნების დღეს დაკვირვების საწარმოებლად მათს რეგიონში; კონკრეტული რაოდენობა განისაზღვრება ძირითად გუნდთან კონსულტაციის საფუძველზე. ხელთარსებული მოკლევადიანი დამკვირვებლების საერთო რაოდენობიდან გამომდინარე. გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა უნდა შეადგინონ მოკლევადიან დამკვირვებელთა ადგილობრივი განთავსების გეგმები, რათა უზრუნველყოფილი იყოს საარჩევნო უზენებისა და ხმების დათვლის ცენტრების ადეკვატური და გაწონასწორებული დაფარვა მათს რეგიონებში. მათ აგრეთვე უნდა მოიძიონ შესაფერისი საცხოვრებელი ფართები, თარჯიმნები, მანქანები და მძღოლები მათს უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი გრძელვადიან დამკვირვებელთა გუნდებისათვის. გრძელვადიან დამკვირვებლებს შეიძლება მოუხდეთ დახმარების გაწევა საპარლამენტო დამკვირვებლებისათვის განკუთვნილი სპეციალური რეგიონალური ღონისძიებების ორგანიზებაში.

არჩევნების დღესა და არჩევნების დამეს გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა უნდა მოახდინონ მოკლევადიან დამკვირვებელთა მიერ ანგარიშების მიწოდების კოორდინირება, იმისთვის რათა უზრუნველყოფილი იქნეს ძირითადი გუნდის სრულად ინფორმირება ტენდენციებისა და მოვლენების შესახებ მათს შესაბამის რეგიონებში. გრძელვადიან დამკვირვებლებს, ჩვეულებრივ, მოეთხოვებათ ძირითად გუნდს ანგარიში წარუდგინონ ძალიან ადრე დილით არჩევნების შემდეგ, რათა უზრუნველყოფილი იქნეს რეგიონალური დაკვირვების შედეგების ასახვა არჩევნებზე დაკვირვების მისიის წინასწარ განცხადებაში. გრძელვადიან დამკვირვებლებს ხშირად სთხოვენ ხოლმე, მოკლევადიან დამკვირვებლებს მოუწიონ რეგიონალური გამოკითხვები დილით ადრე არჩევნების შემდეგ.





6.3 მოკლევადიანი დამკვირვებლები

მოკლევადიანი დამკვირვებლების გაგზავნის მოთხოვნა ხდება ეშთი-ს 55-ე მონაწილე სახელმწიფოსათვის გადაცემული ვერბალური ნოტიო, რომელშიც „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“ მოითხოვს სათანადო საარჩევნო ადმინისტრირების და/ან შედარებითი სადამკვირვებლო გამოცდილების მქონე პირთა მივლენას, რომლებიც მოკლევადიანი დამკვირვებლების მოვალეობებს შეასრულებენ. წარმგზავნი ქვეყანა საკუთარ თავზე იღებს მოკლევადიანი დამკვირვებლების ყველა ხარჯს.

მოკლევადიანი დამკვირვებლები, ჩვეულებრივ, ქვეყანაში დაახლოებით ერთ კვირას რჩებიან. მოკლევადიანი დამკვირვებლები ორკაციან გუნდებად არიან ხოლმე განთავსებულნი და დაკვირვებას აწარმოებენ ხმის მიცემასა და დათვლაზე არჩევნების დღეს. მათი განთავსება ხდება თანახმად გეგმისა, რომელიც ითვალისწინებს ფართო და გაწონასწორებულ დასწრებას მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე არჩევნების დღეს. განთავსების დაგეგმვის სირთულიდან გამომდინარე, შეუძლებელია გათვალისწინებული იქნეს მოკლევადიანი დამკვირვებელთა თხოვნები, განათავსონ ისინი კონკრეტულ ადგილებში, ანდა შეიყვანონ გუნდში რომელიმე გარკვეულ პარტნიორებთან ერთად. მოკლევადიანი დამკვირვებლების კონკრეტული მოვალეობანი და პროცედურები მოკლედ წინამდებარე სახელმძღვანელოს მე-8 და მე-9 თავებშია დახასიათებული.

უმრავლეს შემთხვევაში, „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“ აგრეთვე მიესალმება, მივლენილთა გარდა, მოკლევადიანი დამკვირვებლებად უცხოელთა ადგილობრივ დაქირავებას; ესენი, ჩვეულებრივ, არიან ხოლმე ეშთი-ს მონაწილე სახელმწიფოთა დიპლომატები ან სხვა მოქალაქეები, რომლებსაც რეკომენდაციას მათი საელჩოები აძლევენ. თუმცა, „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“ უფლებას იტოვებს, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მიიღოს ან უარყოს ამგვარი კანდიდატურები. სპეციალური შეთანხმების ძალით, სახელმწიფოებს, რომლებიც ეშთი-ს პარტნიორები არიან, შეუძლიათ დროდადრო გააგზავნონ მოწვეული დამკვირვებლები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ, როგორც მოკლევადიანი დამკვირვებლები.

როგორც უკვე ითქვა, 2001 წელს „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა“ დააარსა ნებაყოფლობითი ფონდი, რომელიც მას საშუალებას აძლევს, ხელთარსებული სახსრებიდან გამომდინარე, უზრუნველყოს დამკვირვებელთა გარკვეული მონაწილეობა ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპიდან და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოებიდან.

მოკლევადიანი დამკვირვებლები, ჩვეულებრივ, ქვეყანაში ჩადიან არჩევნებამდე დაახლოებით ოთხი დღით ადრე; ზუსტ განრიგს „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“ ადგენს ადგილობრივი გარემოებების საფუძველზე და დროულად ატყობინებს მას მონაწილე სახელმწიფოთა დელეგაციებს. ძირითადი გუნდი ატარებს ერთდღიან ბრიფინგს განრიგის მიხედვით მოკლევადიანი დამკვირვებლების ჩამოსვლის მეორე დღეს. მომდევნო დღეს მოკლევადიანი დამკვირვებლებს თავ-თავიანთ რეგიონებში განათავსებენ; შემდეგ მათ, როგორც წესი, ერთი დღე ეძლევათ არჩევნების წინა დღეს თავის მოვალეობათა შესრულების ზონის გასაცნობად.





მოკლევადიანი დამკვირვებლები არჩევნების დღეს მუშაობას ძალზე ადრე იწყებენ საარჩევნო უბნების გახსნის დაკვირვებით. დღის განმავლობაში, მოკლევადიანი დამკვირვებლები, ჩვეულებრივ, დაახლოებით 10 საარჩევნო უბანს მონახულებენ ხოლმე. შემდეგ ისინი ირჩევენ ერთ რომელიმე საარჩევნო უბანს, სადაც ისინი დაკვირვებას აწარმოებენ დახურვის პროცედურებსა და ხმების დათვლაზე. ზოგიერთ შემთხვევაში, მოკლევადიანი დამკვირვებლებს შეიძლება მოსთხოვონ, დარჩნენ ერთ საარჩევნო უბანზე, ანდა მათ შეიძლება დაევალოთ შედეგების შეჯამებაზე დაკვირვება საშუალო დონის საარჩევნო კომისიაში და/ან სხვა მოვალეობათა შესრულება, როგორც მაგალითად დაკვირვება ხმის მიცემის სპეციალურ პროცედურებზე (ხმის მიცემა სამხედროების მიერ ან ციხეებში, ანდა გადასატანი საარჩევნო ურნის თანხლება).

წინასაარჩევნო ბრიფინგზე დასწრება სავალდებულოა ყველა მოკლევადიანი დამკვირვებლისთვის; პირები, ვინც დროულად ვერ ჩამოვლენ ქვეყანაში ბრიფინგზე დასასწრებად, არ მიიღებენ შესაბამის არჩევნებზე დაკვირვების მისიების წვერებად. გამოცდილ დამკვირვებლებსაც კი ესაჭიროებათ ინსტრუქტირება კონკრეტულ არჩევნებთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხებისა და პროცედურების თაობაზე. ბრიფინგის თემატიკა მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნებზე დაკვირვების მეთოდოლოგია და დამკვირვებელთა ქცევის კოდექსი;
- მოკლე პოლიტიკური მიმოხილვა;
- საარჩევნო სისტემა;
- საარჩევნო კანონი და მისი პრაქტიკული რეალიზაცია;
- საარჩევნო ადმინისტრაცია;
- ხმის მიცემისა და დათვლის პროცედურები;
- გენდერული და უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხები;
- მედიის მოკლე მიმოხილვა;
- როგორ უნდა გაეცეს პასუხი მედიის შეკითხვებს;
- წინასაარჩევნო პერიოდი გრძელვადიანი დაკვირვების საფუძველზე;
- ნებისმიერი სპეციალური საკითხები ან პროცედურები, რომლებზეც დაკვირვება უნდა მოხდეს;
- როგორ უნდა შეივსოს და ჩაბარდეს საანგარიშო ფორმები;
- ლოგისტიკასთან, განთავსებასთან და ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები.

მოკლევადიანი დამკვირვებლებს ეძლევათ აკრედიტაცია წერილობით საინსტრუქციო მასალებთან ერთად, რომლებშიც შედის თითოეული არჩევნებისთვის სპეციალურად შედგენილი მოკლევადიანი დამკვირვებლის საინსტრუქციო წიგნაკი, ეროვნული საარჩევნო კანონისა და შესაბამისი წესების თარგმანი, ზოგადი ლოგისტიკური ინფორმაცია და საგანგებო საკონტაქტო ნომრები, ქვეყნის ან მოვალეობათა შესრულების ზონის რუკა, „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნებზე დაკვირვების სახელმძღვანელო, და საანგარიშო ფორმები. როდესაც ეს შესაძლებელია, მოკლევადიანი დამკვირვებლის საინსტრუქციო წიგნაკი ელექტრონული ფოსტით ეგზავნებათ მოკლევადიანი დამკვირვებლებს არჩევნების დღის წინ.



6.4 ადგილობრივი დამხმარე შტატი

არჩევნებზე დაკვირვების ყოველი მისიის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია მისი ადგილობრივი შტატი, რომელიც არჩევნებზე დაკვირვების მისიას ფასდაუდებელ ცოდნას უზიარებს. ჩვეულებრივ, ძირითადი გუნდის თითოეულ წევრს ჰყავს სულ მცირე ერთი ადგილობრივი თანაშემწე. ზოგიერთ დანაყოფს – განსაკუთრებით, მედიისა და ლოგისტიკის დანაყოფებს – ხშირად ადგილობრივი შტატის რამდენიმე წარმომადგენელი ესაჭიროება ხოლმე.

არჩევნებზე დაკვირვების მისიის ადგილობრივი შტატის წევრები თარჯიმნებისა და ადმინისტრაციული დამხმარე შტატის მოვალეობებს ასრულებენ საერთაშორისო პერსონალისთვის. ადგილობრივ შტატში შეიძლება შედიოდეს ხალხი, ვისაც გამოცდილება აქვთ ისეთ საკითხებში, რომლებიც დაკვირვების მისიისთვის განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენენ. გრძელვადიანი დამკვირვებლების თითოეულ გუნდსა და მოკლევადიანი დამკვირვებლების თითოეულ გუნდს დახმარებას აღმოუჩენს აგრეთვე თითო ადგილობრივი თარჯიმანი და მძღოლი.

მართალია, ადგილობრივი შტატის წარმომადგენლები არსებით როლს თამაშობენ არჩევნებზე დაკვირვების ყოველი მისიისათვის დახმარების აღმოჩენაში, მაინც თავად ისინი არ შეიძლება აკრედიტებულნი იყვნენ როგორც „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ დამკვირვებლები. ეს შეზღუდვები აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილი იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი ანალიზი, თავიდან იქნეს აცილებული პოტენციური ინტერესთა კონფლიქტები და მკაფიოდ იყოს ერთმანეთისაგან განცალკევებული საერთაშორისო დაკვირვების შედეგები და ქვეყნის შიგნით არსებული თვალსაზრისი.



7.

წინასაარჩევნო პერიოდზე დაკვირვება



ძირითადი გუნდისა და გრძელვადიანი დამკვირვებლების მოვალეობაა დაკვირვების წარმოება გრძელვადიან პროცესზე და შეფასება მისი შესაბამისობისა ეშტო-ს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან და სხვა უნივერსალურ პრინციპებთან. კონკრეტულად, გრძელვადიანმა დაკვირვებამ უნდა შეაფასოს საარჩევნო კანონმდებლობის რეალიზაცია, საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობა, საარჩევნო კამპანიის წარმოება და მედიის როლი. შემდეგ ნაწილებში გაშუქებულია ამ დარგების მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი და გამოსაკვლევი სფერო.

7.1 სამართლებრივი ბაზა

A. არჩევნებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და მისი რეალიზაცია

საარჩევნო კანონი: კონკრეტულ ქვეყანაში არჩევნებზე დაკვირვების მისიის განთავსებამდე, „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“, როდესაც კი ეს შესაძლებელია, ზომებს იღებს შესაბამისი საარჩევნო კანონის მიმოხილვისა და ანალიზისათვის. ეს იძლევა იმის ამოწმურადი შეფასების შესაძლებლობას, თუ რამდენად ახსავს კანონი ეშტო-ს წინაშე აღებულ ვალდებულებებსა და უნივერსალურ პრინციპებს. ამგვარი ანალიზი ტარდება „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ **არჩევნების სამართლებრივი ბაზის შესწავლის სახელმძღვანელო მითითებათა**¹⁶ შესაბამისად. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში ეს ანალიზი შეიძლება ჩატარდეს ერთობლივად ან თანამშრომლობით „ევროსაბჭოს კანონის მეშვეობით დემოკრატიის მიღწევის კომისიასთან“ (ვენეციის კომისია). არჩევნებზე დაკვირვების მისიის წევრები და, განსაკუთრებით, იურიდიული ანალიტიკოსი სრულყოფილად უნდა იცნობდნენ ნებისმიერ ამგვარ ანალიზს. თუ სახეზეა კანონმდებლობის აშკარა ნაკლოვანებები, ისინი უნდა აღინიშნოს და რეკომენდაციები შესაბამისი შესწორებების შეტანის

¹⁶ Guidelines for Reviewing a Legal Framework for Elections (ვარშავა, ეუთო/„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“, 2001).



თაობაზე შემდგომში ჩართული უნდა იქნეს არჩევნებზე დაკვირვების მისიის დასკვნით ანგარიში.

არჩევნებზე დაკვირვების მისია განიხილავს არა მარტო საკანონმდებლო აქტების შინაარსს, არამედ იმასაც, თუ როგორ იქნა ისინი შედგენილი და მიღებული. საარჩევნო კანონმდებლობა მოცემული ქვეყნის პოლიტიკური ფრაქციების ფართო მხარდაჭერით უნდა სარგებლობდეს. ამდენად, სამართლებრივი ბაზის შექმნა უნდა ხდებოდეს ღიად, საზოგადოების აქტიური მონაწილეობით, რათა მას გარანტირებული ჰქონდეს მეტოქე პოლიტიკური პარტიების, კანდიდატებისა და ამომრჩევლების საყოველთაო ნდობა. მნიშვნელოვანი ცვლილებები შეტანილი არ უნდა იქნეს არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, გარდა განსაკუთრებული გარემოებებისა და შემთხვევებისა, როდესაც საჭირო შესწორებები ფართო მხარდაჭერით სარგებლობს, რამდენადაც ამან შეიძლება დაბნეულობა გამოიწვიოს და არასტაბილური და არაპროგნოზირებადი გარემო შექმნას.

სხვა საკანონმდებლო აქტები: არჩევნების საკანონმდებლო ბაზა მოიცავს არა მარტო საარჩევნო კანონს, არამედ მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ მიღებული საკანონმდებლო აქტების ფართო სპექტრსაც. კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, იურიდიულ ანალიტიკოსს და, შესაძლოა არჩევნებზე დაკვირვების მისიის სხვა წევრებსაც, შეიძლება მოუხდეთ მიმოიხილონ საკონსტიტუციო დებულებები და არჩევნებთან დაკავშირებული სხვა საკანონმდებლო აქტები პოლიტიკურ პარტიათა შესახებ კანონის, მოქალაქეობის შესახებ კანონების, ამომრჩეველთა რეგისტრაციის შესახებ კანონების, კამპანიის დაფინანსების შესახებ კანონების, მედიის შესახებ კანონებისა და, შესაძლოა, სისხლის სამართლის კოდექსისა და ადმინისტრაციული კოდექსის ელემენტების ჩათვლით. ადამიანის უფლებებთან და დისკრიმინაციაზე უარის თქმასთან დაკავშირებული კანონები აგრეთვე შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს საარჩევნო პროცესისთვის. ხშირად აუცილებელია კანონებთან ერთად წესებისა და დეკრეტების მიმოხილვაც.

რეალიზაცია: საკანონმდებლო ბაზის მიუკერძოებელ და თანამიმდევრულ რეალიზაციას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს და არჩევნებზე დაკვირვების მისიის სერიოზულ ფურადღებას იმსახურებს. ჩვეულებრივ, რეალიზაციაზე და სამართალდარღვევაზე სხვადასხვა ორგანოები არიან ხოლმე პასუხისმგებელი: საარჩევნო კომისიები, პროკურატურები და სხვა სამთავრობო დაწესებულებები, ცენტრალური და ადგილობრივი სამთავრობო ორგანოები, მედიის მარეგულირებელი ორგანოები და პოლიცია. არჩევნებზე დაკვირვების მისია აკვირდება, თუ რამდენად ასრულებს თითოეული ეს ორგანო თავის მოვალეობებს კანონის მიმართ და ეშუაღობის წინაშე აღებული ვალდებულებებისა და სხვა უნივერსალური პრინციპების მიმართ. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ნებისმიერი არჩევნების გადამწყვეტი ფაქტორია ხელისუფლების პოლიტიკური ნება, მოახდინოს პროცესის რეალიზაცია მიუკერძოებლად, გამჭვირვალედ და ანგარიშგების ატმოსფეროში. მაშინაც კი, თუ კანონმდებლობა სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, ამას დიდი მნიშვნელობა ვერ ექნება, თუკი იგი სრულად და სამართლიანად არ იქნა რეალიზებული.





ბასათგალისწინაპელი შესაძლო პრობლემები:
<input type="radio"/> კანონმდებლობა, რომელიც სრულად არ შეესაბამება ეშთო-ს წინაშე აღებულ ვალდებულებებსა და სხვა უნივერსალურ პრინციპებს;
<input type="radio"/> კანონები რომლებიც ვერ სარგებლობს არჩევნებით დაინტერესებულ მთავარი მხარეების ნდობით;
<input type="radio"/> კანონმდებლობა, რომელიც ბუნდოვანია, სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს ინტერპრეტირებული და არ შეიცავს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პატივისცემის მყარ გარანტიებს;
<input type="radio"/> კანონები ან ადმინისტრაციული სამართლის ნორმები, რომლებიც ადეკვატურად არ იცავენ ადამიანის ძირითად უფლებებს;
<input type="radio"/> კანონმდებლობის მიუკერძოებლად, თანამიმდევრულად და გამჭვირვალედ რეალიზაციის ვერუზრუნველყოფა; და
<input type="radio"/> წესები, რომლებიც კანონის სულისკვეთებას შეიძლება არღვევდეს.

B. საჩივრები და აპელაციები

საკანონმდებლო ბაზის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია საჩივრებისა და აპელაციების პროცესი, რომელმაც კანონის დარღვევის შემთხვევაში ეფექტიანი და დროული ზომების მიღება უნდა უზრუნველყოს. საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული საჩივრები განხილული უნდა იქნეს სამართლიანად, გამჭვირვალედ და კანონთან სრულ შესაბამისობაში. საარჩევნო კანონში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული პროცედურები და ბოლო ვადები. დროის ფარგლები საკმაოდ მოკლე უნდა იყოს იმისათვის, რათა უზრუნველყოფილი იქნეს არსებითი ზომების მიღების შესაძლებლობა. უნდა არსებობდეს საჩივრების შეტანის ხელმისაწვდომი და ადეკვატური საშუალებანი.

დადგენილი უნდა იყოს საარჩევნო ორგანოებისადმი და სასამართლოებისადმი აპელაციით მიმართვის უფლება, რათა შესაძლებელი გახდეს საჩივრების შეტანის მკაფიო, გასაგები, ერთგვაროვანი, იერარქიული პროცესი, რომელიც განსაზღვრავს საარჩევნო კომისიის თითოეული დონისა და სასამართლოების თითოეული დონის როლებს. ეს შესაძლებლობას ადარ მისცემს მომჩივანს, მიმართოს ისეთ ორგანოს, რომლისგანაც იგი საჩივრის მისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელად განხილვას შეიძლება მოელოდეს, და ამას შეუძლია იმის უზრუნველყოფაც, რომ ყველა საჩივარი ერთნაირი წესით იქნება განხილული. თუ მომჩივნებს მოეთხოვებათ, პირველად საარჩევნო ორგანოებს მიმართონ, კანონი, მიუხედავად ამისა, მაინც უნდა აძლევდეს მას უფლებას, აპელაციით მიმართოს სასამართლოს მეორე და/ან მესამე ინსტანციის სახით. დამკვირვებლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ სასამართლოების დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას. საჩივრებს პასუხი დროულად უნდა გაეცეს, ხოლო ყველა მოსმენა და გადაწყვეტილების გამოსტანა საჯაროდ უნდა მოხდეს.

იურიდიულმა ანალიტიკოსმა თვალი უნდა მიადევნოს კამპანიის მსვლელობისას რეგისტრირებულ საჩივრებსა და იმას, თუ როგორ მოგვარდა ისინი. საჩივრების სია იმ საკითხების ინდიკატორად შეიძლება გამოდგეს, რომელთაც, შესაძლოა, არჩევნებზე დაკვირვების მისიის შემდგომი ყურადღება დასჭირდეს.





ბასათგალისწინაპელი შესაძლო პრობლემები:
<input type="radio"/> საჩივრების შეტანის გაურკვეველი ან ორაზროვანი პროცესი;
<input type="radio"/> სასამართლო სისტემა, რომელიც დამოუკიდებელი არ არის აღმასრულებელი ხელისუფლებისგან;
<input type="radio"/> სასამართლოში საქმის განხილვის სათანადო პროცესის არარსებობა;
<input type="radio"/> საჩივრებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გამოტანის გადადება არჩევნების შემდგომ პერიოდამდე;
<input type="radio"/> აპელაციების პროცესის რეალიზაციის გამჭვირვალობის არარსებობა; და
<input type="radio"/> კანონის დამრღვევა პასუხისგებაში არმცემა.

7.2 საარჩევნო ადმინისტრაცია

A. საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობა

საარჩევნო კომისიები: ეროვნული საარჩევნო ადმინისტრაცია, როგორც მაგალითად ცენტრალური საარჩევნო კომისია ან მისი ეკვივალენტური ორგანო, ჩვეულებრივ პასუხისმგებელია ხოლმე არჩევნების ადმინისტრირებაზე. ზოგ შემთხვევაში, საარჩევნო პროცესს შეიძლება მეთვალყურეობას უწევდნენ სასამართლო ორგანოები. რომელ ორგანოსაც არ უნდა დაევალოს კონკრეტული არჩევნების ადმინისტრირება, მისი მუშაობა უნდა იყოს კოლეგიალური, მიუკერძოებელი, გამჭვირვალე და დამოუკიდებელი ხელისუფლებისა და პოლიტიკური ზეგავლენისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის დამოუკიდებლობა ძლიერდება, თუ იგი შედგება პატივცემული და სათანადოდ კვალიფიცირებული პირებისგან, ხოლო მისი წევრები დასახელებულნი არიან ინტერესთა ბალანსის საფუძველზე. მას უნდა შეეძლოს საარჩევნო კანონმდებლობის რეალიზაცია გარეშე ჩარევის, დაშინების, ან მისი მოვალეობების შესრულებისთვის ხელის შეშლის გარეშე. ადმინისტრირების განმახორციელებელი ორგანო შეიძლება აგრეთვე შეიქმნას პოლიტიკური პარტიების მიერ დასახელებული წარმომადგენლების ბალანსის საფუძველზე. პარტიულ წარმომადგენელთა ბალანსს შეუძლია ხელი შეუშალოს პოტენციურ არასათანადო ადმინისტრირებას ანდა თანამდებობის ბოროტად გამოყენებას, განსაკუთრებით თუ პარტიები საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე არიან წარმოდგენილნი. თუ საარჩევნო კომისიები პოლიტიკური პარტიების კანდიდატებისგან შედგება, მათ უნდა ეკრძალებოდეთ კამპანიის წარმოება და უნდა შეეძლოთ იმოქმედონ დამოუკიდებლად, შურისგების ან გამოსხობის შიშის გარეშე.

თუ არჩევნების ადმინისტრირება სასამართლო ორგანოს ევალება, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი დამოუკიდებლობა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისა და პოლიტიკური ძალებისაგან, აგრეთვე სასამართლო პროცედურების გამჭვირვალობითაც. საარჩევნო ადმინისტრაციაში დანიშნული სასამართლო ორგანოს წარმომადგენელი უნდა სარგებლობდეს იმუნტეტით თანამდებობაზე საკუთარი კანდიდატურის წამომყენებელთა უფლებამოსილებისაგან.





ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანო შეიძლება მუდმივი ორგანო იყოს ან ჰქონდეს მუდმივი კომიტეტი მაინც. თუ იგი მუდმივი ორგანო არ არის, მისი დამოუკიდებლობა გარანტირებული უნდა იყოს მისი წევრების თანამდებობაზე ყოფნის ფიქსირებული ვადებით და ადრინდელ სამუშაოზე დაბრუნების უფლებით.

როდესაც საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა სხდომა ღიაა, ამით ფრიად ძლიერდება გამჭვირვალობა, რაც ზრდის სისტემისადმი საზოგადოების ნდობას. ალტერნატივის სახით, საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანოებმა თავიანთი გადაწყვეტილებები უნდა გამოაქვეყნონ დაუყოვნებლივ მათი გამოტანის შემდეგ და ჩაატარონ რეგულარული და დროული ბრიფინგები მედიისათვის.

საზოგადოების ყველაზე დიდი ნდობით საარჩევნო კომისიები მაშინ სარგებლობენ, როდესაც მათ კონსენსუსის ან კოლეციალურობის საფუძველზე მუშაობა შეუძლიათ. ყველა სხდომა დროულად უნდა გამოცხადდეს, ყველა საჭირო დოკუმენტი კი თანასწორად მიეწოდოს კომისიის ყველა წევრს ისეთიანად, რომ მათ საკმარისი დრო დარჩეთ სესიამდე ამ დოკუმენტების გასაცნობად. უნდა ჩაიწეროს თითოეული სხდომის ოქმი.

ისეთ გარემოში, რომელიც გამჭვირვალობის დევიციტით ხასიათდება, არჩევნებზე დაკვირვების მისია, და განსაკუთრებით საარჩევნო ანალიტიკოსი, უნდა დაესწროს ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა სხდომას, ხოლო გრძელვადიანი დამკვირვებლები უნდა დაესწრონ რეგიონალური და ადგილობრივი საარჩევნო ადმინისტრაციების სხდომებს. ადგილობრივ დამკვირვებლებს აგრეთვე უნდა მიეცეთ უფლება, დაესწრონ და თვალი ადევნონ საარჩევნო კომისიის სხდომების მსვლელობას.

საარჩევნო ადმინისტრაციაში მონაწილე სხვა ორბანოები: საარჩევნო კომისიების გარდა, არჩევნების მოსამზადებლად და ჩასატარებლად საჭირო ადმინისტრაციული და ლოგისტიკური ქმედებების განხორციელება შეიძლება დაევალოს სხვადასხვა სამთავრობო სამინისტროებსა და რეგიონალურ და ადგილობრივ ოფიციალურ პირებს. მათ შეიძლება პასუხისმგებლობა ეკისრებოდეთ ამომრჩეველთა რეესტრების მომზადებასა და ამომრჩეველთა სიების, საარჩევნო ბიულეტენების, საარჩევნო ურნების, საარჩევნო კაბინების, ოფიციალური ბეჭდების და ყველა სხვა საჭირო მასალების დარიგება-განაწილებაზე, ისევე როგორც შესანახად, დასარიგებლად და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებათა განსახდვრაზე. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს ხშირად მოეთხოვებათ საარჩევნო უბნებისთვის შენობა-სათავსოების გამოყოფა.

არჩევნებისათვის მზადებაში მონაწილე ყველა ორგანომ თავისი მოვალეობანი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პირობებში უნდა შეასრულოს. დამკვირვებლები უნდა გაერკვნენ, თუ რა როლს თამაშობენ სამინისტროები და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები საარჩევნო პროცესის ორგანიზებაში და რამდენად უწყობენ ისინი ხელს არჩევნების ეფექტიან ადმინისტრირებას.





ბასათგალისწინაპელი ზმსაქლო პრობლემაი:	
<input type="radio"/>	საარჩევნო კომისიები, რომლებიც ვერ სარგებლობენ არჩევნებით დაინტერესებული მხარეების საყოველთაო ნდობით;
<input type="radio"/>	კომისიები, რომლებიც პოლიტიკური ზეწოლის ქვეშ იმყოფებიან, ანდა არ გააჩნიათ დამოუკიდებლობა აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან;
<input type="radio"/>	კომისიები, რომლის წევრებიც ტენდენციას ავლენენ, გადაწყვეტილებები თავ-თავიანთი პოლიტიკური პლატფორმებიდან გამომდინარე მიიღონ, და არა საერთო შეთანხმების საფუძველზე;
<input type="radio"/>	კომისიები, რომლებიც თავიანთ სხდომებს საჯაროდ არ ატარებენ, ანდა სრულად არ აქვეყნებენ თავიანთ გადაწყვეტილებებს;
<input type="radio"/>	კომისიებში ადგილების მოპოვებაში ხელის შემშლელი ნებისმიერი სიძნელეები, რომლებიც არჩევნებით დაინტერესებულ მთავარ მხარეებს ექმნებათ;
<input type="radio"/>	ბოლო წუთის განხორციელებული ცვლილებები საარჩევნო კომისიის წევრთა შემადგენლობაში, ანდა წევრთა გამოსხმობა; და
<input type="radio"/>	საარჩევნო კომისიებსა და არჩევნების ჩატარების მხარდაჭერაზე პასუხისმგებელ რეგიონალურ ან ადგილობრივ ოფიციალურ პირთა შორის ეფექტიანი კოორდინაციის არარსებობა.

B. რესურსები

მატირიალური რესურსები: როგორი კონკრეტული თავისებურებებითაც არ უნდა ხასიათდებოდეს სხვადასხვა საარჩევნო პროცესების დაფინანსების შესაბამისი ეროვნული სისტემა, საარჩევნო ადმინისტრაციას, გამჭვირვალობის დაცვით, სახელმწიფო ან მუნიციპალური ბიუჯეტებიდან უნდა გამოეყოს მისი მოვალეობების შესასრულებლად საკმარისი სახსრები. საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობის ხარისხი შეიძლება გაიზარდოს, თუკი მას, დადგენილ დონეებზე, აქვს თავისი საკუთარი საზოგადოებრივი ბიუჯეტი, ნაცვლად იმისა, რომ თანხები საგანგებო საბიუჯეტო პროცედურის მეშვეობით გამოეყოფოდეს.

დამკვირვებლებმა უნდა დაადგინონ, აქვს თუ არა საარჩევნო ადმინისტრაციას რეალისტური წარმოდგენა ქმედითი საარჩევნო პროცესისათვის საჭირო რესურსებთან დაკავშირებული მოთხოვნილებების შესახებ და ამ მოთხოვნილებათა დამკვირვებლების ადეკვატური საშუალებანი. მათ რიცხვში შედის საარჩევნო კომისიების წევრთათვის ანაზღაურების გადასახდელი თანხები, საარჩევნო უბნების მოსაწყოად გამოსადგეი სათავსოების საკმარისი რაოდენობა, საარჩევნო უბნისთვის საჭირო აღჭურვილობა (საარჩევნო ბიულეტენები, საიმედო და ადეკვატური საარჩევნო ურნები, ადეკვატური საარჩევნო კაბინები) და საკომუნიკაციო და კომპიუტერული საშუალებები.

საკადრო რესურსები: ადეკვატური ადამიანური რესურსები და სპეციალიზებული ცოდნა ასევე საჭიროა არჩევნების ეფექტიანად ჩასატარებლად. დამკვირვებლებმა უნდა დაადგინონ, დაინიშნა თუ არა საარჩევნო ოფიციალურ პირთა საკმარისი რაოდენობა, მიეცათ თუ არა საარჩევნო ოფიციალურ პირებს მკაფიო მითითებები და ინსტრუქციები, და კარგად იცნობენ თუ არა საარჩევნო ოფიციალური პირები არჩევნების დღეს შესასრულებელ დავალებებს.





დამკვირვებლებმა უნდა შეაფასონ, გაიარეს თუ არა საარჩევნო კომისიის წევრებმა, პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული წევრების ჩათვლით, სტანდარტიზებული ტრენინგი საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე. გრძელვადიანი დამკვირვებლები, როდესაც კი ეს შესაძლებელია, უნდა დააკვირდნენ რეგიონალურ და ადგილობრივ საარჩევნო ოფიციალურ პირთათვის გამართული ამგვარი ტრენინგების სესიებს.

ბასათგალისწინებული შესაძლო პრობლემები:
<input type="radio"/> საარჩევნო კომისიები, რომლებსაც არა აქვთ საზოგადოებრივი ბიუჯეტი;
<input type="radio"/> გაურკვეველობა იმასთან დაკავშირებით, სხვადასხვა სახის დაფინანსებისა და დახმარების გაწევა სახელმწიფო ორგანოებს ევალებათ თუ ადგილობრივებს;
<input type="radio"/> საკმარისი სახსრების უქონლობა მოულოდნელი არჩევნებისათვის;
<input type="radio"/> ხმის მიცემისთვის საჭირო არაადეკვატური აღჭურვილობა;
<input type="radio"/> საარჩევნო უბნები სათავსოებში, რომლებიც ძალზე მცირეა, ანდა მიუდგომელია უნარშეზღუდული ამომრჩევლებისთვის;
<input type="radio"/> საარჩევნო უბნის გამოსუცდელი ოფიციალური თანამშრომლები;
<input type="radio"/> საარჩევნო უბნის ოფიციალურ თანამშრომელთა არასაკმარისი მომზადება;
<input type="radio"/> ხმის მიცემის პროცედურასთან დაკავშირებული მკაფიო წერილობით ინსტრუქციების ნაკლებობა; და
<input type="radio"/> საარჩევნო უბნის პერსონალი, რომელიც მეტიმეტად გვიან დაინიშნა, რის გამოც ვერ გაიარა სათანადო მომზადება.

C. კანდიდატებისა და პოლიტიკური პარტიების რეგისტრაცია

საარჩევნო ადმინისტრაცია, ჩვეულებრივ, პასუხისმგებელია არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა რეგისტრაციაზე. იგივე ზოგადი პრინციპები, რომლებიც საუბრედად უდევს ხმის მიცემის უფლებას, მიესადაგება კანდიდატობის უფლებასაც. ყველა პოლიტიკურ ძალებსა და მოძრაობებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, თავისუფლად და თანაბარი პირობებით დაასახელონ და წამოაყენონ კანდიდატები. ნებისმიერი თვითნებური და დისკრიმინაციული მეთოდები, რომელთა მიზანიც გარკვეული კანდიდატებისა თუ პოლიტიკური ძალების დისკვალიფიკაცია ან მათთვის ძირის გამოთხრაა, ეწინააღმდეგება მშო-ს წინაშე აღებულ ვალდებულებებს.

არ უნდა არსებობდეს კანდიდატებისთვის არანაირი შეზღუდვები ისეთი მიზეზების გამო, როგორებიცაა რასა, სქესი, რელიგია, პოლიტიკური კუთვნილება, ეთნიკური წარმომავლობა, ან ეკონომიკური მდგომარეობა. თუმცა, საუკეთესო პრაქტიკული მეთოდები არ გამორიცხავს გონივრულ კვტებსა თუ პრიორიტეტებს, რომელთა მიზანიც ქალების ან უმცირესობათა ჯგუფების უფრო სამართლიანი წარმომადგენლობის უზრუნველყოფაა.

არსებობს გარკვეული გონივრული შეზღუდვები, რომლებიც გამოყენებული შეიძლება იქნეს თანამდებობაზე საკუთარი კანდიდატურების წამოყენების მსურველ პირთა მიმართ. მაგალითად, გამართლებული შეიძლება იყოს არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმა პირთათვის, რომლებიც ამჟამად პატიმრობის ვადას იხდიან სერიოზული დანაშაულის ჩადენისთვის. თუმცა, კანდიდატის უფლებათა დაკარგვა ჩადენილი





დანაშაულის პროპორციული უნდა იყოს და კანდიდატის უფლებანი ავტომატურად უნდა აღდგეს განაჩენის ვადის მოხდისთანავე. კიდევ ერთი მაგალითი შეეხება მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, რომელთან დაკავშირებითაც გამართლებულია, პირს მოეთხოვოს, რომ თანამდებობაზე საკუთარი კანდიდატურის წამოყენებამდე იგი კონკრეტულ ქვეყანაში გარკვეული ვადის განმავლობაში უნდა იყოს მუდმივად ნაცხოვრები. სხვა შეზღუდვები შეიძლება შეეხებოდეს ამომრჩეველთა მინიმალური მხარდაჭერის ქონის დადასტურებას, ან ასაკთან დაკავშირებულ გონივრულ მოთხოვნას. არანაირი ენობრივი ბარიერები არ უნდა წარმოადგენდეს გაუმართლებელ შეზღუდვას კანდიდატურების წამოყენებისთვის, ხოლო ენობრივი ტესტები უნდა იყოს გამჭვირვალე, ობიექტური, არადისკრიმინაციული და ჩატარდეს რაციონალური მეთოდით. შეიძლება გამართლებული იყოს თანამდებობაზე საკუთარი კანდიდატურის წამოყენებაზე შეზღუდვების დაწესება სახელმწიფო მოსამსახურეებისთვის, სამხედრო ან უშიშროების დაცვის პერსონალის წარმომადგენლებისთვის, ან მოსამართლეებისთვის, თუკი ისინი თავისი პოსტებიდან არ გადადგებიან.

კანდიდატთა რეგისტრაციასთან დაკავშირებული დებულებები თანასწორად უნდა იყოს გამოყენებული ყველა კანდიდატისა და პარტიის მიმართ. კანდიდატებისა და პარტიების რეგისტრაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები ნათელი და პროვოზირებადი უნდა იყოს და არ უნდა შეიცავდეს პოტენციურად დისკრიმინაციულ მოთხოვნებს, როგორცაა მეტისმეტად მაღალი ფულადი შესატანები, სავალდებულო რეგონალური მხარდაჭერა ან პარტიული წარმომადგენლობა, ან სარეგისტრაციო განაცხადებზე ხელმოწერათა გაუმართლებლად დიდი რაოდენობის არსებობა.

პროპორციულობის პრინციპთან მიმართებაში, პარტიებს ან კანდიდატებს არ უნდა ჩამოერთვათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, თუკი არ არსებობს ამის უადრესად სერიოზული მიზეზები. მათ საშუალება უნდა მიეცეთ, გამოასწორონ მათს სარეგისტრაციო განაცხადებში არსებული ნებისმიერი ტექნიკური ხარვეზები; მათ არ უნდა ჩამოერთვათ რეგისტრაციის უფლება ან არ უნდა ეთქვათ რეგისტრაციაზე უარი ტექნიკური მიზეზების გამო. პარტიისა თუ კანდიდატისთვის უნდა არსებობდეს რეგისტრაციაზე უარის თქმასთან დაკავშირებით სასამართლოში აპელაციის შეტანის უფლება და ეს აპელაციები გონივრულ ვადებში უნდა იქნეს განხილული არჩევნების ჩატარებამდე.

ვინაიდან კანდიდატებისა და პოლიტიკური პარტიების რეგისტრაცია ნებისმიერი საარჩევნო პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელიც პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს პროცესის კონკურენტულ ბუნებასა და ხარისხზე. მას მონიტორინგი უნდა ჩაუტარდეს არჩევნებზე დაკვირვების მისიის მიერ. თუ არჩევნებზე დაკვირვების მისია ვერ ჩავა ქვეყანაში კანდიდატთა რეგისტრაციის პროცესის მთლიანად ან ნაწილობრივ დასრულებამდე, იგი ამის მიუხედავად მაინც უნდა ეცადოს, შეაფასოს პროცესის სამართლიანობა და ეფექტიანობა განხილვების გამართვით ოფიციალურ პირებთან, პარტიათა წარმომადგენლებთან და კანდიდატებთან, ნებისმიერ იმ კანდიდატთა ჩათვლით, ვისაც რეგისტრაციაზე უარი ეთქვათ.





ბასათგალისწინაპელი შესაქლო პრობლემაბი:
<input type="radio"/> პარტიების ან კანდიდატების რეგისტრაციის აკრძალვა, შეწერება, ან გაუქმება;
<input type="radio"/> შემზღუდველი ან დისკრიმინაციული პოლიტიკის წარმოება პოლიტიკური პარტიების ან სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების ფორმირების ან მოქმედების მიმართ;
<input type="radio"/> კანონის შეწვევითი რეალიზაცია პარტიების ან კანდიდატების რეგისტრაციის მიმართ;
<input type="radio"/> რეგისტრაციის უფლების მისაღებად მეტისმეტად მაღალი ფულადი შესატანების, სავალდებულო რეგიონალური წარმომადგენლობის, ან ხელმოწერათა მეტისმეტად დიდი რაოდენობის მოთხოვნა;
<input type="radio"/> გადაამეტებული ენობრივი მოთხოვნები;
<input type="radio"/> კანდიდატებისთვის რეგისტრაციის უფლების ჩამორთმევა ადმინისტრაციული კოდექსის ან ადმინისტრაციული წესების ადრინდელი დარღვევების გამო;
<input type="radio"/> კანდიდატების ან პარტიებისთვის რეგისტრაციის უფლების ჩამორთმევა განაცხადებთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემაების გამო; და
<input type="radio"/> პოლიტიკური პარტიების რეგისტრაციის გაუმართლებელი შეფერხებები, ან მისთვის ადმინისტრაციული ბარიერების შექმნა.

D. ამომრჩეველთა რეგისტრაცია

რეგისტრაციის ზოგადი პრინციპები: ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს ხმის მიცემის უფლება იმ პირობით, რომ მათ მიადწიეს ამისთვის კანონით დადგენილ ასაკს და არ ყოფილან გონებრივად არასრულფასოვნად გამოცხადებულნი სასამართლოს მიერ. ამომრჩეველთა რეგისტრაციის მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა მოქალაქეს შეეძლოს ამ უფლებით სარგებლობა ისეთი სისტემის ფარგლებში, რომელიც ასევე აიოლებს არჩევნების ადმინისტრირებას და გამორიცხავს მრავალჯერად ხმის მიცემას. ეროვნულ დონეზე ამომრჩეველთა ზუსტი რეგისტრების, ანდა რეგიონალურ ან ადგილობრივ დონეზე ამომრჩეველთა სიების შედგენა და წარმოება შეიძლება საარჩევნო პროცესის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძნელი ელემენტი აღმოჩნდეს. ამომრჩეველთა რეგისტრის ადეკვატურობის შეფასება სერიოზული ამოცანა შეიძლება აღმოჩნდეს დამკვირვებელთათვის.

ფუნდამენტური გადაწყვეტილებანი უნდა იქნეს მიღებული იმასთან დაკავშირებით, ამომრჩეველებს უნდა მიეცეთ მხოლოდ მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე ხმის მიცემის უფლება, თუ ამომრჩეველებს უფლება აქვთ, ხმა მისცენ თავიანთ დროებით საცხოვრებელ ადგილზე, ან ნებისმიერ ადგილას. თუკი მეორე მიდგომა იქნა მიღებული, საჭირო იქნება კონტროლის სისტემის შექმნა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ამომრჩეველთა ორჯერ რეგისტრაციის შესაძლებლობა და, საბოლოო ჯამში, ერთი ამომრჩევლის მიერ ხმის ორჯერ მიცემის შესაძლებლობა.

უნდა არსებობდეს რეგისტრაციის მარეგულირებელი ნათელი სამართლებრივი ნორმები: რეგისტრაციის განრიგი, უფლების ქონა ან ჩამორთმევა მოქალაქეობასთან, ასაკთან და საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით; დროებითი არყოფნა; იდენტიფიკაციის საშუალებანი (არჩევნებში მონაწილეობის უფლების დამადასტურებელი საბუთი); რეგისტრაციის ფორმა; ამომრჩეველთა რეგისტრის





ფორმატი; რეესტრის პროექტის გამოქვეყნება; რეესტრების ხელმისაწვდომობა და შემოწმების უფლება; პრეტენზიებისა და აპელაციების პროცედურა; და საბოლოო სიების გამოქვეყნება.

ამომრჩეველთა რეგისტრაციის ეფექტიანი სისტემა მოითხოვს, რომ მოსახლეობამ აქტიურად აცნობოს საარჩევნო ადმინისტრაციას თავისი საცხოვრებელი ადგილისა და მოქალაქეობრივი მდგომარეობის სხვა შესაბამისი ასპექტების ცვლილებათა შესახებ. რეგისტრაციის პროცედურები და საშუალებები, რაც შეიძლება მარტივი და ელექტორატისთვის იოლად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ამომრჩეველთა სიები (საჭიროებისდა მიხედვით, ამოღებული ამომრჩეველთა ეროვნული რეესტრიდან) უნდა გამოიკრას არჩევნებამდე საკმაო ხნით ადრე, რათა შესაძლებელი იყოს საჩივრების შეტანა სიაში არასწორად შეტანასთან, სიაში არყოფნასთან, ან სხვა უზუსტობებთან დაკავშირებით. ამომრჩეველთა სიებში ან საერთოდ არ უნდა იყოს შეტანილი, ანდა გულდასმით უნდა იყოს დაცული, პირადი მონაცემები, იმ მონაცემების გარდა, რომელიც საჭიროა ამომრჩევლის პირადობის დასადასტურებლად და მის მიერ არჩევნებში მონაწილეობის უფლების ქონის დასადასტურებლად.

ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესის სიზუსტის უზრუნველყოფა ყველაზე უკეთ შეუძლია მუდმივ, სათანადოდ წარმოებულ და რეგულარულად განახლებად ცენტრალურ სახელმწიფო ამომრჩეველთა რეესტრს. ერთიან ამომწურავ, კომპიუტერიზებულ სიას შეუძლია დაეხმაროს ხელისუფლების წარმომადგენლებს ცალკეული მოქალაქეების რეგისტრაციის შემოწმებაში და დუბლირების თავიდან აცილებაში, რაც გაზრდის ამომრჩეველთა სიის მთლიანობასა და საიმედოობას. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანას შეიძლება არ გააჩნდეს ამომრჩეველთა კომპიუტერიზებული რეესტრის შედგენის საშუალება. ფედერალურ სისტემებში, რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები პასუხისმგებელი შეიძლება იყვნენ ამომრჩეველთა სიებზე რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე. ამდენად, რეგისტრაციის მეთოდები განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნებში, გამომდინარე ადგილობრივი ვითარებიდან.

ამომრჩეველთა რეგისტრაციის სისტემაში: ქვეყნებს ამომრჩეველთა რეგისტრაციის ნაირგვარი საშუალებანი აქვთ მიღებული. რეგისტრაციის **აქტიური** ანუ **აფირმაციული** სისტემები ამომრჩეველთაგან მოითხოვს, რომ მათ ყოველი არჩევნებისას თავად შეიტანონ განაცხადი რეგისტრაციის გაულაზე. **პასიურ** სისტემებში ხელისუფლების წარმომადგენლები ავტომატურად ადგენენ ამომრჩეველთა რეესტრს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის, მოქალაქეობრივი მდგომარეობის ჩანაწერების, ან სხვა დოკუმენტაციის მიხედვით. ორივე ტიპის სისტემა მისაღებია, თუ მას შედეგად ყოვლისმომცველი, გამჭვირვალე და ზუსტი ამომრჩეველთა რეესტრის შექმნა მოაქვს. ზოგჯერ შეიძლება გამოყენებული იყოს რეგისტრაციის ორივენაირი სისტემა. ზოგიერთ მონაწილე სახელმწიფოში ნებადართულია რეგისტრაცია არჩევნების დღეს ამომრჩეველთა დამატებითი სიის მეშვეობით იმ ამომრჩეველთათვის, რომელთა გვარებიც ამომრჩეველთა სიაში გამოტოვებულია და რომელთაც შეუძლიათ არჩევნებში მონაწილეობის თავიანთი უფლების დასაბუთება.

ზოგიერთ ქვეყნებში ამომრჩეველთა რეესტრების წარმოებაზე პასუხისმგებელ ორგანოებს შეიძლება დაევალოთ სპეციალური მოწმობების დარიგება, მათ შორის არჩევნების დღესაც, რათა ხმის მიცემის უფლების მქონე ამომრჩეველებს, ვისი





გვარებიც ამომრჩეველთა ადგილობრივ სიებში არ მოხვედრილა, ხმის მიცემის შესაძლებლობა მიეცეთ. მართალია, ეს უდავოდ ზრდის ამომრჩეველთა უნარს, ხმა მისცენ არჩევნებზე, ამგვარი სისტემები დაცული არ არის ბოროტად გამოყენებისგან. როდესაც მოწმობები გამოიყენება, დამკვირვებლებმა დეტალურად უნდა შეაფასონ, როგორ ხდება სისტემის რეალიზაცია.

განსაკუთრებულ შემთხვევებში ფორმალური რეგისტრაცია შეიძლება საერთოდ არ ჩატარდეს და ამომრჩეველებს მოეთხოვოთ, თავიანთი ვინაობა და არჩევნებში მონაწილეობის უფლება დაადასტურონ საარჩევნო უბანში, არჩევნების დღეს. ასეთ შემთხვევებში, განხილულ უნდა იქნეს მრავალგზისი ხმის მიცემის თავიდან ასაცილებლად სპეციალური ზომების მიღება, როგორც მაგალითად ამომრჩეველის პირადობის დამადასტურებელი საბუთების მარკირება, ანდა თითოეული ამომრჩეველისთვის თითზე მოუცილებელი საღებავის წასმა.

ამომრჩეველთა რეზისტის სიზუსტის უზრუნველყოფა: ამომრჩეველთა ეროვნულ რეესტრს (სადაც იგი გამოიყენება), ან რეგიონალურ და ადგილობრივ სიებს მუდმივი განახლება ესაჭიროებათ, რათა მათ თავიანთი სიზუსტე შეინარჩუნონ. ემიგრაციასა და შიდა მიგრაციას, ანდა იძულებით გადაადგილებას შეუძლიათ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიონ არჩევნებიდან არჩევნებამდე. საცხოვრებლად ახალ ადგილას გადასულ ამომრჩეველთა დიდი რაოდენობის დადგენისა და რეგისტრირების თუ ხელახალი რეგისტრირების რთული ამოცანა მნიშვნელოვან ტექნიკურ ღონისძიებას წარმოადგენს, რომელიც მოითხოვს ძველი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სიებიდან ამომრჩეველთა ამოშლას და ახალი საცხოვრებელი ადგილების მიხედვით სიებში მათს შეყვანას.

უნდა არსებობდეს მრავალგზისი რეგისტრაციის თავიდან ასაცილებელი ზომები. თუ ამომრჩეველებს ურიგდებათ სპეციალური ამომრჩეველთა ბარათები, მათ საკმარისი დაცვა უნდა ჰქონდეთ ბარათების ახლის გადაღების თავიდან ასაცილებლად. ყველა ქვეყანაში უნდა მოქმედებდეს სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფს სიებიდან გარდაცვლილთა ამოღებას და სიებში იმ პირთა შეყვანას, ვინც ამ ცოტა ხნის წინ მიაღწია ასაკს, რომელიც ხმის მიცემაში მონაწილეობის უფლებას იძლევა. როდესაც ქალები გვარს იცვლიან ქორწინების ან ქმართან გაცილების შემდეგ, მნიშვნელოვანია, რომ სიებში სათანადო ცვლილებები შევიდეს, რათა ქალებმა ხმის მიცემის უფლება არ დაკარგონ. იდეალურ შემთხვევაში, მიღებული უნდა იყოს ზომები, რომლებიც საზღვარგარეთ მცხოვრებ მოქალაქეებს რეგისტრაციისა და ხმის მიცემის საშუალებას მისცემს.

დამკვირვებლებმა გულდასმით უნდა შეაფასონ, რამდენად ეფექტური და ყოვლისმომცველია ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესი. კერძოდ, ისინი უნდა დარწმუნდნენ, რომ ამომრჩეველთა რეგისტრაციას ხელს არ უშლის გაუმართლებელი შეზღუდვები. გაუმართლებელ შეზღუდვათა რიცხვში შედის შეზღუდვები, რომლებიც ეფუძნება რასას, სქესს, რელიგიას, ეთნიკურ წარმომავლობას, ადრინდელ პოლიტიკურ კუთვნილებას, ენას, წერა-კითხვის ცოდნას, ქონებას, ან სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის უნარს. გაუმართლებელ შეზღუდვათა რიცხვს შეიძლება განეკუთვნებოდეს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა საცხოვრებელი ადგილი, მოქალაქეობა, ამჟამად პატიმრობაში ყოფნა დანაშაულის ჩადენაში დამნაშავედ ცნობის გამო და გონებრივი არასრულფასოვნება, დადგენილი სასამართლოს მიერ.





ბასათგალისწინაპელი შესაქლო პრობლემაი:
<input type="radio"/> ამომრჩეველთა ცენტრალური რეესტრის არარსებობა;
<input type="radio"/> რეესტრები და/ან სიები, რომლებიც ღია არ არის საჯარო შემოწმებისთვის, ან არ არის ადვილად ხელმისაწვდომი;
<input type="radio"/> რეგისტრაციის გავლის, ან რეესტრებში და/ან სიებში არსებული შეცდომების გაპროტესტების შკაფიო წესების არარსებობა;
<input type="radio"/> აპელაციების შეტანის პროცესის არაეფექტიანობა;
<input type="radio"/> დისკრიმინაციული პრაქტიკული მეთოდები;
<input type="radio"/> იძულებით გადაადგილებულ პირთა რეგისტრაციაში გაუტარებლობა;
<input type="radio"/> სარეგისტრაციო პროცესები, რომლებიც ადვილად ხელმისაწვდომი არ არის ყველა მოქალაქისათვის;
<input type="radio"/> რეგისტრაციის შესახებ ამომრჩეველთა არაინფორმირებულობა;
<input type="radio"/> მრავალრიცხოვანი უზუსტობანი რეესტრებში და/ან სიებში;
<input type="radio"/> რეესტრები და/ან სიები, რომლებიც შეიცავს არააუცილებელ მონაცემებს, როგორცაა ეთნიკური კუთვნილება; და
<input type="radio"/> ხმის მიცემის უფლებები, რომლებიც პირებს ავტომატურად არ აღუდგებათ პატიმრობის ვადის მოხდის შემდეგ.

E. საარჩევნო ბიულეტენი

საარჩევნო ბიულეტენის აბეზულება: საარჩევნო ბიულეტენის სირთულე ან სიმარტივე პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს ხმის მიცემის პროცესის ეფექტიანობაზე. საარჩევნო ბიულეტენი რაც შეიძლება მარტივად უნდა იყოს შედგენილი და ამომრჩეველს ადვილად უნდა შეეძლოს მისი გაგება და შევსება. გაუმართლებლად გრძელ ან რთულ ბიულეტენებს შეუძლია დაბნეულობა გამოიწვიოს ამომრჩეველთა შორის და შეანელოს ხმის მიცემისა და ხმების დათვლის პროცედურები. მრავალეროვან საზოგადოებებში ხელმისაწვდომი უნდა იყო ბიულეტენები მთავარ უმცირესობათა ენებზე. საზოგადოებებში, სადაც მაღალია წერა-კითხვის უცოდინარობის დონე, კარგ პრაქტიკას წარმოადგენს კანდიდატების გვარების ან პარტიების სახელწოდებების გვერდით ადვილად საცნობი სიმბოლოების გამოსახვა. ბიულეტენში კანდიდატების თანამიმდევრობა უნდა განისაზღვროს წილისყრით, ან სხვა სამართლიანი გზით.

საარჩევნო ბიულეტენის უსაფრთხოება: ბიულეტენები და სხვა მნიშვნელოვანი საარჩევნო მასალები მუდმივად სათანადო მეთვალყურეობისა და დაცვის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს. ამ პროცესების შესაფასებლად დამკვირვებლებმა უნდა გაარკვიონ, სად და როგორ დაიბეჭდა ბიულეტენები, სად და როგორ ინახებოდა და დარიგდა ისინი და არჩევნებამდე როდის მოხდა ეს. დაინტერესებულ მხარეებს მინიჭებული უნდა ჰქონდეთ უფლება, დაკვირვება აწარმოონ ბიულეტენების ბეჭდვაზე, დარიგებაზე და შენახვაზე. ზოგიერთ ქვეყნებში „შედგების ოქმის“ ფორმა ან სხვა მასალები შეიძლება ისეთივე სენსიტიური იყოს, როგორც სხვა მასალები და ამდენად უსაფრთხოების ზომები მათზეც უნდა ვრცელდებოდეს. მიღება-ჩაბარების დამადასტურებელი აქტის სისტემა ხელს უწყობს ანგარიშგების უზრუნველყოფას ბიულეტენებისა და სხვა საარჩევნო მასალების ტრანსპორტირების, გადაცემის და შენახვის დროს.





უსაფრთხოების დამატებითი ზომისა და გაყალბების თავიდან ასაცილებელი საშუალების სახით, ქვეყნების გარკვეულ რაოდენობაში იყენებენ ხმის მიცემის პროცედურებს, რომლებიც მოითხოვს, რომ საარჩევნო ურნაში ჩაშვებამდე ბიულეტენი კონვერტში ჩაიდოს. ასეთ შემთხვევებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ხმა შეიძლება უფრო კონვერტის შიგთავსთან იყოს გაიგივებული, ვიდრე თავად ბიულეტენტან, გამომდინარე ბიულეტენის ტიპიდან.

ბიულეტენების უსაფრთხოებისა და ფარულობის დასაცავად ხმის მიცემის სისტემებში სხვა დამცავი საშუალებებიც შეიძლება იყოს ჩართული, მაგალითად:

- ბიულეტენებზე თითოეულ საარჩევნო უბანში განსაკუთრებული ოფიციალური ბეჭდის დასმა ბიულეტენების ამომრჩეველთათვის გადაცემისას, ან საარჩევნო ურნაში მათ ჩაშვებამდე;
- შეუვსებელი ბიულეტენის მეორე მხარეზე საარჩევნო უბნის ერთი ან რამდენიმე ოფიციალური პირისთვის ხელის მოწერინება ბიულეტენის ამომრჩეველისთვის გადაცემისას;
- ბიულეტენების დანომრილი ყუების გამოყენება საარჩევნო ურნაში ჩაშვებული ბიულეტენების რაოდენობისთვის თვალის სადევნებლად;
- ბიულეტენების შესავსებად კალმისტრის ნაცვლად ბეჭდის გამოყენება;
- ბიულეტენებისთვის სქელი ქაღალდის გამოყენება, რათა ნიშნები ქაღალდის მეორე მხარეს არ გამოჩნდეს; და
- ბიულეტენების დაბეჭდვა ჭვირნიშნებისა და სხვა დამცავი საშუალებების გამოყენებით, მათი გაყალბების გასაძნელებლად.

თვითნაშრომარი ელექტრონული კენჭისყრის სისტემაში: ახალ საარჩევნო ტექნოლოგიებს, რომლებიც თვითნაშრომარი ელექტრონულ მოწყობილობას (ელექტრონული კენჭისყრა, ავტომატიზებული ხმის მიცემა) იყენებენ, აქვთ ამომრჩეველთა მონაწილეობის გააღვივების პოტენციალი. თუმცა, ამგვარ ახალ ტექნოლოგიებს შეუძლიათ გარკვეული პრობლემებიც შეუქმნან საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობასა და ანგარიშშეგებლობას. უფრო მეტიც, მათ შეიძლება ზეგავლენა მოახდინონ ხმების დაცულობის შესახებ წარმოდგენაზე, რასაც პოტენციური შემოქმედება ექნება ამომრჩეველთა ნდობაზე. ამდენად, მნიშვნელოვანია შეფასდეს თვითნაშრომარი მოწყობილობის შემოღება, სადაც ეს საჭიროა, და ისიც, მოახდენს თუ არა მისი შემოღება უშუალო შემოქმედებას ხმის მიცემის პროცესზე დაკვირვების წარმოების შესაძლებლობაზე, ჩვეულებრივ კენჭისყრასთან შედარებით. ამგვარ საკითხებს გულდასმით უნდა მიადევნოს თვალის „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნებზე დაკვირვების მისიამ, სადაც ამის აუცილებლობა არსებობს.

საერთაშორისო დამკვირვებლები არ ახდენენ თვითნაშრომარი კენჭისყრის სისტემების სერტიფიცირებას. მაგრამ მათთვის სრულად ხელმისაწვდომი უნდა იყოს სერტიფიკაციისა და დამოუკიდებელი საშინაო შემოწმების პროცესზე დასწრება. კრიტერიუმები, რომელთაც საარჩევნო ოფიციალური პირები იყენებენ თვითნაშრომარი კენჭისყრის სისტემების შემოღებისას, და შემოღების წესი, ამომრჩეველთა ინფორმირებისა და სავალდებულო ტესტირების ჩათვლით, აგრეთვე წარმოადგენს არჩევნებზე დაკვირვების მისიისთვის საყურადღებო საკითხებს.



შემდეგი ზომები აუცილებელი შეიძლება აღმოჩნდეს ხმის მიცემის ამგვარ ახალ ტექნოლოგიათა მიმართ ამომრჩეველთა ნდობის გასაზრდელად:

- (i) ნებართვის მიცემა კომპუტერული ინდივიდუალური პირებისთვის, აკადემიური დაწესებულებებისთვის ან სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებისთვის, ამომწურავად და დამოუკიდებლად შეამოწმონ ავტომატიზებული ხმის მიცემის მოწყობილობა, იმ გონივრული შეზღუდვებით, რომლებიც დაკავშირებულია მარტოოდენ საპატენტო და საავტორო უფლებათა დამცავ კანონმდებლობასთან. თუმცა, ამგვარი გამოცდა აღქმული არ უნდა იქნეს სერტიფიკაციის კომპლექსური და გამჭვირვალე პროცედურების დადგენის შემცველად;
- (ii) წესები, რომლებიც აპარატურის მწარმოებელთა შესაძლო ინტერესთა კონფლიქტების თავიდან აცილებას უზრუნველყოფს;
- (iii) საშუალებები, რომლებიც აწარმოებს ქალაქდზე მუდმივ ჩანაწერებს, რომლებიც ხელით შეიძლება შემოწმდეს, და სერიოზული ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს ამომრჩეველის მიერ დამოწმებული, შემოწმებადი ქალაქდზე დაფიქსირებული დოკუმენტაციის შექმნას; და
- (iv) აპარატურის მწარმოებლებს, სერტიფიკაციის ჩამტარებელ დაწესებულებებსა და საარჩევნო ადმინისტრატორებს შორის პასუხისმგებლობათა მკაფიოდ განაწილება, რათა უზრუნველყოფილი იყოს სრული ანგარიშგება და ეფექტიანი რეაგირება თვითნაშვრი მოწყობილობის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში.

გასათვალისწინებელი შესაძლო პრობლემები:	
<input type="radio"/>	მეტისმეტად გრძელი ან რთული ბიულეტენები, რომლებმაც შეიძლება ამომრჩეველები დააბნიოს;
<input type="radio"/>	არასათანადო დამცავი ზომები ან ანგარიშგება ბიულეტენების დამზადების ან დარიგების რომელიმე ეტაპზე;
<input type="radio"/>	ბიულეტენების ცირკულაცია საარჩევნო უბნების გარეთ არჩევნების დღეს ან წინა დღეს;
<input type="radio"/>	საარჩევნო უბნის პროცედურები, რომლებმაც საფრთხე შეიძლება შეუქმნას საარჩევნო ბიულეტენის ფარულობას; და
<input type="radio"/>	ელექტრონული კენჭისყრის სისტემები, რომლებიც არ ტოვებს ამომრჩეველის მიერ დამოწმებულ შემოწმებად ქალაქდის დოკუმენტაციას და არ იძლევა ხელით შემოწმების სხვაგვარ შესაძლებლობას.

F. ამომრჩეველთა ინფორმირება

ამომრჩეველთა და მოქალაქეთა საკმარისად ინფორმირება და გათვითცნობიერება საჭირო შეიძლება აღმოჩნდეს იმის უზრუნველსაყოფად, რომ საარჩევნო პროცესში მონაწილენი სრულად იქნებიან ინფორმირებულნი მათი, როგორც ამომრჩეველის, უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. ეს ძალისხმევა აგრეთვე იწვევს საარჩევნო პროცესის უკეთ გაგებას და მისდამი ინტერესის წარმოქმნას, რაც ღია დებატებისთვის ხელსაყრელ კლიმატს ქმნის. დამკვირვებლებმა უნდა შეაფასონ ამომრჩეველთა და მოქალაქეთა ინფორმირებულობისა და გათვითცნობიერებულობის ზომა-ხარისხი და ეფექტიანობა.

ამომრჩეველთა გათვითცნობიერება ნიშნავს მათთვის ინფორმაციის მიწოდებას იმის შესახებ, თუ როდის, როგორ და სად უნდა გაიარონ მათ რეგისტრაცია



ხმის მისაცემად ანდა შეამოწმონ, უკვე არიან თუ არა ისინი სათანადოდ რეგისტრირებულნი. ეს აგრეთვე ნიშნავს ახსნას, თუ როდის, როგორ და სად უნდა მისცენ ხმა არჩევნების დღეს. აუცილებელია ამ ინფორმაციის დროულად მიწოდება, რათა ამომრჩეველს საკმარისი დრო ექნეს ამ ინფორმაციის გამოსაყენებლად. ქვეყნის საშინაო მასშტაბით გატარებული ინფორმირებისა და გათვითცნობიერების ღონისძიებანი შეიძლება კონცენტრირებული იყოს აგრეთვე ამომრჩეველის ხელთ არსებულ სხვადასხვა არჩევანზე და ამ არჩევანთა მნიშვნელობაზე შესაბამისი პოლიტიკური სისტემის ფარგლებში.

ინფორმაცია თავისუფლად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ამომრჩეველისათვის. მართალია, პოლიტიკურმა პარტიებმა და სამოქალაქო ორგანიზაციებმა ხელი შეიძლება შეუწყონ ამომრჩეველთა და მოქალაქეთა ინფორმირება-გათვითცნობიერებისკენ მიმართულ ძალისხმევას, საბოლოო ჯამში მაინც ხელისუფლებას, საარჩევნო ადმინისტრაციის ჩათვლით, ევალება ამომრჩეველთა მიერ ობიექტური, მიუკერძოებელი და დროული ინფორმაციის მიღების უზრუნველყოფა. საზოგადოებრივ დაფინანსებაზე მყოფ ან სახელმწიფო მედიასაც აკისრია განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს, რომ ამომრჩეველებმა მიიღონ საკმარისი, გაწონასწორებული ინფორმაცია კანდიდატებისა და მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, რათა კარგ ინფორმირებულობაზე დაფუძნებული არჩევანის გაკეთება შეეძლოს.

გამართლებული შეიძლება იყოს ამომრჩეველთა გათვითცნობიერების ძალისხმევათა მიმართვა მოსახლეობის იმ სეგმენტებზე, რომლებსაც არჩევნებზე გამოცხადების ტრადიციულად დაბალი მანევრებლბები აქვთ ხოლმე; ზოგიერთ ქვეყნებში ეს შეიძლება იყვნენ უმცირესობათა ჯგუფები, ქალები ან ახალგაზრდები. კარგი პრაქტიკაა ამომრჩეველთა გათვითცნობიერების ჩატარება ძირითად უმცირესობათა ენებზე, ისევე როგორც ქვეყნის ძირითად ენაზე.

ბასათვალისწინებელი შესაძლო პრობლემები:
<input type="radio"/> ინფორმაცია საარჩევნო პროცესის შესახებ შეიძლება მეტისმეტად გვიან იქნეს მიღებული;
<input type="radio"/> ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაცემული ინფორმაცია შეიძლება მიკერძოებული იყოს, მაგალითად, აჩვენებდეს არჩევნებში რომელიმე მონაწილის სასარგებლოდ შევსებულ საარჩევნო ბიულეტენს;
<input type="radio"/> ამომრჩეველთა გარკვეულმა ჯგუფებმა შეიძლება ვერ მიიღონ ან სათანადოდ ვერ გაიგონ ინფორმაცია;
<input type="radio"/> საზოგადოება შეიძლება ადეკვატურად ინფორმირებული არ იყოს საარჩევნო პროცედურებში შეტანილი ცვლილებების შესახებ;
<input type="radio"/> მოქალაქეებმა, რომლებმაც ეს-ეს არის მიაღწიეს ასაკს, რომელიც ხმის მიცემაში მონაწილეობის უფლებას იძლევა, შეიძლება არაფერი იცოდნენ პროცედურების შესახებ; და
<input type="radio"/> ქვეყნის ფარგლებს გარეთ მყოფ მოქალაქეებს, ლტოლვილებს ან იძულებით გადაადგილებულ პირებს შეიძლება სათანადოდ არ ესმოდეთ საჭირო პროცედურების არსი.





7.3 საარჩევნო კამპანია

A. პოლიტიკური კამპანია

კამპანიის წარმოების თავისუფლება: ემთო-ს წინაშე აღებული ვალდებულებები მოითხოვს, რომ სახელმწიფო პოლიტიკა და კანონი გამოიყენებოდეს პოლიტიკური კამპანიის სამართლიან და თავისუფალ ატმოსფეროში ჩატარების შესაძლებლობის შესაქმნელად, რომლის დროსაც არც ადმინისტრაციული ჩარევა და არც ძალადობა ან დაშინება ხელს არ უშლის პარტიებსა და კანდიდატებს თავიანთი შეხედულებებისა და კვალიფიკაციის შეუზღუდავად წარმოდგენაში. ყოველთვის პატივი უნდა ეცემოდეს ძირითად თავისუფლებებს, როგორცაა თვითგამოსატყვის, თავყრილობისა და გაერთიანების თავისუფლების ქონის უფლებები. არ უნდა არსებობდეს თვითნებური ან გაუმართლებელი შეზღუდვები კამპანიის წარმოებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე, შეკრებებზე თუ მიტინგებზე. თუ საჯარო მიტინგების ან დემონსტრაციებს ჩასატარებლად საჭიროა ნებართვები, ისინი თავისუფლად და თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს არჩევნებში მონაწილე ყველა მეტოქისათვის. მთავრობა პასუხს აგებს ამ უფლებათა პატივისცემის უზრუნველყოფაზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ კამპანია თავისუფალი იყოს ძალადობისა და დაშინებისაგან. ადგილი არ უნდა ჰქონდეს კამპანიის ფარგლებში მიმდინარე შეკრებების ჩაშლას. მოქალაქეებს არ უნდა ეშინოდეთ შურისგებისა და სამაგიეროს გადახდისა, როგორცაა სამუშაოდან დათხოვნა, კამპანიაში თავიანთი მონაწილეობის გამო. ყველა პირი თავისუფალი უნდა იყოს ხელისუფლების მხრიდან იძულებისგან; ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება შეიძლება მიეყროს ისეთ ჯგუფებს, როგორებიცაა სტუდენტები, ჯარისკაცები, ან ადგილობრივი ლიდერები. ადგილი არ უნდა ჰქონდეს პოლიტიკური აქტივისტების შევიწროებას, როგორც მაგალითად ადმინისტრაციული დაპატიმრება ან მოულოდნელი საგადასახადო ინსპექციები.

მართალია, ხელისუფლება პასუხს აგებს კამპანიის საწარმოებლად უსაფრთხო და დაცული გარემოს უზრუნველყოფაზე, უსაფრთხოების ზომები არასწორად არ უნდა იქნეს გამოყენებული ძირითადი თავისუფლებების შესაკეცად. კამპანიის წარმოებისა და ხმის მიცემის პროცესების განმავლობაში უშიშროების ძალებს ევალებათ თავი შეიკავონ დაშინებისგან და ადკეთონ დაშინების მცდელობა სხვების მხრიდან. უშიშროების ძალების წარმომადგენელთა მხრიდან დაშინებამ შეიძლება განსაკუთრებით ძნელად გამოსაგლენი ზემოქმედება მოახდინოს ამომრჩევლებსა და კანდიდატებზე. მართალია, დაშინების რაოდენობრივად განსაზღვრა და, ზოგ შემთხვევებში, დამტკიცებაც ძნელი შეიძლება აღმოჩნდეს, ფართოდ გავრცელებული ტენდენციები დაშინებისა, განსაკუთრებით უშიშროების ძალების მიერ, ადვილად შესამჩნევი ხდება ხოლმე.

ხელმისაწვდომი უნდა იყოს დროული და ქმედითი სასამართლო ზომები იმ შემთხვევისთვის, თუ კამპანიის მსვლელობაში დაირღვევა კანდიდატების ან პარტიების უფლებანი, ან იმ შემთხვევისთვის, თუ გაუმართლებელი შეზღუდვები იქნება დაწესებული კამპანიის წარმოებაზე. მაგრამ თუ კამპანიაში ჩართულია სიძულვილის გამომხატველი სიტყვები, ან სიტყვები, რომლებიც ძალადობას ამართლებს, ამგვარი რიტორიკა ცენზურას უნდა დაექვემდებაროს, მსგავს ქმედებათა ჩამდენთ კი პასუხი უნდა მოეთხოვოს.





პოლიტიკური კონტექსტი: მართალია, დამკვირვებელთა ყურადღება უმთავრესად საარჩევნო პროცესზეა კონცენტრირებული, ეს აუცილებლად მოითხოვს კონკრეტულ არჩევნებთან დაკავშირებული პოლიტიკური კონტექსტისა და საჭირობებზე საკითხების ცოდნას. ამიტომ, დამკვირვებლები უნდა შეხედონ კანდიდატებსა და პარტიებს, დააკვირდნენ მიტინგებს და გაეცნონ კამპანიასთან დაკავშირებულ მასალებს, რათა წარმოადგინა შეიქმნან იმ პოლიტიკური პროცესებისა და საკითხების შესახებ, რომლებიც კამპანიის ძირითად თემატიკას წარმოადგენს. დამკვირვებლებმა უნდა შეაფასონ, რამდენად აქტიურად მონაწილეობს მოსახლეობა – უმცირესობათა ჯგუფებისა და ქალების ჩათვლით – პოლიტიკურ პროცესებში და ეცადონ გაარკვიონ აქტიური მონაწილეობის არარსებობის მიზეზები. პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების გარდა, კამპანიის შესახებ კარგი ინფორმაციის მიწოდება შეუძლიათ აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციებს, ადგილობრივ დამკვირვებელთა ჯგუფებს, სპეციალისტებს აკადემიური წრებიდან და მედიის წარმომადგენლებს.

ბასათვალისწინებაელი შესაძლო პრობლემა:
<input type="radio"/> კამპანიასთან დაკავშირებული ძალადობის ფორმები;
<input type="radio"/> კანდიდატების ან აქტივისტების დაპატიმრების შემთხვევები;
<input type="radio"/> კამპანიის ფარგლებში ჩასატარებელი შეკრებების ან მიტინგების ჩაშლა, ან მათზე შეზღუდვების დაწესება, მათ შორის ნებართვის გაცემაზე უარის თქმით;
<input type="radio"/> ცნობები დაშინების ან შევიწროების შესახებ;
<input type="radio"/> პოლიტიკურ პროცესებში ქალების ან უმცირესობათა ჯგუფების არდაშვება;
<input type="radio"/> სააგიტაციო პლაკატების ჩამოხევის ან დამახინჯების სისტემატური მცდელობანი;
<input type="radio"/> ანონიმური სააგიტაციო მასალის გავრცელება.

B. კამპანიის საწარმოებელი რესურსები

კამპანიის დაფინანსება: კამპანიის დაფინანსება გამჭვირვალე უნდა იყოს და უნდა არსებობდეს კამპანიის დაფინანსების მარეგულირებელი მკაფიო საკანონმდებლო აქტები ან წესები. ეს თანაბრად უნდა ეხებოდეს ყველა კანდიდატსა და პარტიას. კარგი პრაქტიკაა, არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა იმის შესახებ, თუ რა ხარჯები იქნა გადებული კამპანიის წარმოებაზე, საიდან იქნა მოზიდული თანხები და როგორ დაიხარჯა ისინი. როდესაც კამპანიისათვის თანხებს მთავრობა გამოყოფს, ეს სამართლიანად და მიუკერძოებლად უნდა გაკეთდეს.

სახსრების მოზიდვისთვის და კამპანიის საწარმოებელი ხარჯებისთვის დაწესებული ნებისმიერი ლიმიტები არ უნდა იყოს იმდენად მკაცრი, რომ კანდიდატებმა ვეღარ შეძლონ კამპანიის საწარმოებლად საჭირო ისეთი ძირითადი ხარჯების დაფარვა, როგორც არის ხელფასები, ტრანსპორტირების საფასური, საოფისე ხარჯები, მედიაში დროისა და ადგილის ყიდვა და სააგიტაციო მასალების დაბეჭდვა და გავრცელება. გონივრულ შეზღუდვათა რიცხვს შეიძლება განეკუთვნებოდეს, მაგალითად, კამპანიის ხარჯების დაფინანსების აკრძალვა საზღვარგარეთ არსებული წყაროებიდან, სახელმწიფო კორპორაციების მიერ, ან ანონიმური წყაროებიდან.





სახელმწიფო რესურსების გამოყენება: მთავრობას ევალება უზრუნველყოს, რომ სახელმწიფო და ადმინისტრაციული რესურსები, როგორც მატერიალური, ასევე ადამიანური, უმართებულოდ არ იქნეს გამოყენებული რომელიმე ცალკეული კანდიდატების ან პარტიების მხარდასაჭერად. მაგალითად, სამთავრობო საოფისე ფართი, ავტოსატრანსპორტო საშუალებანი და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობა გამოყენებული არ უნდა იყოს პარტიული მიზნებით, თუ უზრუნველყოფილი არ არის მათი თანაბრად ხელმისაწვდომობა არჩევნებში მონაწილე ყველა მხარისათვის. თუ სახელმწიფო შენობები ან სხვა სახელმწიფო საშუალებანი ხელმისაწვდომია კამპანიის ფარგლებში სააგიტაციო ოფისებისა და სააგიტაციო შეკრებების მოსაწყობად, მაშინ ისინი იმავე პირობებით უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

კანონმა გარკვევით უნდა განსაზღვროს, რამდენად შეიძლება იყვნენ ჩართულნი კამპანიაში სახელმწიფო მოსამსახურეები ან სახელმწიფო სექტორში დასაქმებული სხვა მუშაკები. როგორც მინიმუმი, სახელმწიფო სექტორის მუშაკებმა მკაცრად უნდა განაცალკეონ ერთმანეთისგან მათი, როგორც სახელმწიფო მოსამსახურეთა, როლი და კამპანიის წარმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის საქმიანობა, რომელშიც ისინი ჩართულნი შეიძლება იყვნენ.

დრო, როგორც რესურსი: სერიოზული საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად დროც მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს. არჩევნებში ჩაბმულ ყველა მეტოქეს უნდა ჰქონდეს დროის თანაბარი პერიოდი კამპანიის საწარმოებლად. კამპანიის ხანგრძლივობა საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ ყველა მეტოქეს შეეძლოს საკუთარი პოლიტიკის ეფექტიანად ორგანიზება და ელექტორატისთვის გაცნობა. კანონმა უნდა განმარტოს, ნებადართულია თუ არა პოლიტიკური აქტივობა კამპანიის ოფიციალური პერიოდის ფარგლებს მიღმა და თუ ნებადართულია, რა ზომით.

განსათვალისწინებელი შესაძლო პრობლემები:
<input type="radio"/> კამპანიის დაფინანსების გაურკვეველი ან ორაზროვანი წესები;
<input type="radio"/> კამპანიის დასაფინანსებელი სახელმწიფო სახსრები, რომლებიც დროულად არ იქნა მიღებული;
<input type="radio"/> სახსრების მოზიდვის ან ხარჯების ღიმიტები, რომლებიც იმდენად დაბალია, რომ კამპანიის ეფექტიანად წარმოების შესაძლებლობას აღარ ტოვებს;
<input type="radio"/> კამპანიის საწარმოებელი დაფინანსების ან ხარჯების გამჭვირვალობის ნაკლებობა;
<input type="radio"/> თანამდებობაზე მყოფთა მიერ სახელმწიფო რესურსების არათანასწორი გამოყენება;
<input type="radio"/> სახელმწიფო მოსამსახურეების ან სამხედრო ლიდერების მონაწილეობა კამპანიაში;
<input type="radio"/> კამპანია, რომელიც იმდენად ხანმოკლეა, რომ პარტიებს საკუთარი პოლიტიკური გზავნილის ორგანიზებისა და ელექტორატისთვის შეტყობინების შესაძლებლობა აღარ რჩებათ;
<input type="radio"/> კამპანიის დაწყების გარკვეული თარიღის არარსებობა და/ან კანდიდატთა დიფერენცირებული რეგისტრაცია, რასაც შედეგად კამპანიის საწარმოებლად გამოყოფილი დროის არათანაბარი პერიოდები მოაქვს.





7.4 მედია

მედიის თავისუფლება: თავისუფალი და დამოუკიდებელი მედია სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ელემენტია ჭეშმარიტ და დემოკრატიულ საარჩევნო პროცესში. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ მედიას ჰქონდეს უფლება, შეაგროვოს და გაავრცელოს ინფორმაცია თავისუფლად, დაშინებისა და დაბრკოლებების გარეშე, და რომ არ არსებობდეს მედიის ან კანდიდატების ცენზურა. მშობიარე-ს წინაშე აღებული ვალდებულებები, შეთანხმებული მშობიარე-ს მონაწილე ყველა სახელმწიფოს მიერ, მოითხოვს, რომ მედია, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, დაუბრკოლებლად ხელმისაწვდომი იყოს ყველა პოლიტიკური დაჯგუფებისა და ინდივიდუალური პირისთვის, რომელთაც საარჩევნო პროცესში მონაწილეობა სურთ.

მთლიანობაში აღებულ მედიას პასუხისმგებლობა აკისრია საკმარისი და გაწონასწორებული ინფორმაციის მიწოდებაზე, რომელიც საშუალებას მისცემს ამომრჩევლებს, არჩევანი კარგად ინფორმირებულობის საფუძველზე გააკეთონ. თუ ნებადართულია ფასიანი პოლიტიკური რეკლამა სახელმწიფო ან კერძო მედიაში, მისი ფასები და პირობები გონივრული უნდა იყოს და თანაბრად უნდა გამოიყენებოდეს ყველა კანდიდატის მიმართ.

სახელმწიფო მედია: სახელმწიფო მფლობელობაში მყოფ მედიას, ანუ სახელმწიფო მედიას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია არჩევნებისა და მათში მონაწილე მებრძოლების შესახებ გაწონასწორებული და ნეიტრალური ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით. ყველა ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისი სამართლიანად და მიუკერძოებლად უნდა იქნეს გადმოცემული. სახელმწიფო მედიისთვის კარგ პრაქტიკას წარმოადგენს, სულ მცირე, უფასო საეთერო დრო ან პრესის ფურცლებზე უფასო ადგილი მაინც გამოუყოს კანდიდატებსა თუ პარტიებს. მართალია, ხელისუფლებაში მყოფ პირებს შეუძლიათ, მედიაში გააშუქებინონ თავიანთი ოფიციალური მოვალეობანი, ეს უმართებულად არ უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც მათთვის უსამართლო უპირატესობის მიცემის საშუალება და სააგიტაციო ღონისძიებანი აღრეულ არ უნდა იქნეს სახელმწიფო საქმეებთან.

კერძო მედია: ეროვნული სამართლებრივი ნორმებიდან და კანონებიდან გამომდინარე, კერძო მედიას შეიძლება არც ეკისრებოდეს ნეიტრალურობასა და გაწონასწორებულობასთან დაკავშირებული ისეთივე პასუხისმგებლობა, როგორც სახელმწიფო მედიას. მაგალითად, გასაკვირი შეიძლება არ იყოს, თუ პოლიტიკური პარტიის გაზეთი რომელიმე კონკრეტული პარტიის ტრიბუნად იქნება გამოყენებული, ანდა კერძო გაზეთისთვის გაუმართლებელი არ არის, მხარი დაუჭიროს ამა თუ იმ კანდიდატს თავის სარედაქციო პოლიტიკაში. მიუხედავად ამისა, არჩევნებზე დაკვირვების მისია მონიტორინგს ახორციელებს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო მედიაზე, რათა შეაფასოს, როგორია მათი ზემოქმედება კამპანიაზე და ყველა წყაროდან დებულობს თუ არა ელექტორატი საკმარის, გაწონასწორებულ ინფორმაციას, რომელიც მას ინფორმირებულობაზე დაუფრთხილებელი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას მისცემს.

მედიის მონიტორინგი: „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“ იყენებს მედიის მიერ საარჩევნო კამპანიების გაშუქების რაოდენობრივი და თვისობრივი შეფასების სპეციალურ მეთოდოლოგიას. მედიის ანალიტიკოსი



კოორდინაციას უწევს ანალიტიკურ გუნდს, რომელიც მონიტორინგს ახორციელებს მთავარ სატელევიზიო სადგურებსა და გაზეთებზე და აფასებს არჩევნებში მონაწილე თითოეული მეტოქისათვის გამოყოფილი დროის ხანგრძლივობასა და ადგილის სიდიდეს და იმას, ამგვარი გაშუქება პოზიტიურია, ნეგატიური თუ ნეიტრალური. ეს ანალიზი ქმნის ძირითად საფუძველს არჩევნებში მედიის როლის შესაფასებლად. არჩევნებზე დაკვირვების მისია აგრეთვე აფასებს, მედიის შესახებ კანონებით დაშვებულია თუ არა მედიის თავისუფლება კამპანიის დროს, და თუ რამდენად კარგად ხდება ამ თავისუფლების დაცვა და მხარდაჭერა, როგორ ასრულებენ და ასრულებენ თუ არა თავიანთ მოვალეობებს მედიის მარეგულირებელი ესა თუ ის ორგანოები და განიხილება თუ არა საჩივრები სამართლიანად და ეფექტიანად და რეალიზდება თუ არა განხილვის შედეგად გამოტანილი რაიმე სანქციები.

ბასათგალისწინააქველი შესაძლო პრობლემები:

- კანდიდატების დისკრედიტაცია ან კანდიდატის მიერ გამოთქმული აზრების დამახინჯებულად გადმოცემა მედიის მიერ;
- სახელმწიფო მედიის მიერ პარტიების ან კანდიდატების მიმართ არაერთნაირი დამოკიდებულების გამოვლენა;
- ელექტრონული ან ბეჭდვითი მედიის საშუალებათა დახურვა;
- მედიის დაშინება ან შევიწროება;
- ჟურნალისტთა დაპატიმრება ან შევიწროება;
- უხეში ცილისმწამებლური განცხადებები მედიის წინააღმდეგ;
- ქაღალდისა და სასტამბო სადგურების მარაგებით მანიპულირება;
- ბეჭდვითი მედიის გავრცელებისთვის ხელის შეშლა;
- ფასიანი რეკლამის გაუმართლებლად მაღალი საფასური;
- უფასო ეთერის გამოყოფა მხოლოდ ისეთ დროს, როდესაც მაყურებელთა აუდიტორია მცირეა;
- მედიის მარეგულირებელი არაეფექტიანი ორგანოები რომლებიც მდგომარეობის გამოსასწორებლად სათანადო ზომებს არ ღებულობენ.

8.

დაკვირვების წარმოება არჩევნების დღეს



არჩევნების დღის მოვლენებზე დაკვირვების წარმოებასთან დაკავშირებული მოვალეობები განაწილებულია ძირითად გუნდს, გრძელვადიან დამკვირვებლებსა და მოკლევადიან დამკვირვებლებს შორის. თუმცა, ამით შორის მოკლევადიანი დამკვირვებლები მისიის უმთავრეს რესურსს წარმოადგენენ არჩევნების დღის პროცედურების დაკვირვებისა და შეფასების საწარმოებლად საარჩევნო უბნებზე და საარჩევნო ადმინისტრაციის საშუალო დონეებზე. მოკლევადიან დამკვირვებლებს არჩევნების დღეს განათავსებენ ხოლმე მთელს ქვეყანაში, საერთაშორისო შემადგენლობის მქონე ორკაციან გუნდებად, დაკვირვების საწარმოებლად საარჩევნო უბნებზე და ხმების დათვლის ცენტრებში.

არჩევნების დღეს დაკვირვების წარმოება შეიძლება ძალზე ინდივიდუალური საქმე აღმოჩნდეს იმისდა მიხედვით, თუ რომელ ზონაში მოხდება დამკვირვებელთა განთავსება და როგორი გარემოებანი დახვდება დამკვირვებელთა თითოეულ გუნდს იმ საარჩევნო უბნებში, რომლებსაც ისინი მონახულებენ. ზოგიერთი დამკვირვებლები სერიოზულ პრობლემებს შეიძლება წააწყდნენ, სხვებს შეიძლება არანაირი პრობლემები არ შეხვდეთ, სხვებმა კი შეიძლება შერეული სურათი იხილონ. „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნებზე დაკვირვების მეთოდოლოგია, რომელიც დამკვირვებელთა თითოეული გუნდის მიერ საკუთარი წვლილის შეტანას ითვალისწინებს, არჩევნების დღის მოვლენათა მილიანი სურათის ასახავად არის გამოზნული. დამკვირვებლები ავსებენ სპეციალურ ფორმებს თითოეულ საარჩევნო უბანზე და ხმების დათვლის ცენტრში, რომლებსაც ისინი მონახულებენ, რაც დეტალურ ინფორმაციას იძლევა ხმის მიცემისა და ხმების დათვლის პროცესზე, რაც, თავის მხრივ, არჩევნებზე დაკვირვების მისიას აცნობს მთელი ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო უბნებზე მიმდინარე მოვლენათა საერთო პროფილს, რის მიხედვითაც მას შეუძლია გამოიტანოს კოლექტიურ გამოცდილებაზე დაფუძნებული დასკვნები.

„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნებზე დაკვირვების მეთოდოლოგია, ამდენად, ერთდროულად თვისობრივიც არის და რაოდენობრივიც. საარჩევნო უბნებზე ფორმების შევსება საფუძველს ქმნის არჩევნების დღის უმთავრესი პროცედურების რეალიზაციის ანალიზისათვის მთელი ქვეყნის



მასშტაბით. მართალია, არსებობს სტანდარტული შესავსები ფორმა, რომელიც საარჩევნო უბნებისა და ხმათა დათვლის ცენტრების პროცედურების შესამოწმებელ საკონტროლო ანკეტად გამოიყენება, ეს ფორმები შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს თითოეული ქვეყნის სპეციფიკური პროცედურებიდან გამომდინარე (ფორმის ნიმუში **იხ. B** დანართში). ფორმების შევსება უზრუნველყოფს, რომ არჩევნების დღის პროცესების ყველა ასპექტზე ყურადღება სათანადოდ იქნება გამახვილებული და მათ შესახებ ანგარიში სათანადოდ ჩაბარდება, და რომ ძირითადი ტენდენციები სწორად იქნება განსაზღვრული. არჩევნებზე დაკვირვების მისიის სტატისტიკური ანალიტიკოსი ამზადებს დაკვირვების შედეგების რაოდენობრივ ანალიზს.

ფორმების შევსების გარდა, მოკლევადიან დაკვირვებებს სთხოვენ, მათ მიერ შევსებულ ფორმებში და აგრეთვე მათი ზეპირი გამოკითხვებისას კომენტარები გაუკეთონ თავიანთი დაკვირვების საყურადღებო შედეგებსა და შთაბეჭდილებებს. ზოგჯერ მათ შეიძლება ცალკე წერილობითი ანგარიშების მომზადებაც სთხოვონ კონკრეტული ინციდენტების ან დაკვირვების შედეგების შესახებ. მოკლევადიანი დაკვირვებლების გულდასმითი კომენტარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს იმის დასადგენად, ჰქონდა თუ არა ადგილი არჩევნების დღეს კონკრეტულ დარღვევებს და ქვეყანაში ან ცალკეულ რეგიონებში არსებული ტენდენციების გამოსავლენად. უადრესად მნიშვნელოვანია, რომ თავიანთ ფორმებში და ანგარიშებში მოკლევადიანმა დაკვირვებლებმა კონკრეტულად აღნიშნონ, ისინი თავად შეესწრნენ ამა თუ იმ ნაცნობებ დარღვევებს, თუ ამ დარღვევათა შესახებ მათ სხვებმა აცნობეს, მაგალითად, ნდობით აღჭურვილმა პირებმა, საარჩევნო უბნის ოფიციალურმა პირებმა ან ადგილობრივმა დაკვირვებლებმა.

დაკვირვებლებმა უნდა გამოავლინონ პირადი კეთილგონიერებისა და პროფესიული ქცევის უმაღლესი დონე თავიანთი სადაკვირვებლო მოვალეობების შესრულების მთელი დროის განმავლობაში. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი მიწვეულნი არიან ეროვნული არჩევნების ჩატარებაზე დასაკვირვებლად შესაბამის მიმღებ ქვეყანაში, და რომ დაკვირვების წარმოებისას ისინი არც ინდივიდუალურად საკუთარ თავს არ წარმოადგენენ, და არც თავიანთ წარმომავლობის ქვეყანას, არამედ სამთავრობათშორისო ორგანიზაციას. მათი ქცევა, როგორც ასეთი, იმოქმედებს ეუთო-ს. დაკვირვებლებს უნდა ეკეთოდ მათი პირადობის დამადასტურებელი ბარათი და უნდა წარმოადგინონ თავისი აკრედიტაცია, როდესაც მათ ამას სთხოვენ.

მართალია, დაკვირვებლებმა თავი უნდა შეიკავონ საარჩევნო ოფიციალური პირებისთვის რჩევებისა და მითითებების მიცემისაგან, მათ შეუძლიათ ამ პირთა ყურადღება მიაპყრონ პრობლემებზე და წესების დარღვევებზე და დააკვირდნენ, როგორ ასერხებენ, და ასერხებენ თუ არა, ეს ოფიციალური პირები ამა თუ იმ პრობლემის დამოუკიდებლად მოგვარებას. დაკვირვებლებმა უნდა დააფიქსირონ ყველა დარღვევა და ნორმიდან გადახრა. დაკვირვებელთა ფორმები და მათი გამოიკითხვები, საბოლოო ჯამში, გამოავლენს ამგვარი პრობლემების მასშტაბსა და სერიოზულობას.



8.1 განთავსება

ძირითადი გუნდი და გრძელვადიანი დამკვირვებლები ამზადებენ მოკლევადიან დამკვირვებელთა განთავსების გეგმას, რომლის მიზანია დამკვირვებელთა გუნდების იმგვარად განაწილება, რომ უზრუნველყოფილი იყოს ქვეყნის ტერიტორიის გაწონასწორებული დაფარვა არჩევნების დღეს, და რომ დამკვირვებელთა გუნდები არ ახდენდნენ ურთიერთის მუშაობის დაზიანებას. იმისთვის, რომ არჩევნებზე დაკვირვება ეფექტიანი იყოს, აუცილებელია საარჩევნო უბნებისა და ხმათა დათვლის ცენტრების მოულოდნელად მონახულების ელემენტი; ამიტომ, განთავსების გეგმები განთავსებამდე საჯაროდ არ უნდა გამოქვეყნდეს.

განთავსების გეგმა მოიცავს როგორც ქალაქის, ასევე სოფლის რაიონებს და მხედველობაში იღებს ქვეყნის სოციალურ სხვადასხვაგვარობას. განთავსების გეგმამ აგრეთვე უნდა უზრუნველყოს ზოგიერთი დამკვირვებლის გამოყოფა რეგიონალური საარჩევნო კომისიების მოსანახულებლად. იმ შემთხვევებში, როდესაც კენჭისყრა ტარდება სამხედრო ეზოებში, ციხეებში ან საავადმყოფოებში, ანდა გადასატანი საარჩევნო ურნის მეშვეობით, განთავსების გეგმამ მხედველობაში უნდა მიიღოს ამ ტიპის სპეციალური საარჩევნო პროცედურებიც.

დამკვირვებლები ორკაციან გუნდებად უნდა იქნენ განთავსებული. დამკვირვებელთა გუნდის წევრების სხვადასხვაგვარი გამოცდილება ხელს უწყობს თითოეული საარჩევნო უბნის მუშაობის შესახებ უფრო ფართო და გაწონასწორებული თვალსაზრისის ჩამოყალიბების უზრუნველყოფას. ყოველმა გუნდმა თითო საარჩევნო უბანზე მხოლოდ ერთი ფორმა უნდა შეავსოს; ეს მოთხოვნა, რომ თითოეულ გუნდში შემაჯავალმა მოკლევადიანმა დამკვირვებლებმა თანხმობას მიადწინონ თავიანთი დაკვირვების შედეგების თაობაზე. ეს მოთხოვნა დამკვირვებელთა კონკრეტული გუნდის მუშაობის შედეგების სიზუსტის შემოწმების დამატებით საშუალებას წარმოადგენს.

ჩვეულებრივ, მოკლევადიან დამკვირვებლებს თავიანთ მოვალეობათა შესრულების ზონაში არჩევნების დღემდე სულ მცირე ერთი სრული დღით ადრე განთავსებენ ხოლმე. ეს იმის უზრუნველსაყოფად კეთდება, რომ დამკვირვებლებს საკმარისი დრო ექნეთ თავისი სადამკვირვებლო ზონების გასაცნობად და ადგილობრივ ბრიფინგებზე დასასწრებად.

გეოგრაფიული პირობებიდან და საარჩევნო უბნებზე დახვედრილი გარემოებებიდან გამომდინარე, დამკვირვებელთა გუნდს შეუძლია დღის განმავლობაში დაახლოებით 10 საარჩევნო უბანი მონახულოს. მოკლევადიან დამკვირვებელთა თითოეულ გუნდს ეძლევა საარჩევნო უბნების სპეციალური სია, და დამკვირვებლები თავად განსაზღვრავენ, თუ როგორი თანამიმდევრობით მონახულებენ ისინი საარჩევნო უბნებს. თუმცა, მათ შეიძლება დრო არ ეყოთ დღის განმავლობაში ყველა მათგანის მოსანახულებლად. ისინი, სულ მცირე, ნახევარ საათს უნდა დარჩნენ მათ მიერ მონახულებულ ყოველ უბანზე. მათ შეუძლიათ გადაწყვიტონ, რამდენჯერმე დაუბრუნდნენ ერთსა და იმავე უბანს, განსაკუთრებით მაშინ, თუ მიაჩნიათ, რომ სახეზეა პრობლემები, რომლებიც მეტ ყურადღებას იმსახურებს. ასეთ შემთხვევებში, გუნდი ყოველი ვიზიტისას ცალკე ფორმას შეავსებს. დამკვირვებლებს უნდა ახსოვდეთ, რომ არჩევნებზე დაკვირვება რბოლა არ არის, რომლის მიზანიც საარჩევნო



უბნების მაქსიმალური რაოდენობის მონახულებაა, და რომ ზოგჯერ შეიძლება უფრო სასარგებლო იყოს ნაკლები საარჩევნო უბნის მონახულება უფრო ხანგრძლივი დროით.

მნიშვნელოვანია, რომ მოკლევადიანმა დამკვირვებლებმა შეასრულონ განთავსების გეგმა და ნებისმიერი მითითებები იმის თაობაზე, თუ როდის და როგორ უნდა ჩააბარონ თავიანთი ფორმები და დაესწრონ გამოკითხვებს. საჭირო საარჩევნო უბანზე დამკვირვებელთა არმისვლამ, ან ისეთ საარჩევნო უბნებზე მისვლამ, რომლებიც მათს სიაში შეტანილი არ არის, შეიძლება გამოიწვიოს სხვა დამკვირვებელთა მუშაობის დაუბლირება და ქვეყანაში დამკვირვებელთა განთავსების გეგმით გათვალისწინებული წონასწორობის დარღვევა. მითითებული განრიგის თანახმად ანგარიშების ჩაუბარებლობა შეიძლება გამოიწვიოს ფორმების დაგვიანებით მიღება, რის გამოც ვეღარ მოხერხდება მათი გათვალისწინება არჩევნებზე დაკვირვების მისიის მიერ წინასწარი განცხადების მომზადებისას.

8.2 საარჩევნო უბნების საქმიანობა

საარჩევნო უბნების დონეზე არჩევნებზე დაკვირვების ძირითადი მიზანია იმის შეფასება, ხორციელდება თუ არა ხმის მიცემა და ხმების დათვლა სწორად და ორგანიზებულად და საარჩევნო წესების, ეშთ(ო)-ს წინაშე აღებული ვალდებულებებისა და სხვა უნივერსალური პრინციპების შესაბამისად. დამკვირვებლებს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ, რომ საარჩევნო ოფიციალურ პირთა მიერ დაშვებული ზოგიერთი შეცდომა შეიძლება გამოწვეული იყოს გამოუცდელით ან არასაკმარისი მომზადებით, და არა იმდენად რაიმე წინასწარგანზრახული სურვილით, საფრთხე შეუქმნან პროცესის სამართლიანობას. მეორე მხრივ, წინასწარგანზრახულ და სისტემატურ დარღვევებს პოტენციურად შეუძლიათ დაამახინჯონ პროცესი და მოკლევადიან დამკვირვებელთა ანგარიშების საერთო ჯამიც დაუყოვნებლივ ასახავს ამგვარ სისტემატურ დარღვევებს.

დარღვევების შემთხვევაში, დამკვირვებლებმა საარჩევნო ოფიციალურ პირთა ყურადღება უნდა მიაპყრონ მათზე, მაგრამ არ უნდა მისცენ მათ რჩევა ან მითითებები, ან ეცადონ, გააუქმონ საარჩევნო ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებანი. თუმცა, ისინი უნდა დააკვირდნენ, როგორ აგვარებენ, და აგვარებენ თუ არა, საარჩევნო ოფიციალური პირები მათთვის ნაცნობ ამა თუ იმ დარღვევებს, და შეიტანონ ეს ინფორმაცია თავიანთ ანგარიშებში. ისეთი სერიოზული დარღვევების შემთხვევაში, როგორცაა საარჩევნო ურნაში ყალბი ბიულეტენების ჩაყრა, ან საბოლოო შედეგების ოქმების გადაკეთება საარჩევნო ადმინისტრაციის რომელიმე დონეზე, დამკვირვებლებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ მათ შესახებ გრძელვადიან დამკვირვებლებს, რომლებიც განთავსების შესაბამის ზონაზე აგებენ პასუხს.

ძალადობის, ან ძალადობის სერიოზული მუქარის შემთხვევაში მოკლევადიანმა დამკვირვებლებმა დაუყოვნებლივ უნდა დატოვონ ზონა. მათ არ უნდა დაუშვან საკუთარი თავის, თავიანთი თარჯიმნის ან მძღოლის საფრთხეში ჩაგდება. ამგვარი ინციდენტების შესახებაც მათ დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ თავიანთ გრძელვადიან დამკვირვებლებს.

ჩვეულებრივ, დამკვირვებლები თავიანთ პირველ საარჩევნო უბანზე ისეთ დროს უნდა მივიდნენ, რომ გახსნის პროცედურებზე დაკვირვება შეძლონ. გახსნაზე დაკვირვებისას





მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს, იღება თუ არა საარჩევნო უბნები განრიგის მიხედვით, კარგად იცნობს თუ არა საარჩევნო უბნის კომისია პროცედურებს და იწყება თუ არა შესაბამის საარჩევნო უბანში ხმის მიცემა ეფექტიანად და წესების თანახმად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, ცარიელია თუ არა საარჩევნო უბნები პროცესის დაწყებისას; სათანადოდაა თუ არა ისინი დალუქული; და მიიღეს თუ არა საარჩევნო უბანზე შეუვსებელი ბიულეტენები და სხვა აუცილებელი მასალები, და შეუძლიათ თუ არა, ანგარიში წარმოადგინონ მათ შესახებ. მოკლევადიან დამკვირვებლებს ეძლევათ სპეციალური შესავსები ფორმები, რომლებშიც მათ უნდა ჩაწერონ საკუთარი შთაბეჭდილებები და კომენტარები საარჩევნო უბნის გაღების პროცედურების შესახებ.

A. დაკვირვება საარჩევნო უბნების გარეთ და მათში შესვლისას

მოკლევადიანი დამკვირვებლები უნდა დააკვირდნენ საარჩევნო უბნის გარეთ და მის შორიახლოს არსებულ საერთო პირობებს. მნიშვნელოვანია მთელი რიგი საკითხები:

- არის თუ არა სააგიტაციო მასალების ან სააგიტაციო აქტივობის რაიმე ნიშანი საარჩევნო უბანში, ან მის უშუალო სიახლოვეში?
- შეკრებილია თუ არა ხალხის დიდი რაოდენობა საარჩევნო უბნის შორიახლოს? თუ ამომრჩევლები გარეთ დგანან რიგში ხმის მისაცემად, აკეთებენ თუ არა ისინი ამას დისციპლინირებულად? თუ შეკრებილები ამომრჩევლები არ არიან, არსებობს თუ არა იმის რაიმე მინიშნება, თუ ვინ არიან ისინი?
- არის თუ არა დაშინების ან ხელის შეშლის რაიმე ნიშნები?
- ახდენენ თუ არა ამომრჩევლებზე რაიმე ზემოქმედებას, რათა მათ რომელიმე კონკრეტული კანდიდატისთვის ან პარტიისთვის მიაცემინონ ხმა?
- ადგილზეა თუ არა უშიშროების დაცვის პერსონალი, და თუ ადგილზეა, სათანადოდ იქცევიან თუ არა მისი წარმომადგენლები?
- ძნელია თუ არა საარჩევნო უბანამდე მისვლა? შეუძლია უნარშეზღუდულ პირს საარჩევნო უბანში დაუხმარებლად შესვლა?

დამკვირვებლებმა უნდა იგრძნონ ნებისმიერი სახის უჩვეულო დაძაბულობა, რომლის ნიშნებიც მათ საარჩევნო უბანში შესვლისას შეიძლება დახედეთ, ან მათი იქ შესვლის გამო, ან სხვა რაიმე მიზეზით. სწორედ ეს პირველი რამდენიმე წუთი შეიძლება აღმოჩნდეს გადამწყვეტი საარჩევნო უბანზე არსებული სიტუაციის შესახებ უშუალო და რეალისტური წარმოდგენის შესაქმნელად. თუმცა, სიტუაციის უფრო დეტალურად შესაფასებლად შეიძლება მეტი დრო იყოს საჭირო და დამკვირვებლებმა საარჩევნო უბანში იმდენი დრო უნდა დაყონ, რამდენიც ზუსტი წარმოდგენის შესაქმნელად იქნება საჭირო.

B. საარჩევნო უბნის ოფიციალური პირებისთვის დასასმელი კითხვები

საარჩევნო უბანში შესვლისთანავე მოკლევადიანმა დამკვირვებლებმა ჯერ საარჩევნო უბნის მთავარ ოფიციალურ პირს უნდა უნდა წარუდგინონ თავი აკრედიტებულ დამკვირვებლებად, შემდეგ კი მოკლედ აუხსნან მას თავიანთი ვიზიტის ხასიათი. თუ ეს ოფიციალური პირი წინააღმდეგია მათი იქ ყოფნის ან მათი საქმიანობისა, მას მშვიდად უნდა აუხსნან, რომ მიწვეულნი არიან ქვეყნის მთავრობის მიერ და ოფიციალური აკრედიტაცია აქვთ მიღებული დამკვირვების საწარმოებლად. თუმცა, ისინი არ უნდა შეეკამათონ საკუთარ მოვალეობათა შემსრულებელ ოფიციალურ





პირს და უნდა დაემორჩილონ მის მითითებებს. თუ ეს მითითებები მოკლევადიან დამკვირვებელთათვის შეუძლებელს ხდის მათი მოვალეობების შესრულებას, არსებული გარემოებები დეტალურად უნდა დაფიქსირდეს შესავსები ფორმის ნაწილში, რომელსაც „კომენტარები“ ეწოდება და მათ შესახებ რაც შეიძლება სწრაფად უნდა ეცნობოს პასუხისმგებელ გრძელვადიან დამკვირვებელს.

როდესაც კი ეს შესაძლებელია, დამკვირვებლები უნდა ესაუბრონ საარჩევნო უბნის ოფიციალურ პირთა გარკვეულ რაოდენობას, განსაკუთრებით როდესაც ისინი სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს წარმოადგენენ. არსებობს მთელი რიგი კითხვები, რომელთა საარჩევნო უბნის ოფიციალურ პირთათვის დასმაც მოკლევადიანი დამკვირვებლების მიერ სასარგებლო შეიძლება იყოს. მრავალი მათგანი დამკვირვებელთა ფორმებში იქნება მოყვანილი. სხვა კითხვები შესაძლოა ფორმებში მოყვანილი არ იყოს, მაგრამ ისინი შესაძლებლობას მისცემენ მოკლევადიან დამკვირვებლებს, უფრო ნათელი შთაბეჭდილება და წარმოდგენა შეიქმნან საარჩევნო პროცედურების შესახებ. საარჩევნო უბნის ოფიციალურ პირთათვის დასასმელ შესაძლო კითხვათა რიცხვში შედის შემდეგი კითხვები:

- როგორ მოხდა საარჩევნო უბნის ოფიციალურ პირთა შერჩევა? წარმოადგენენ თუ არა ისინი პოლიტიკურ პარტიებს? ჩვეულებრივ, სად მუშაობენ ისინი?
- სახეზეა თუ არა ყველა დანიშნული წევრი? ხომ არ ყოფილან ისეთი წევრები, რომლებსაც საარჩევნო უბნის კომისიაში მუშაობის საშუალება არ მიეცათ?
- როგორ არის განაწილებული საარჩევნო უბნის კომისიის წევრთა მოვალეობანი ამომრჩეველთა ევექტინანდ და საიმედოდ მომსახურების უზრუნველსაყოფად?
- გაიარეს თუ არა საარჩევნო უბნის ოფიციალურმა პირებმა ფორმალური მომზადება?
- როდის იქნა მიღებული ბიულეტენები და ხმის მიცემასთან დაკავშირებული სხვა მასალები და როგორ იყო ისინი დაცული არჩევნების დღემდე?
- თავდაპირველად რამდენი ბიულეტენი იქნა მიღებული კონკრეტული საარჩევნო უბნის მიერ?
- საკმარისია თუ არა საარჩევნო ბიულეტენებისა და კენჭისყრისთვის საჭირო სხვა მასალების რაოდენობა?
- რამდენი ამომრჩეველია შეტანილი საარჩევნო უბანზე არსებულ ამომრჩეველთა სიაში, და რეალურად რამდენმა ამომრჩეველმა მისცა ხმა? (ამან დამკვირვებლებს გარკვეული წარმოდგენა უნდა მისცეს არჩევნებზე ამომრჩეველთა გამოცხადების ტენდენციების შესახებ.)
- არსებობს თუ არა ამომრჩეველთა დამატებითი სია ავადმყოფებისა და ასაკოვანი ამომრჩეველებისთვის, რომლებიც ხმას სახლში აძლევენ გადასატანი საარჩევნო უბნის მეშვეობით, და თუ ეს ასეა, შეტანილია თუ არა ამომრჩეველთა დამატებით სიაში გვარების უჩვეულოდ დიდი რაოდენობა?
- ხომ არ ეთქვათ ზოგიერთ ამომრჩეველებს უარი ხმის მიცემაზე იმის გამო, რომ მათი გვარები შეტანილი არ აღმოჩნდა ამ საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სიაში? თუ ზოგიერთ ამომრჩეველებს არ ჰქონდათ მათი პირადობის დამადასტურებელი შესაფერისი საბუთები, როგორ ხდებოდა ამ პრობლემის მოგვარება?
- ჰქონდა თუ არა ადგილი რაიმე უწესრიგობას, დარღვევას, ან საჩივრებს და როგორ ხდებოდა მათზე რეაგირება?





დამკვირვებლები უნდა შეეცადონ შეაფასონ, ავლენენ თუ არა საარჩევნო უბნის ოფიციალური პირები კარგ მომზადებასა და საარჩევნო პროცედურების ცოდნას. მათ უნდა შეაფასონ, ეტყობათ თუ არა ოფიციალურ პირებს, რომ მათ თავისუფლად შეუძლიათ საკუთარ მოვალეობებზე საუბარი. რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, დამკვირვებლები უნდა ეცადონ შეამჩნიონ, ეტყობათ თუ არა ოფიციალურ პირებს, რომ ისინი თავიანთ მოვალეობებს მიუკერძოებლად ასრულებენ.

C. დაკვირვება საარჩევნო უბნის პროცედურებზე

საარჩევნო უბნის ოფიციალურ პირებთან თავიანთი საუბრების გარდა, მოკლევადიანმა დამკვირვებლებმა ყურადღებით უნდა ადევნონ თვალი საარჩევნო უბანზე მიმდინარე ყველა პროცედურას. მათ უნდა იხელმძღვანელონ მათთვის მიცემული ფორმით, რომელშიც შეტანილი იქნება კონკრეტული არჩევნებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვები. თუმცა, მოკლევადიანმა დამკვირვებლებმა დამოუკიდებლადაც უნდა შეაფასონ, ხომ არ იძლევა მათს ფორმებში მოუხსენიებელი რომელიმე სხვა საკითხები ან პროცედურები შეშფოთების საფუძველს და უნდა ჩაინიშნონ ისინი თავიანთი ფორმების კომენტარებისთვის გამოყოფილ ნაწილში. დასაკვირვებელი საკითხებისა და პროცედურების რიცხვში შედის:

- არის თუ არა დეზორგანიზაციის ნიშნები, როგორც მაგალითად ამომრჩეველთა უჩვეულოდ გრძელი რიგები ან მეტისმეტად ხანგრძლივი შეფერხებები?
- არის თუ არა სააგიტაციო მასალების ან სააგიტაციო კამპანიის რაიმე ნიშანი საარჩევნო უბანზე?
- არის თუ არა რაიმე მცდელობა, დაიყოლიონ ამომრჩევლები რომელიმე კონკრეტული კანდიდატის ან პარტიისთვის ხმის მიცემაზე. ან ხომ არ ხდება ამომრჩევლებზე რაიმე ზეწოლა? არის თუ არა დაშინების რაიმე ნიშანი?
- არიან თუ არა საარჩევნო უბნებზე პოლიციელები, უშიშროების ძალების წარმომადგენლები, ან სამთავრობო მოხელეები?
- არიან თუ არა საარჩევნო უბნებზე სხვა პირები, რომელთაც არ ეტყობათ, რომ რაიმე ოფიციალურ ფუნქციებს ასრულებდნენ?
- საარჩევნო უბნის ოფიციალურ პირთა გარდა, ვინმე სხვა თუ ხელმძღვანელობს კენჭისყრის პროცესს ან მითითებებს აძლევს საარჩევნო უბნის ოფიციალურ პირებს?
- როგორ ხდება ამომრჩეველთა პირადობის დადგენა და წარმოდგენენ თუ არა ისინი შესაფერის საბუთებს?
- როგორ ხდება ამომრჩეველთა მომსახურება, მაგალითად ამომრჩეველთა სიაში გვარების გადახაზვით, სიაში ხელის მოწერით, თუ პირადობის დამადასტურებელ ბარათებში ბეჭდის ჩარტყმით? გამოიყენება თუ არა მოუცილებელი საღებავი?
- თუ ამომრჩევლები ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერას აკეთებენ, არის თუ არა იქ ხელმოწერები, რომლებიც იდენტური ჩანს?
- ეუბნებიან თუ არა ამომრჩევლებს უარს ხმის მიცემაზე იმის გამო, რომ ისინი სიაში შეტანილი არ არიან?
- დასმულია თუ არა ბიულეტენებზე მოცემული საარჩევნო უბნის განსაკუთრებული ოფიციალური ბეჭედი და/ან საარჩევნო უბნის ოფიციალური პირ(ებ)ის ხელმოწერა?
- ეძლევათ თუ არა ამომრჩევლებს იმაზე მეტი ბიულეტენი, ვიდრე მათ ეკუთვნით, და არის თუ არა მრავალჯოხის ხმის მიცემის რაიმე სხვა ნიშნები?





- არის თუ არა საარჩევნო ურნაში ყალბი ბიულეტენების ჩაყრის რაიმე მტკიცებულება?
- ეტყობათ თუ არა ამომრჩევლებს, რომ პროცესის არსი ესმით, თუ ამომრჩეველთა დიდ რაოდენობას დახმარება ესაჭიროება? მარტივი და ადვილად გამოსაყენებელია თუ არა საარჩევნო ბიულეტენები?
- ხომ არ არის საარჩევნო უბნის ინტერიერი ისეთნაირად დაგეგმილი, რომ ამას, პოტენციურად, პირის მიერ მიცემული ხმის ფარულობის დარღვევა შეეძლოს?
- აძლევენ თუ არა ამომრჩევლებს საარჩევნო კაბინაში ერთად შესვლის უფლებას?
- არიან თუ არა ისეთი ამომრჩევლები, რომლებიც ხმას საარჩევნო კაბინის გარეთ აძლევენ?
- არის თუ არა სახეზე დამხმარე საშუალებანი, რომელთა გამოყენებაც უნარშეზღუდულ პირს დამოუკიდებლად შეეძლება?
- აღმოეჩინება თუ არა სათანადო დახმარება პირებს, რომელთაც ასეთი დახმარება ესაჭიროებათ?
- განლაგებულია თუ არა საარჩევნო უბნები საარჩევნო ოფიციალურ პირთა სრული ხილვადობის არეში?
- სათანადოდ არის თუ არა დალუქული საარჩევნო უბნები?
- ჯერონდ და ქმედითად სრულდება თუ არა ყველა აუცილებელი საარჩევნო პროცედურა?

D. სხვა კონტაქტები საარჩევნო უბანზე

საარჩევნო უბნის ოფიციალურ პირებთან და დამოუკიდებელ დამკვირვებლებთან აზრთა გაცვლის გარდა, მოკლევადიანი დამკვირვებლები უნდა ეცადონ ადგილობრივ დამკვირვებლებთან გასაუბრებასაც. ესენი შეიძლება იყვნენ პარტიული კუთვნილების მქონე დამკვირვებლები, კანდიდატთა წარმომადგენლები და უპარტიო სამოქალაქო დამკვირვებლები. ადგილობრივი, როგორც პარტიული, ასევე უპარტიო დამკვირვებლები დაშვებულნი უნდა იქნენ საარჩევნო უბნებზე, თანახმად 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტში მოყვანილი პრინციპებისა.

მოკლევადიანმა დამკვირვებლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ, იმყოფებიან თუ არა ადგილობრივი დამკვირვებლები საარჩევნო უბნებზე და ხომ არ უშლით მათ ხელს რაიმე შეზღუდვები ან დაბრკოლებები თავიანთი სადამკვირვებლო მოვალეობების შესრულებაში. მოკლევადიანი დამკვირვებლები, სადაც კი ეს შესაძლებელია, უნდა გაესაუბრონ ადგილობრივი დამკვირვებლების თითოეული შესაბამისი კატეგორიის სხვადასხვა ტიპურ წარმომადგენლებს. მათს კომენტარებს დამატებითი ინფორმაციის მოცემა შეუძლია საარჩევნო უბანზე არსებულ საარჩევნო გარემოსა და საარჩევნო ოფიციალურ პირთა მუშაობის შესახებ.

მართალია, საერთაშორისო დამკვირვებლებისთვის დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია ადგილობრივ დამკვირვებელთა ჯგუფების საქმიანობაში ღრმა ჩახედულობას, აუცილებელია აღინიშნოს, რომ „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნებზე დაკვირვების მისიები სრულებით განცდალკეველნი რჩებიან ადგილობრივი ძალებით გატარებული ნებისმიერი სახის სადამკვირვებლო ღონისძიებებისაგან. მოკლევადიანმა დამკვირვებლებმა თავიანთ საუბრებში ცხადად უნდა განმარტონ, რომ მათ უფლებამოსილება არ გააჩნიათ, რაიმე ზომები მიიღონ დარღვევების ან ნორმიდან გადახვევების გამოსასწორებლად, და რომ მათ





მხოლოდ საჩივრების შესახებ თავიანთი შტაბ-ბინისათვის შეტყობინება შეუძლიათ. მოკლევადიანმა დამკვირვებლებმა უნდა აცნობონ მათ, ვინც დარღვევათა ან ნორმიდან გადახვევათა მომსწრე გახდა, რომ მათ აქვთ ოფიციალური ადგილობრივი პროცედურების გამოყენებით გასაჩივრების უფლება.

მოკლევადიანი დამკვირვებლები აგრეთვე უნდა ეცადონ, ზოგიერთ ამომრჩევლებთან გამართონ არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების განხილვები, რათა შეაფასონ, რამდენად ესმით მათ პროცესი და რამდენად ნდობით ეკიდებიან მას. მაგალითად, როდესაც მოკლევადიანი დამკვირვებლებს შეიძლება შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ ხმის მიცემის პროცესი საფრთხეს უქმნის კენჭისურის ფარულობას, მიაჩნიათ თუ არა თავად ამომრჩევლებს, რომ მათ მიერ მიცემული ხმები ფარულია? ინფორმირებულნი იყვნენ თუ არა ამომრჩევლები ასარჩევო პროცედურების შესახებ და კარგად იცნობდნენ თუ არა საარჩევნო პროცედურებს? თუკი რამდენიმე ბიულეტენი ან ახალი საარჩევნო პროცედურები გამოიყენებოდა, ხომ არ იწვევდა ეს ამომრჩეველთა დაბნევას? თუ საარჩევნო უბანზე მისულ ამომრჩევლებს ხმის მიცემის ნებას არ აძლევდნენ, კეთებოდა თუ არა ეს საფუძვლიანი მიზეზის გამო? მაგრამ მოკლევადიანი დამკვირვებლები არასოდეს არ უნდა შეეკითხონ ამომრჩევლებს, ვის მისცეს მათ ხმა, და მათ არასოდეს არ უნდა მისცენ კითხვები ამომრჩევლებს საარჩევნო უბნის ფარგლებში, ან როდესაც ხალხი საარჩევნო უბანს უახლოვდება ხმის მისაცემად, ვინაიდან ეს არასწორად შეიძლება იქნეს გაგებული.

მათ მიერ გამართული ყველა საუბრის დროს დამკვირვებლებს უნდა ახსოვდეთ, რომ ზოგიერთი ადამიანი შეძლება ეცადოს, საკუთარი მიზნებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, მოახდინოს მოკლევადიანი დამკვირვებლებისთვის მიწოდებული ინფორმაციის მანიპულირება. ამდენად, მოკლევადიანმა დამკვირვებლებმა მიღებული ინფორმაციის შეფასებისას თავად უნდა განსაჯონ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია იგი. ამდენად, ანგარიშის გაგზავნისას, მოკლევადიანმა დამკვირვებლებმა ყოველთვის უნდა განასხვავონ ერთმანეთისგან მათს საკუთარ დაკვირვებაზე დაფუძნებული ინფორმაცია და მათთვის სხვების მიერ შეტყობინებული ინფორმაცია. თუ მოკლევადიანი დამკვირვებლები სხვების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას იტყობინებიან, ისინი უნდა ეცადონ განმარტონ, თუ რამდენად ზუსტად მიაჩნიათ მათ ეს ინფორმაცია.

E. სპეციალური საარჩევნო პროცედურები

მრავალ ქვეყანაში გათვალისწინებულია სპეციალური საარჩევნო პროცედურები, რომლებიც გამიზნულია ხმის მიცემის გასაადვილებლად, ან ხმის მიცემის შესაძლებლად გასახდელად იმ მოქალაქეთათვის, ვისაც, ამა თუ იმ მიზეზით, შეიძლება საარჩევნო უბანზე მისვლის შესაძლებლობა არა ჰქონდეს. სპეციალურ საარჩევნო პროცედურათა რიცხვში შეიძლება შედიოდეს ავადმყოფთა და ხანდაზმულთათვის განკუთვნილი გადასატანი საარჩევნო ურნების გამოყენება, ხმის მიცემა საავადმყოფოებსა და ციხეებში, ვადამდელი ხმის მიცემა, ხმის მიცემა ფოსტით, ხმის მიცემა საელჩოებში და სპეციალური ზომები სამხედროთა მიერ ხმის მიცემისთვის.

სპეციალურ ხმის მიცემას ის უპირატესობა აქვს, რომ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებით სარგებლობის საშუალებას აძლევს ამომრჩევლებს, რომელთაც სხვაგვარად ხმის მიცემა შეიძლება ვერ მოეხერხებინათ. თუმცა, სპეციალური საარჩევნო პროცედურების საიმედოდ რეგულირება შესაძლოა გაცილებით უფრო





როულიც აღმოჩნდეს სათანადო დამცავი ზომების გარეშე, და ამდენად ისინი დაუცველია პოტენციური ბოროტად გამოყენებისაგან. მაშასადამე, სპეციალური საარჩევნო ზომების შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე მათი ჯერონად, საიმედოდ და გამჭვირვალედ რეგულირების შესაძლებლობა, ისევე როგორც მთლიანი საარჩევნო პროცესისადმი ნდობის ზომა-ხარისხი.

მოკლევადიან დამკვირვებლებს შეიძლება მითითება მიეცეთ, თავიანთი მოვალეობების ფარგლებში, დააკვირდნენ სპეციალური ხმის მიცემის ზოგიერთ ფორმებს. თუ ეს ასე მოხდა, ისინი უნდა ეცადონ შეაფასონ, თუ რამდენად საკმარისად რეგულირებული, საიმედოდ და გამჭვირვალეა ამგვარი კენჭისყრა. თუ ამომრჩეველთა დამატებითი სიები გამოიყენება, მაგალითად, ავადმყოფი და ხანდაზმული ამომრჩეველებისთვის, რომლებიც ხმას შინ აძლევენ, ხომ არ არის შეტანილი ამ სიებში გვარების უზრუნველყოფა დიდი რაოდენობა? დაუროგდათ თუ არა საკმარისი სააგიტაციო მასალა ჯარისკაცებს, პატიმრებს, საავადმყოფოს პაციენტებს ან სპეციალური საარჩევნო პროცედურებით მოსარგებლე სხვა ამომრჩეველებს, რათა მათ ინფორმირებულობაზე დაფუძნებული არჩევანის გაკეთება შეძლონ?

ხმის მიცემა სახმედროების მიმართ: მიუხედავად იმისა, რომ ნდობისა და გამჭვირვალეობის თვალსაზრისით აშკარად უმჯობესია, სამხედროებს სამოქალაქო მოსახლეობასთან ერთად შეეძლოთ ხმის მიცემა, მაინც, ზოგიერთ ქვეყნებში სამხედრო პერსონალს შეიძლება ევალებოდეს ხმის მიცემა თავის ვაზარმებში ან თავის სამხედრო ბაზებზე. ამგვარ ვითარებაში, საარჩევნო პროცესში სამხედროების მონაწილეობაზე დაკვირვება უნდა მოახდინოს მოკლევადიან დამკვირვებელთა გარკვეულმა რაოდენობამ, რადგანაც ჯარისკაცები შეიძლება განსაკუთრებით დაუცველი იყვნენ დაშინებისგან. მაგალითად, ჯარის ნაწილებს შეიძლება უბრძანონ, ხმა მისცენ თავიანთი ოფიცრების წინაშე, ხოლო ზოგ შემთხვევებში ოფიცრებმა შეიძლება თავიანთი ჯარისკაცებს მითითებაც კი მისცენ იმის თაობაზე, თუ ვის უნდა მისცენ მათ ხმა.

საავადმყოფოები და ციხეები: როდესაც სპეციალური საარჩევნო პუნქტები იხსნება საავადმყოფოებში ან ციხეებსა და დაკავების სხვა ადგილებში, დამკვირვებელთა გარკვეულ რაოდენობას უნდა დაევალოს ამ სპეციალური საარჩევნო უბნების მონახულება. მთელ რიგ ქვეყნებში მსჯავრდადებულებს ჩამორთმეული აქვთ ხმის მიცემის უფლება, მაგრამ წინასწარ დაკავებაში მყოფი პირები, რომელთათვისაც განაჩენი ჯერ არ გამოუტანიათ, ხმის მიცემის უფლებას ინარჩუნებენ. საავადმყოფოს პაციენტები და პატიმრები აგრეთვე შეადგენენ ელექტორატის ისეთ სუბგუნებს, რომელიც დაშინებისგან განსაკუთრებით დაუცველი შეიძლება იყოს.

გადასატანი საარჩევნო უბნები: მრავალ ქვეყანაში გამოყოფენ ხოლმე გადასატანი საარჩევნო უბნებს იმ ამომრჩეველთა თხოვნით, რომლებიც შეიძლება ხანდაზმულები იყვნენ, ავად იყვნენ, ან სხვა მიზეზის გამო არ შეეძლოთ საარჩევნო უბანზე მისვლა. ჩვეულებრივ, გადასატანი საარჩევნო უბნების ჩამორთმევა ხდება სულ მცირე ორი საარჩევნო ოფიციალური პირის მიერ, რომლებიც, იდეალურ შემთხვევაში, სხვადასხვა პოლიტიკურ ინტერესებს წარმოადგენენ, როდესაც ეს შესაძლებელია. გადასატანი საარჩევნო უბნების მიმართ კონტროლის ყველა იმ ზომის გამოყენება, რომლებიც საარჩევნო უბანზე გამოიყენება, შეუძლებელია. გადასატანი საარჩევნო უბნებით მოსარგებლე ამომრჩეველებს შეიძლება აგრეთვე არ ჰქონდეთ ისეთივე





კონფიდენციალურობით სარგებლობის საშუალება, როგორც საარჩევნო კაბინა იძლევა. რამდენიმე მოკლევადიანი დამკვირვებელი უნდა შეეცადოს, გაჰყვეს გადასატან საარჩევნო ურნებს მათი ჩამოტარებისას და შეაფასოს პროცესი.

ვადადელი ხმის მიცემა და ხმის მიცემა უოსტით: საზოგადოდ, მოკლევადიანი დამკვირვებლები ყოველთვის ვერ ახერხებენ, განახორციელონ ვადამდელი ხმის მიცემის ან ფოსტით ხმის მიცემის მონიტორინგი იქ, სადაც ისინი ნებადართულია. თუმცა, სასარგებლო იქნება, თუ დამკვირვებლები დაადგენენ, რამდენად საიმედოდ ინახებოდა ვადამდელი და საფოსტო ბიულეტენები არჩევნების დღემდე, და თუ ისინი დაესწრებიან ამ ბიულეტენების გახსნასა და დათვლას და საერთო შთაბეჭდილებას შეიქმნიან პროცესის შესახებ. ვადამდელი ხმის მიცემის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია აგრეთვე, დამკვირვებლებმა დაადგინონ, როგორ აისახება ამომრჩეველთა დღიური გამოცხადების აღრიცხვა საარჩევნო უბნის შედეგების ოქმში.

ხმის მიცემა საზღვარბარეთ: ქვეყნების გარკვეული რაოდენობა ნებას აძლევს თავის მოქალაქეებს, ხმა მისცენ საელჩოებში ან სპეციალურად ორგანიზებულ საარჩევნო ცენტრებში ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ჩვეულებრივ, ასეთნაირად ხმას მოსახლეობის მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილი აძლევს. მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებებისას, მაგალითად იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი რაოდენობის არსებობის შემთხვევაში, მიიღება განსაკუთრებული ზომები იმისთვის, რათა მოკლევადიანმა დამკვირვებლებმა დაკვირვება აწარმოონ ამგვარ კენჭისყრაზე.

8.3 კონტაქტი მედიასთან

არჩევნების დღეს მედიის წარმომადგენლები ხშირად მიმართავენ ხოლმე დამკვირვებლებს საარჩევნო პროცესის თაობაზე კომენტარის სათხოვნელად. დამკვირვებელთა ქცევის კოდექსი დამკვირვებლებს უკრძალავს მედიისათვის პირადი კომენტარების გაკეთებას თავისი დაკვირვების შედეგების შესახებ. დამკვირვებლებს მკაცრად ეკრძალებათ მედიასთან საუბარი თავიანთი დაკვირვებისა და დასკვნების შინაარსის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე დამკვირვებელი მედიასთან ისაუბრებენ თავიანთი დასკვნების შინაარსის შესახებ, ამის შესახებ ეცნობება მათ შესაბამის წარმგზავნ სახელმწიფოებს და მათი სადამკვირვებლო აკრედიტაციები შეიძლება დაუყოვნებლივ გაუქმდეს.

მაგრამ, თუ ესა თუ ის დამკვირვებელი, საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ, მედიის მხრიდან გამოითხოვის ობიექტი გახდება, მას შეუძლია მისცეს გარკვეული ზოგადი ხასიათის ინფორმაცია თავისი, როგორც ეუთო-ს დამკვირვებლის, როლის შესახებ, მაგრამ არ უნდა ისაუბროს რაიმე არსებითი საკითხების, ან მისი დაკვირვების შედეგების შესახებ. დამკვირვებლებმა აგრეთვე თავი უნდა შეიკავონ არჩევნების შედარებისაგან სხვა რომელიმე არჩევნებთან, რომლის დაკვირვებაც მათ შეიძლება ეწარმოებინათ იმავე ქვეყანაში, ან სადმე სხვაგან. მედიის წარმომადგენლებთან საუბრისას შეიძლება გაკეთდეს შემდეგი ხასიათის ზოგადი კომენტარები:

- რომ მიზანშეწონილი არ იქნებოდა კომენტარების გაკეთება მათი შთაბეჭდილებების ან დასკვნების შესახებ, ვინაიდან ისინი ქვეყანაში მიმდინარე არჩევნების საერთო სურათის მხოლოდ მცირე ნაწილის მოწმენი არიან; რომ მათი ანგარიშები შეჯამდება სხვა მრავალ ანგარიშთან, რათა არჩევნებზე დაკვირვების მისიას



საერთო დასკვნების გამოტანა შეეძლოს დამკვირვებელთა ანგარიშების დიდი რაოდენობის საფუძველზე;

- რომ ექსპერტ-ს ვეველა ქვეყანა მომხრეა დამკვირვებელთა მოწვევის იდეისა, იმის აღიარების ნიშნად, რომ დაკვირვება აუმჯობესებს გამჭვირვალობას და აქვს საარჩევნო პროცესისადმი საზოგადოების ნდობის გაზრდის პოტენციალი;
- საერთო რაოდენობა „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ მოკლევადიანი დამკვირვებლებისა, რომლებიც დაკვირვებას აწარმოებენ, და იმ სხვადასხვა ქვეყნის რაოდენობა, რომლებმაც თავიანთი დამკვირვებლები გამოგზავნეს (ამ ინფორმაციას, ჩვეულებრივ, მოკლევადიანი დამკვირვებლების ბრიფინგზე იძლევიან ხოლმე);
- რამდენი საარჩევნო უბნის მონახულებას აპირებენ ისინი;
- რომ არჩევნების მომდევნო დღეს დედაქალაქში ჩატარდება პრესკონფერენცია, რომელზეც გამოცხადდება არჩევნებზე დაკვირვების მისიის წინასწარი დასკვნები, და რომ მედიის ვეველა წარმომადგენელს სთხოვენ ამ პრესკონფერენციაზე დასწრებას.

თუ მედიის რომელიმე წარმომადგენელი კვლავაც დაჟინებით მოითხოვს ინფორმაციას ან კომენტარებს ზემოთ ჩამოთვლილი მოსაზრებების გარდა, იგი მისიის ხელმძღვანელთან უნდა გაგზავნონ. მხოლოდ მისიის ხელმძღვანელს ან „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ პასუხისმგებელ ოფიციალურ პირს შეუძლია მედიასთან საუბარში ვრცელი კომენტარების გაკეთება. თუ რომელიმე დამკვირვებელი რაიმე ზოგად კომენტარს გააკეთებს მედიასთან საუბრისას, მან უნდა ჩაიწეროს, ვინ ესაუბრა მას და მედიის რომელ საშუალებას ან საშუალებებს წარმოადგენდნენ ისინი.

გასათვალისწინებელი შესაძლო პრობლემები:
<input type="checkbox"/> ძალადობა ან არეულობა;
<input type="checkbox"/> ამომრჩეველთა დაშინება;
<input type="checkbox"/> დაბნეულობა ან დეზორგანიზაცია საარჩევნო უბნებზე;
<input type="checkbox"/> საარჩევნო უბნებზე სათანადო უფლებამოსილების არქონე პირთა ყოფნა;
<input type="checkbox"/> საარჩევნო უბნის ხმის მისაცემად გამოყოფილ ადგილზე, ან მის სიახლოვეში ფორმირებული პოლიციელების, ან ადგილობრივი მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლების ყოფნა;
<input type="checkbox"/> სხვა შეუფერებელი ქმედებანი პოლიციის და/ან უშიშროების ძალების მხრიდან, როგორც მაგალითად ჩანაწერების გაკეთება და ამომრჩეველთა აქტივობის ამსახველი ციფრების ან შედეგების მოხსენება ტელეფონით;
<input type="checkbox"/> საარჩევნო კამპანიის წარმოება კამპანიის შეწყვეტის დადგენილი ვადის შემდეგ;
<input type="checkbox"/> სააგიტაციო მასალა საარჩევნო უბნებზე;
<input type="checkbox"/> საარჩევნო უბნების დაგვიანებით გაღება;
<input type="checkbox"/> საარჩევნო ოფიციალურ პირთა მიერ საჭირო პროცედურების შეუსრულებლობა;

- შეზღუდვა არჩევნებში მონაწილეობისთვის შესაფერის ამომრჩეველთა უფლებისა, მისცენ ხმა;
- ამომრჩეველთა პირადობის შეუმოწმებლობა;
- კენჭისყრის ფარულობის ვერზუსტუნველყოფა არასათანადო კაბინების, შირმების ან განათების შედეგად;
- უზუსტობანი ამომრჩეველთა სიებში;
- ჯგუფური (ოჯახური) ხმის მიცემა;
- ხმის მიცემა წარმომადგენელთა მეშვეობით (თუკი ეს კანონით არ არის დაშვებული);
- მრავალგზისი ხმის მიცემა;
- საარჩევნო ურნაში ყალბი ბიულეტენების ჩაყრა;
- საარჩევნო კაბინები შირმების გარეშე;
- დაულუქავი საარჩევნო ურნა;
- წინასწარ შევსებული ბიულეტენების არსებობა;
- გადასატანი საარჩევნო ურნების მოუწესრიგებელი გამოყენება;
- კენჭისყრის ჩასატარებლად აუცილებელი მასალების არარსებობა;
- ხმის მიცემის ჩატარების მეტისმეტად ხანგრძლივი შეყოვნებები;
- შეუფერებელი ქმედებანი პოლიტიკური პარტიების ან კანდიდატების წარმომადგენელთა მხრიდან;
- საარჩევნო კომისიების ან დამკვირვებლების მუშაობისთვის ხელის შეშლა.



9.

ხმების დათვლაზე დაკვირვება



ხმების დათვლა საარჩევნო პროცესის მნიშვნელოვანი სტადიაა და საჭიროა მისთვის ყურადღებით თვალის დევნება და მასზე გულდასმით დაკვირვება. როდესაც კენჭისყრა დასასრულს უახლოვდება და ხმების დათვლა იწყება, ყველა მოკლევადიანი დამკვირვებელი ვალდებულია, დაკვირვება აწარმოოს ხმების დათვლის პროცესზე. ხმების დათვლა, ჩვეულებრივ, საარჩევნო უბნის დონეზე ხდება,¹⁷ და მოკლევადიანმა დამკვირვებლებმა უნდა აირჩიონ ერთ-ერთი მათთვის გამოყოფილი საარჩევნო უბანი, რომელზეც ისინი დააკვირდებიან დახურვის პროცედურებს და შემდეგ იქვე დარჩებიან ხმების დათვლის დროს. ზოგ შემთხვევაში, მოკლევადიან დამკვირვებლებს შეიძლება ეთხოვოთ, დაესწონ ხმების დათვლას რომელიმე კონკრეტულ საარჩევნო უბანზე. მოკლევადიან დამკვირვებლებს ურიგდებათ სპეციალური შესავსები ფორმები, რომლებშიც შეტანილია გარკვეული რაოდენობის სპეციფიკური კითხვები საარჩევნო უბნის დახურვის პროცედურებისა და ხმების დათვლის პროცედურების შესახებ.

ხმების დათვლაზე დაკვირვება იმის შეფასების შესაძლებლობას იძლევა, ხდება თუ არა ხმების დათვლა ზუსტად, ამომრჩეველთა მიერ გამოხატული არჩევანის ჯეროვნად ასახვით. გამოცდილება გეიხვენებს, რომ არჩევნების გაყალბება უფრო სავარაუდოა ხმების დათვლისას და შედეგების შეჯამებისას მოხდეს, ვიდრე საკუთრივ კენჭისყრის ჩატარებისას. ამდენად, მოკლევადიანმა დამკვირვებლებმა განსაკუთრებული სიფიზილდე უნდა გამოიჩინონ ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების დროს.

როგორც წესი, არსებობს საარჩევნო უბნის დახურვისა და ბიულეტენების დათვლის დეტალური სტანდარტული პროცედურა. ხმების დათვლა, ჩვეულებრივ, იწყება საარჩევნო უბნის ჭრილის დაღუქვით ხმის მიცემის დამთავრებისთანავე; იგი დაღუქული უნდა დარჩეს მანამ, სანამ საარჩევნო უბნის ოფიციალური პირები ფორმებს ავსებენ, აღწუსხავენ რა ყველა საარჩევნო ბიულეტენსა და ყველა სხვა

¹⁷ ქვეყნების უმეტეს ნაწილში ხმების დათვლა ცალკეულ საარჩევნო უბნებში ხდება. როდესაც საარჩევნო ბიულეტენებს საარჩევნო უბანში არ ითვლიან და ამის ნაცვლად ისინი ცენტრალურ დამთვლელ პუნქტში გადააქვთ, ეს ხილვადობასა და შემოწმებასთან დაკავშირებულ დამატებით პრობლემებს ქნის. დამკვირვებელთა გუნდი თან უნდა ახლდეს საარჩევნო უბნებს ხმების დათვლის ცენტრში მათი ნებისმიერი ტრანსპორტირებისას და უნდა შეაფასოს ბიულეტენების გადაადგილებისას ბიულეტენების უსაფრთხოებისა და გაყალბების თავიდან აცილების პროცედურები.



საარჩევნო მასალას და ამოწმებენ. შეესაბამება თუ არა ამომრჩეველთათვის დარიგებული ბიულეტენების რაოდენობა იმ ამომრჩეველთა რაოდენობას, რომელთაც, ჩანაწერების მიხედვით, ხმა აქვთ მიცემული. ეს მასალა ცალკე უნდა დაილქოს. ხშირად გამოუყენებელი ბიულეტენები ბათილად ცხადდება საარჩევნო ურნის გახსნამდე. შემდეგ საარჩევნო ურნას ხსნიან და ბიულეტენებს ითვლიან დადგენილი პროცედურის მიხედვით.

მაგრამ თუ იმავე საარჩევნო უბანზე არის გადასატანი საარჩევნო ურნა, ხმების დათვლა უნდა დაიწყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ცალ-ცალკე განისაზღვრება გადასატანი საარჩევნო ურნაში არსებული ბიულეტენების რაოდენობა და სტაციონარულ საარჩევნო ურნაში არსებული ბიულეტენების რაოდენობა. ამ გამოთვლის დასრულების შემდეგ, გადასატანი საარჩევნო ურნის ბიულეტენები უნდა შეერიოს ამომრჩეველთა მიერ ჩაერილ დანარჩენ ბიულეტენებს და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაიწყო ხმების დათვლა. უსაფრთხოების ეს ზომები იმისთვისაა საჭირო, რომ თავიდან იქნეს აცილებული გადასატანი საარჩევნო ურნაში არსებული ბიულეტენების კონფიდენციალურობის დარღვევა.

კენჭისყრის შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა გახდეს საარჩევნო უბნის დონეზე. კარგ პრაქტიკას წარმოადგენს თითოეული საარჩევნო უბნის კვლევაზე შედეგების გამოკვრა. პროცესის გამჭვირვალობა და სამართლიანობა იზრდება, როდესაც ყველა პარტიისა და კანდიდატის წარმომადგენლებს ეძლევათ მოცემული საარჩევნო უბნის შედეგების უწყისი ან ოქმის ოფიციალური ასლი და შესაძლებლობა აქვთ, ხელი მოაწერონ მას, ან დააფიქსირონ საჩივრები. ნეიტრალურ ადგილობრივ დამკვირვებლებსა და საერთაშორისო დამკვირვებლებსაც უნდა შეეძლოს, მიიღონ შედეგების ასლი საარჩევნო უბნებზე. მისი მიღების შემთხვევაში, ოფიციალური ოქმი ან შედეგების ასლი, და მასთან ერთად დამკვირვებლის მიერ ხმათა დათვლასთან დაკავშირებით შევსებული ფორმა, დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ძირითად გუნდს. თუკი შეუძლებელია საარჩევნო უბნის შედეგების ოფიციალური ოქმის მიღება, დამკვირვებელმა, ამისდა მიუხედავად, გულდასმით უნდა ჩაიწეროს სრული შედეგები იმ საარჩევნო უბნისა, რომელზეც იგი დაკვირვებას აწარმოებდა.

9.1 ხმების დათვლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები

მოკლევადიანი დამკვირვებლები უნდა დააკვირდნენ, როგორ რეალიზდება შემდეგი პროცედურები. ამ საკითხებთან დაკავშირებული შეკითხვები, სავარაუდოდ, შეტანილი იქნება ფორმებში, რომელთა შევსებაც დამკვირვებლებს მოეთხოვებათ.

- ხმების დათვლას საარჩევნო უბნის ოფიციალური პირები აწარმოებენ, თუ მასში სხვა პირებიც არიან ჩართულნი?
- ეტეობა თუ არა, რომ საარჩევნო ოფიციალურ პირებს კარგად ესმით საჭირო პროცედურები და ზუსტად მისდევენ მათ?
- ხდება თუ არა ბიულეტენების დათვლა ორგანიზებულად და საიმედოდ?
- ტარდება თუ არა დათვლა გამჭვირვალე გარემოში, სადაც ადგილკატი ზომებია გატარებული ადგილობრივ დამკვირვებელთა დასასწრებად?
- შეესაბამება თუ არა რაოდენობა რეგისტრირებული ამომრჩეველებისა, რომლებიც აღნუსხულნი არიან, როგორც ხმის მიცემაში მონაწილეობის მიმდებნი, ურნაში ჩაშვებული ბიულეტენების რაოდენობას?





- გამოუყენებელ ბიულეტენებს საიმედოდ ინახავენ, სპეციალური ბუქდის დასმით აუქმებენ, თუ ანადგურებენ მას შემდეგ, რაც მათ დაითვლიან?
- ხდება თუ არა ბათილი ბიულეტენების სათანადოდ გამოვლენა ერთიანი წესით? ხდება თუ არა ბათილი ბიულეტენების შესაფერისად განცალკევება და შენახვა მათი კიდევ ერთხელ გადამოწმების მიზნით?
- ხომ არ არის ბიულეტენებზე რაიმე უჩვეულო ნიშნები, რომლებიც კენჭისყრის ფარულობის ხელყოფისთვისაა გამიზნული?
- ბათილი ბიულეტენების რაოდენობა მეტისმეტად დიდი ხომ არ ჩანს?
- დათვლისას დაცულია თუ არა პრინციპი, რომლის თანახმადაც ბიულეტენი მაშინ მიიჩნევა კანონიერი ძალის მქონედ, როდესაც ამომრჩევლის ნება ნათელია?
- თითოეული პარტიის ან კანდიდატის სასარგებლოდ ჩაშვებულ ბიულეტენებს სწორად გამოაცალკევებენ და ინდივიდუალურად ითვლიან?
- დაგებისა და საჩივრების მოგვარება დამაკმაყოფილებლად ხდება?
- სწორად ავსებენ თუ არა ხმათა დათვლის ოფიციალურ დოკუმენტაციას დათვლის დასრულების შემდეგ და აწერს თუ არა მას ხელს ყველა უფლებამოსილი პირი?
- შეუძლიათ თუ არა ადგილობრივ დამკვირვებლებსა და კენჭისყრის მეთვალყურეებს პოლიტიკური პარტიებიდან, მიიღონ საარჩევნო უბნის ოქმის ოფიციალური ასლები?
- ხდება თუ არა შედეგების საჯაროდ გამოკვრა საარჩევნო უბნის კედელზე?
- აქვს თუ არა ადგილი ისეთ შეუფერებელ ქმედებებს პოლიციის და/ან უშიშროების ძალების მხრიდან, როგორიცაა მაგალითად ჩანაწერების გაკეთება და ციფრების ან შედეგების მოხსენება ტელეფონით?
- მიადწიეს თუ არა საარჩევნო უბნის ოფიციალურმა პირებმა თანხმობას ხმების დათვლის პროცედურისა და შედეგების თაობაზე, და თუ ვერ მიადწიეს, რა ზომები იქნა მიღებული უთანხმოების შემთხვევაში?

9.2 ხმების შეჯამება

დასასრულ, აუცილებელია შეფასდეს, ზუსტად იქნა თუ არა შეჯამებული შედეგები. ბიულეტენების დათვლის შემდეგ საარჩევნო უბანზე ხმების დათვლის შედეგები, ჩვეულებრივ, გადაეგზავნება რეგიონალურ საარჩევნო კომისიას, სადაც რეგიონალური შედეგები ჯამდება და გადაეგზავნება ეროვნულ დონეზე. ხმების შეჯამების პროცესი საარჩევნო პროცესის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია, რომელზედ დაკვირვება უნდა განხორციელდეს. მოკლევადიან დამკვირვებლებს ხშირად სთხოვენ, თან გააჟღერონ ოფიციალურ შედეგებსა და სხვა საარჩევნო მასალას მათი გადატანისას საარჩევნო უბნიდან შესაჯამებელ ცენტრამდე და შემდეგ თვალყურად ადევნონ, რომ მათი საარჩევნო უბნის შედეგები სათანადოდ იქნეს ჩართული შეჯამების პროცესში. მოკლევადიანმა დამკვირვებლებმა უნდა შეაფასონ, არის თუ არა ბიულეტენებისა და სხვა საარჩევნო მასალის გადატანა პირდაპირი, უსაფრთხო და გამჭვირვალე (ე.ი. ეძლევათ თუ არა მოკლევადიან დამკვირვებლებსა და სხვებს შედეგების თანხლების უფლება მათი გადატანის დროს?).

სხვა შემთხვევებში, შესაჯამებელი ცენტრების პროცედურებზე დასაკვირვებლად შეიძლება გამოიყოს მოკლევადიან დამკვირვებელთა სპეციალური გუნდები. ამის მიზანია, დამკვირვებლებმა თვალი ადევნონ შეჯამების პროცესის თითოეულ დონეს და შეედლოთ, გააჟღერონ შედეგებს ცალკეული საარჩევნო უბნიდან ეროვნულ დონემდე, რაც



შეჯამების პროცესის ჯერონად წარმართვის შერჩევითი შემოწმების ტოლფასი იქნება. ამ მიზნის მიღწევის უზრუნველსაყოფად, არჩევნებზე დაკვირვების მისიას შეუძლია მოახდინოს თავისი მუშაობის რამდენიმე ცვლად ორგანიზება, ანდა განათავსოს სპეციალური გუნდები. თუ მოკლევადიან დამკვირვებლებს სპეციალურ გუნდებში გააერთიანებენ შედეგების შეჯამებაზე დაკვირვების საწარმოებლად, მათ მიეცემათ სპეციალური ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აწარმოონ დაკვირვება.

ზოგიერთ შემთხვევაში, საარჩევნო ადმინისტრაციამ წინასწარი შედეგების გადასაცემად შეიძლება კომპიუტერული ქსელები გამოიყენოს. შეჯამების წარმოების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, დამკვირვებლები უნდა გაეცნონ ტექნიკურ პროცესს, რომლის მიხედვითაც შედეგების გადაცემა უნდა მოხდეს. თუ არჩევნებზე დაკვირვების მისიას აქვს ამისთვის საჭირო სპეციალური ცოდნა, მას შეუძლია მოითხოვოს, უფლება მისცენ, გაეცნოს პროგრამულ უზრუნველყოფას მისი ფუნქციონირების შესაფასებლად. გარდა ამისა, ასეთ შემთხვევაში, დამკვირვებლებმა თვალყური უნდა ადევნონ პროცესს და, თუ ეს შესაძლებელია, ინფორმაციის გაზიარებისას მიიღონ ამონაბეჭდის ასლები, ხელმოწერილი და ბეჭედდასმული საარჩევნო ადმინისტრაციის შესაბამისი წარმომადგენლის მიერ.

შედეგების შეჯამება შემოწმებადი და გამჭვირვალე უნდა იყოს საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე. გამჭვირვალობისთვის და საარჩევნო პროცესისადმი ნდობის გადრმავეებისთვის ხელშეწყობის ინტერესებიდან გამომდინარე, შეჯამების თითოეული დონის შედეგები დაუყოვნებლივ უნდა გახდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი. შეჯამების პროცესის თითოეულ დონეზე კონკრეტული საარჩევნო უბნის შედეგები წარმოადგენს შემოწმებული შედეგების ნიმუშს, რომელიც შეიძლება შეუჯერდეს საოლქო ან რეგიონალური დონის შედეგებს, ხოლო მოგვიანებით კი სათითაოდ შეუჯერდეს გამოქვეყნებულ საერთო შედეგებთან. ამ სამუშაოს, ჩვეულებრივ, ძირითადი გუნდი ასრულებს ხოლმე.

განსათვალისწინებელი შესაძლო პრობლემები:
<input type="checkbox"/> საარჩევნო ურნაში ყალბი ბიულეტენების ჩაყრა;
<input type="checkbox"/> საარჩევნო ურნის შეცვლა;
<input type="checkbox"/> შევსებული ბიულეტენების ჩამატება საარჩევნო ურნის გახსნის შემდეგ;
<input type="checkbox"/> ხმების დათვლის მოუწესრიგებელი პროცედურები;
<input type="checkbox"/> სათანადო უფლებამოსილების არმქონე ისეთ პირთა, როგორებიც არიან ადგილობრივი მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები, უშიშროების ძალების ფორმიანი ან სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი წარმომადგენლები, ან სხვა ვინაობადაუდგენელი პირები, მონაწილეობა ხმების დათვლაში;
<input type="checkbox"/> დამთვლელი შტატისა და მეთვალყურეების არაადეკვატური რაოდენობა;
<input type="checkbox"/> საარჩევნო ოფიციალურ პირთა ან დამკვირვებელთა არდაშეება;
<input type="checkbox"/> ურნაში ჩაშვებული ბიულეტენების თვითნებურად ან არათანამიმდევრულად გაბათილება;
<input type="checkbox"/> ბიულეტენების ან საარჩევნო ურნების დაკარგვა;

- უპატიოსნობა ბიულეტენების დათვლისას ან მათ შესახებ ანარიშის წაბარებისას;
- გამოუყენებელი ბიულეტენების არასაიმედოდ შენახვა;
- საარჩევნო უბნის შედეგების ოქმის არშევისება საარჩევნო უბანზე;
- საარჩევნო უბნის შედეგების ოქმის შევისება ფანქრით, და არა კალმისტრით;
- ოფიციალური შედეგების არგამოკვრა საარჩევნო უბნის კედელზე;
- შედეგების ოფიციალური ასლების მიცემაზე უარის თქმა კანდიდატების წარმომადგენლებისთვის ან დამკვირვებლებისთვის;
- საარჩევნო მასალების არაუსაფრთხო გადატანა შესაჯამებელ ცენტრებში;
- შედეგების ოქმების გაყალბება ან გამოცვლა; და
- გამკვირვალობის ნაკლებობა ან არასწორი პროცედურები შესაჯამებელ ცენტრებში.



10.

ანგარიშების წარღებანა, გამოკითხვა და განცხადებები



10.1 მოკლევადიანი დამკვირვებლების ანგარიშები

მოკლევადიანი დამკვირვებლები არჩევნების დღისა და არჩევნების დამის განმავლობაში ანგარიშებს აბარებენ ფორმების შევსების მეშვეობით ყოველ საარჩევნო უბანზე. ფორმები უნდა დაბრუნდეს სპეციალურად გამოყოფილ ფორმების დასარიგებელ პუნქტებზე, ან ფაქსით გაიგზავნოს არჩევნებზე დაკვირვების მისიის შტაბ-ბინაში, ძირითადი გუნდის მიერ მიცემული კონკრეტული მითითებებიდან გამომდინარე. მნიშვნელოვანია, რომ მოკლევადიანმა დამკვირვებლებმა შეასრულონ მათთვის განსაზღვრული გრაფიკი, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ანგარიშების დროულად დამუშავება მათ ჩასართავად დაკვირვების მისიის ანგარიშში დაკვირვების წინასწარი შედეგებისა და დასკვნების შესახებ.

ფორმების ჩაბარების გარდა, მოკლევადიანმა დამკვირვებლებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ თავიანთ გრძელვადიან დამკვირვებლებს არჩევნების დღეს მომხდარი ნებისმიერი მნიშვნელოვანი პრობლემის ან სერიოზული დარღვევის შესახებ, როგორცაა ძალადობის შემთხვევები, საარჩევნო უბანში ყალბი ბიულეტენების ჩაყრა თუ არჩევნების სხვაგვარად გაყალბება, ან საარჩევნო უბანზე დამკვირვებელთა დაშვებაზე უარის თქმა. გრძელვადიანი დამკვირვებლები დაუყოვნებლივ გადასცემენ ამ ინფორმაციას ძირითად გუნდს. ზოგიერთი არჩევნების დროს მოკლევადიან დამკვირვებლებს სთხოვენ, პირადად შეხვდნენ თავიანთ გრძელვადიან დამკვირვებლებს რაღაც მომენტში დღის განმავლობაში.

მოკლევადიან დამკვირვებლებს, ჩვეულებრივ, აგრეთვე მოეთხოვებათ ხოლმე მონაწილეობა მიიღონ გამოკითხვაში. ეს გამოკითხვები, როგორც წესი, რეგიონალურად ტარდება გრძელვადიან დამკვირვებელთა თითოეული გუნდის მიერ. საჯარო განცხადებისთვის ინფორმაციის შესაგროვებლად არსებული მცირე დროის გამო, გამოკითხვები, სავარაუდოდ, არჩევნების მეორე დღეს დილით ძალიან ადრე ჩატარდება. მიუხედავად იმისა, რომ მოკლევადიან დამკვირვებლებს წინა დღით გვიან ღამემდე ექნებათ ნამუშევარი ხმების დათვლისა და შეჯამების პროცესზე



დაკვირვების საწარმოებლად, ეს გამოკითხვები მნიშვნელოვან შესაძლებლობას აძლევს დამკვირვებლებს, ურთიერთს გააცნონ და ერთმანეთს შეადარონ არჩევნების პროცესზე თავიანთი დაკვირვების შედეგები. დაკვირვების ეს შედეგები შევა დაკვირვების მისიის დასკვნაში იმის თაობაზე, თუ როგორ იყო ჩატარებული არჩევნები ემპირიულ-საწარმოო ანუ ადგილზე ვალდებულებებთან მიმართებაში. გამოკითხვები დასურულია პრესისთვის და ფართო საზოგადოებისთვის.

10. 2 ძირითადი გუნდის საქმიანობა

ძირითადი გუნდი კარგად უნდა იყოს ორგანიზებული, რათა დამკვირვებლებს მუშაობაში დაეხმაროს და დაამუშაოს მოკლევადიანი დამკვირვებლების ანგარიშები არჩევნების დღისა და არჩევნების დამის განმავლობაში. წინასწარ არის შედგენილი გრაფიკი იმის უზრუნველსაყოფად, რომ საკმარისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე თანამშრომელთა შტატი გამზადებული იყოს საკუთარ მოვალეობათა შესასრულებლად მთელი დღისა და მთელი დამის განმავლობაში. ამისთვის საჭიროა შემდეგი მომენტების გათვალისწინება:

- სტატისტიკური დანაყოფის განკარგულებაში უნდა იყოს საკმარისი პერსონალი და მოწყობილობა, რათა მას შეეძლოს მოკლევადიანი დამკვირვებლების ყველა ფორმის დროულად დამუშავება (წინასწარი სტატისტიკური ანგარიში მომზადებული უნდა იყოს ძალზე ადრე დილით არჩევნების მომდევნო დღეს);
- ძირითადი გუნდის წევრთა გარკვეული რაოდენობა გამოიყოფა მოკლევადიან დამკვირვებელთა ფორმებში შეტანილი ყველა კომენტარის წასაკითხად და ტენდენციებისა და ძირითადი მომენტების შემაჯამებელი მიმოხილვის მოსამზადებლად არჩევნების მომდევნო დღის ძალზე ადრე დილისათვის;
- გრძელვადიან დამკვირვებელთა კოორდინატორმა ან გრძელვადიან დამკვირვებლებთან კავშირის საწარმოებლად გამოყოფილმა ძირითადი გუნდის სხვა წევრმა საკუთარი მოვალეობების შესრულება უნდა განაგრძოს მთელი დროის განმავლობაში არჩევნების მთელ დღესა და არჩევნების მთელ დამეს. გრძელვადიან დამკვირვებელთა კოორდინატორმა არჩევნების მეორე დღის ძალზე ადრე დილისათვის უნდა მოამზადოს მოკლე შემაჯამებელი ანგარიში, რომელშიც ზოგადად იქნება დახასიათებული გრძელვადიან დამკვირვებელთა მიერ შეტყობინებული ძირითადი ტენდენციები ან ნებისმიერი პრობლემები;
- მედიის მონიტორინგის გუნდის შტატი შეკრებილი უნდა იყოს მთელი დროის განმავლობაში არჩევნების მთელ დღესა და არჩევნების მთელ დამეს იმის უზრუნველსაყოფად, რომ სადამკვირვებლო მისიისათვის ცნობილი გახდეს მედიის მიერ ნაუწყები ნებისმიერი მნიშვნელოვანი მოვლენებისა თუ ტენდენციების შესახებ. მედიის მონიტორინგის გუნდი მზად უნდა იყოს საკუთარი მუშაობის შედეგების შესახებ ანგარიშის ჩასაბარებლად არჩევნების მომდევნო დღის ძალზე ადრე დილისათვის;
- საარჩევნო ანალიტიკოსს დასჭირდება დამით იმდენ ხანს იმუშაოს, რამდენიც ეს აუცილებელი იქნება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობისთვის თვალის სადევნებლად, და ნებისმიერი განვითარებული მოვლენების შესახებ ანგარიში უნდა წარადგინოს დილით ადრე არჩევნების მომდევნო დღეს;
- მისიის ტელეფონისტმა და მისაღების თანამშრომელმა უნდა იმორიგონ მთელი დროის განმავლობაში და მათ ინსტრუქციები უნდა ჰქონდეთ მიღებული, თუ ვის





უნდა მიმართონ შემოსულ შეკითხვებზე, ინფორმაციაზე, ან საჩივრებზე რეაგირების მოსახდენად;

- არჩევნებზე დაკვირვების მისიისთვის ნაცნობები ყველა საჩივრის აღნუსხვა უნდა აწარმოოს მორიგე თანამშრომელმა საარჩევნო უბნების გადებიდან წინასწარი განცხადების გაკეთებამდე;
- მანქანა, მძღოლი და თარჯიმანი მთელი დროის განმავლობაში მზად უნდა იყვნენ ძირითადი გუნდის წევრებთან ერთად იმ საგანგებო შემთხვევათა აღვივლებზე გასასვლელად, რომლებიც შესაძლოა წარმოიქმნას;
- სასურველია, მისიამ არჩევნების დღისა და არჩევნების დამისთვის იყოლიოს დამკვირვებელთა რამდენიმე სარეზერვო გუნდი დაუყოვნებელი რეაგირების მოსახდენად ცნობებზე პრობლემების ან სერიოზული დარღვევების შესახებ. დამკვირვებელთა ამგვარ სარეზერვო გუნდებში შეიძლება შევიდნენ ძირითადი გუნდის ის წევრები, რომელთაც სხვა დავალება მიცემული არა აქვთ, დახმარებას კი მათ აღმოუჩენენ მათთვის გამოყოფილი თარჯიმნები და მძღოლები.

10.3 განცხადება დაკვირვების წინასწარი შედეგებისა და დასკვნების შესახებ

არჩევნებზე დაკვირვების მისია თავის განცხადებას დაკვირვების წინასწარი შედეგებისა და დასკვნების შესახებ, ჩვეულებრივ, აკეთებს არჩევნების მომდევნო დღის ნაშუადღევს გამართულ პრესკონფერენციაზე. განცხადება ეფუძნება არჩევნებზე დაკვირვების მისიის მთელს მუშაობას, როგორც გრძელვადიანი დაკვირვებისა და ანალიზის, ასევე არჩევნების დღეს მოკლევადიანი დამკვირვებლების მიერ მოწოდებული ანგარიშების ჩათვლით; ეს იმ რეალობას ასახავს, რომ არჩევნები პროცესია, და არა ერთდღიანი მოვლენა.

განცხადება წარმოადგენს შეჯამებას დაკვირვების შედეგებისა და დასკვნებისა სამართლებრივი ბაზის, საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობის, კამპანიისა და მედიის, და აგრეთვე არჩევნების დღეს კენჭისყრისა და ხმების დათვლის პროცესების თაობაზე. განცხადება იძლევა წინასწარ შეფასებას იმისა, თუ რამდენად იყო დაცული ქუთაისის წინაშე აღებული ვალდებულებანი და სხვა უნივერსალური პრინციპები, და რამდენად კარგად იყო რეალიზებული ადგილობრივი საარჩევნო კანონი და წესები.

განცხადებას წინასწარი იმის გამო ეწოდება, რომ იგი ქვეყნდება მთელი საარჩევნო პროცესის დასრულებამდე. ზოგიერთ შემთხვევაში, წინასწარი განცხადების გაკეთებისას ხმების დათვლა და შეჯამება შეიძლება ჯერ დამთავრებული არ იყოს. თითქმის ყველა შემთხვევაში, განცხადება ქვეყნდება არჩევნების საბოლოო და ოფიციალური შედეგების გამოცხადებამდე და არჩევნების დღის საჩივრებისა და აპელაციების მოგვარებამდე. ზოგიერთ შემთხვევაში, „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ შეიძლება მოუხდეს არჩევნების შემდეგ განვითარებული მოვლენების შესახებ შემდგომი განცხადების გაკეთება, სანამ დასკვნით ანგარიშს გამოაქვეყნებდეს.

რეკომენდაციებს, ჩვეულებრივ, „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ დასკვნითი ანგარიშისთვის შემოინახავენ ხელმე. თუმცა, კენჭისყრის მეორე ტურის დანიშვნის, ან სხვა განსაკუთრებული გარემოებების შემთხვევაში, წინასწარ განცხადებაში რეკომენდაციების გამოთქმამ ხელი შეიძლება შეუწყოს პროცესის დარჩენილი სტადიის ხარისხის გაუმჯობესებას.





11.

დაკვირვება არჩევნების შემდეგ



როგორც ადრე უკვე ითქვა, „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ მანდატი აქვს დაკვირვების წარმოებაზე არჩევნების დღემდე, არჩევნების დღეს და არჩევნების დღის შემდეგ, რაც იმის აღიარებას წარმოადგენს, რომ არჩევნები ერთდღიანი მოვლენა კი არ არის, არამედ პროცესია. კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, საარჩევნო პროცედურათა უმეტესობა შეიძლება პრაქტიკულად დასრულებული იყოს არჩევნების მომდევნო დღისთვის, ანდა შესაძლოა რჩებოდეს გადასაწყვეტი საკითხების ნებისმიერი რაოდენობა, რომლებსაც მოგვარება სჭირდება. ამდენად, გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს დაკვირვება არჩევნების შემდგომ მოვლენებზე, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იქნება კონკრეტულ სიტუაციასა და პირობებზე.

მრავალ ქვეყანას, გარდა ამისა, აქვს ორეტაპიანი საარჩევნო პროცესი, რომლის ფარგლებშიც შეიძლება ჩატარდეს კენჭისყრის მეორე ტური პირველი ტურიდან ერთი ან ორი კვირის შემდეგ (ან, შესაძლოა, უფრო მოგვიანებითაც), თუკი პირველ ტურში ვერც ერთი კანდიდატი ვერ მოაგროვებს ხმათა კანონით დადგენილ აუცილებელ რაოდენობას. ასეთ შემთხვევებში, არჩევნებზე დაკვირვების მისიამ წინასწარვე უნდა შეიმუშაოს საგანგებო გეგმები იმის თაობაზე, აწარმოოს თუ არა, და როგორ აწარმოოს, დაკვირვება მეორე რაუნდზე.

11.1 შედეგების გამოცხადება

მშოი-ს მიერ არჩევნებზე დაკვირვებას მანდატი აქვს იმის შეფასებზე, თუ რამდენად შეესაბამება საარჩევნო პროცესის ჩატარება მშოი-ს წინაშე აღებული ვალდებულებებს. იგი კანონიერი ძალის მქონედ არ აცხადებს, ბათილად არა ცნობს და არ ამტკიცებს არჩევნების შედეგებს. რამდენადაც „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნებზე დაკვირვების მისია ნეიტრალური და არაპარტიულია, იგი არასოდეს აკეთებს კომენტარებს არჩევნების შედეგების შესახებ პოლიტიკურ შედეგების თაობაზე. არჩევნებზე დაკვირვების მისიის დაინტერესება არჩევნების

შედეგებით მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ ანგარიში ამ შედეგების შესახებ იყოს ზუსტი, პატიოსანი და დროული.

არჩევნებზე დაკვირვების მისიის წინასწარი განცხადება პრაქტიკულად ყოველთვის ქვეყნდება მანამდე, სანამ არჩევნების საბოლოო ოფიციალური შედეგები გახდებოდეს ცნობილი, ან, ზოგ შემთხვევაში, მანამდეც კი, სანამ ცნობილი გახდებოდეს წინასწარი შედეგები. მიუხედავად ამისა, საბოლოო შედეგების გამოცხადება, უდავოდ, ნებისმიერი საარჩევნო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია და მასზე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, არჩევნებზე დაკვირვების მისიამ დაკვირვება უნდა აწარმოოს. თუ შედეგები არჩევნებიდან რამდენიმე დღის განმავლობაში უნდა გამოქვეყნდეს, მაშინ ძირითადი გუნდის ნაწილი ადგილზე უნდა დარჩეს. თუ საბოლოო შედეგების გამოცხადება არჩევნებიდან საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მოსალოდნელი არ არის, მაშინ არჩევნებზე დაკვირვების მისიის წევრთათვის შეიძლება დარჩენა შეუძლებელი აღმოჩნდეს. ნებისმიერი კომენტარები, რომლებიც შეეხება საარჩევნო პროცესის დასკვნით ეტაპებს, საბოლოო შედეგების გამოცხადების ჩათვლით, უნდა შევიდეს არჩევნებზე დაკვირვების მისიის დასკვნით ანგარიშში.

თუ პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტები ჯერაც დაუსრულებელი რჩება, ან სადავო საკითხებია მოსაგვარებელი, ასეთ შემთხვევაში არჩევნებზე დაკვირვების მისიამ სათანადო ზომები უნდა მიიღოს იმისათვის, რათა ძირითადი გუნდის ზოგიერთი წევრი და გრძელვადიანი დამკვირვებელი მაინც დარჩეს ქვეყანაში არჩევნების შემდგომი დაკვირვების საწარმოებლად. ამგვარი გახანგრძლივებული ვადით მომუშავე არჩევნების შემდგომი გუნდის ამოცანები ძალზე მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული.

განსათვალისწინებელი შესაძლო პრობლემები:
<input type="radio"/> შედეგების გამოცხადება გაუმართლებელი დაყოვნებით;
<input type="radio"/> არათანაბარი ან არასაკმარისი მეთვალყურეობა საბოლოო შედეგების შეჯამებაზე;
<input type="radio"/> პროცესზე დაშვებაზე უარის თქმა დამკვირვებლებისთვის;
<input type="radio"/> პროცესზე დაშვებაზე უარის თქმა სხვა უფლებამოსილი პირებისთვის;
<input type="radio"/> საოლქო და საარჩევნო უბნის დონეების დეტალური შედეგების გამოუქვეყნებლობა; და
<input type="radio"/> შეუსაბამო ბანი არჩევნების დღეს დაფიქსირებულ შედეგებსა და საბოლოო შედეგებს შორის საარჩევნო ადმინისტრაციის ნებისმიერ დონეზე.

11.2 არჩევნების დღის შემდგომი საჩივრებისა და აპელაციების პროცესი

საჩივრები და აპელაციები საარჩევნო პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტია და ისინი პროცესის ნებისმიერ ასპექტთან დაკავშირებით შეიძლება წამოიჭრას. თუ მნიშვნელოვანი საჩივრები მოუგვარებელი დარჩა არჩევნებზე დაკვირვების მისიის განრიგით ქვეყნიდან გამგზავრების თარიღისათვის, მისიამ უნდა გადაწყვიტოს, სასარგებლო ან შესაძლებელი იქნება თუ არა ქვეყანაში იურიდიული ანალიტიკოსის ან რომელიმე სხვა დამკვირვებლების დარჩენა არჩევნებთან დაკავშირებულ

სასამართლო პროცესებზე, ან საჩივრების გარჩევის სხვა პროცედურებზე დასაკვირვებლად.

არჩევნებზე დაკვირვების მისიამ უნდა გადაწყვიტოს, რამდენად მნიშვნელოვანია აპელაციით განსახილველი შემთხვევები, ან აღმოჩნდა თუ არა დღემდე არსებული სააპელაციო პროცესი ქმედითი და საიმედო, და შეუძლია თუ არა დაკვირვებულთა დასწრებას სასიკეთო ზემოქმედება მოახდინოს პროცესის რეალიზაციაზე. მაგალითად, თუ ხმათა მოსალოდნელმა ხელახალმა დათვლამ არჩევნების საერთო შედეგზე გავლენა შეიძლება იქონიოს, ანდა თუ რაიმე მნიშვნელოვანი საქმე გასარჩევი კონსტიტუციური სასამართლოს მიერ, არჩევნებზე დაკვირვების მისია უნდა ეცადოს სათანადო ზომების მიღებას დასაკვირვებულთა დასატოვებლად და მათ მიერ პროცესისთვის თვალყურის დევნების უზრუნველსაყოფად.

ბასათვალისწინებაელი შესაძლო პრობლემები:
<input type="radio"/> ოთხი პროცედურების შედეგად შეიძლება ნათელი არ იყოს, რომელ ორგანოს უნდა მიმართონ მომჩივნებმა;
<input type="radio"/> სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოები შეიძლება უარს ამბობდნენ საჩივრების მიღებაზე, ან დახურული შეიძლება აღმოჩნდნენ და ამის გამო არ ხერხდებოდეს საჩივრების შეტანა;
<input type="radio"/> უადრესად მოკლე ბოლო ვადის გამო საჩივრების შეტანა გართულებული შეიძლება იყოს;
<input type="radio"/> საჩივრები სასამართლოს მიერ მიუღებლად შეიძლება იქნეს ცნობილი, ან უარყოფილი შეიძლება იქნეს ტექნიკური მიზეზების გამო;
<input type="radio"/> საჩივრების განმხილველი კომისიის ან სასამართლო ორგანოს კომპეტენცია შეიძლება შეზღუდული იყოს;
<input type="radio"/> გადაწყვეტილების მიღების პროცესი შეიძლება იმდენად გაჭიანურდეს, რომ აზრი დაკარგოს;
<input type="radio"/> სახელმწიფო დაწესებულებებმა უარი შეიძლება თქვან მათ ხელთ არსებული მონაცემების გაზიარებაზე;
<input type="radio"/> საარჩევნო კომისიებმა უარი შეიძლება თქვან ხმათა ხელახალი დათვლების ჩატარებაზე;
<input type="radio"/> სასამართლო გარჩევები შეიძლება ვერ უზრუნველყოფდეს ჯეროვან პროცესს; და
<input type="radio"/> სასამართლოს გადაწყვეტილებები შეიძლება არ სრულდებოდეს.

11.3 არჩევნების შედეგების რეალიზაცია

საარჩევნო პროცესის ბოლო ელემენტი არჩეულ პირთა თანამდებობაზე ოფიციალურად დანიშვნა. ქუთოს-ს წინაშე აღებული ვალდებულებები მოითხოვს, რომ კანდიდატები, რომლებიც ხმათა საჭირო რაოდენობას დააგროვებენ, სათანადო წესით ოფიციალურად იქნენ თანამდებობაზე დანიშნულნი და უფლება მიეცეთ თანამდებობაზე დარჩნენ მათი ვადის ამოწურვამდე. თუმცა, უმეტეს ქვეყნებში დროის გარკვეული პერიოდი ვადის ხოლმე არჩევნების დღესა და ახალ არჩეულ მოხელეთა თანამდებობაზე ოფიციალურად დანიშვნას შორის. ეს არჩევნებზე დაკვირვების მისიისათვის არაპრაქტიკულად ხდის ქვეყანაში დარჩენას მთელი საარჩევნო პროცესის

დასრულებამდე. მიუხედავად ამისა, „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“ საარჩევნო პროცესის ბოლო ეტაპის მოვლენათა კურსში რჩება. თუ ამ თვალსაზრისით რაიმე პრობლემები წამოიჭრება, ისინი აისახება დასკვნით ანგარიშში არჩევნების შესახებ.

ბასათგალისწინებული შესაძლო პრობლემები:

- გამარჯვებული კანდიდატების დისკვალიფიკაცია;
- არაორგანიზებული ან გაურკვეველობა იმის გადაწყვეტისას, თუ რომელ პირებს ან პარტიულ სიებს უნდა მიენიჭოს ადგილები პარლამენტში (მაგალითად, როდესაც დაწესებულია კვოტები ქალებისთვის ან უმცირესობებისთვის);
- გამარჯვებული კანდიდატების გადაყენება პოლიტიკური პარტიების მიერ მათ მიერ თანამდებობის დაკავებამდე ან თანამდებობის დაკავების შემდეგ; და
- არჩეულ მოხელეთა ან საარჩევნო ადმინისტრაციის სათანადო წესით დანიშნულ წევრთა მანდატის ნაადრევად შეწყვეტის პოტენციური შესაძლებლობა.

12.

ეუთო/ „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნაზე დაკვირვების მისიის დახურვა



„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნებზე დაკვირვების მისიის დასახურადად საჭიროა რამდენიმე ლოგისტიკური და მატერიალურ-სამართლებრივი ზომის გატარება. არჩევნების დღის შემდეგ ყველა მოკლევადიანი დამკვირვებელი რაც შეიძლება სწრაფად ბრუნდება დედაქალაქში, ქვეყნიდან თავიანთ გამგზავრებამდე გამოკითხვის აუცილებელი პროცესების დასასრულებლად. მოკლევადიანი დამკვირვებლები, ჩვეულებრივ, ქვეყანას არჩევნების შემდეგ მეორე დღეს ტოვებენ. გრძელვადიანი დამკვირვებლები თავიანთ რეგიონებში კიდევ რამდენიმე დღეს უნდა დარჩნენ, ადგილობრივი ვითარებიდან გამომდინარე, საარჩევნო პროცესის ამა თუ იმ დარჩენილ ელემენტებზე დაკვირვების საწარმოებლად. სანამ დედაქალაქში დაბრუნდებოდნენ ძირითად გუნდთან ერთად საბოლოო გამოკითხვის გასამართავად და შემდგომ ქვეყნიდან გასამგზავრებლად. ლოგისტიკისა და საფინანსო საკითხებში თანამშრომლები ქვეყანაში ძირითადი გუნდის დანარჩენი წევრების იქიდან გამგზავრების შემდეგ კიდევ ორი ან სამი დღის განმავლობაში უნდა დარჩნენ მისიის დახურვის ადმინისტრაციული და ფინანსური ასპექტების დასასრულებლად. არჩევნებზე დაკვირვების მისიის ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტის ასლი უნდა გადაიწეროს კომპაქტ-დისკზე და გაეგზავნოს „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ ვარშავაში, არქივში შესანახად. ნებისმიერი ძირითადი დოკუმენტები, რომლებიც არ მოიპოვება ელექტრონულ ფორმატში, უნდა გაერთიანდეს ქაღალდზე ნაბეჭდი ასლების დოსიეებში და გაეგზავნოს „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“.



13.

პარტნიორობა



„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ პოლიტიკა ითვალისწინებს მკიდრო

თანამშრომლობას საერთაშორისო დამკვირვებელთა სხვა ჯგუფებთან შესაბამისი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, გამომდინარე მათი მიდგომისა და მეთოდოლოგიის სანდოობიდან. ეს საშუალებას აძლევს „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“, დიალოგი აწარმოოს სხვა ორგანიზაციებთან და განიხილოს მათ მიერ მოპოვებული მონაცემები. ამას აგრეთვე მინიმუმამდე დაჰყავს იმის შესაძლებლობა, რომ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები სხვადასხვა დასკვნებამდე მივიდნენ საარჩევნო პროცესის თაობაზე.

13.1 საპარლამენტო დამკვირვებლები

აღიარებს რა არჩევნებზე დაკვირვების მწარმოებელ საპარლამენტო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ღირებულებას, „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ თანამშრომლობს ეშტო-ს საპარლამენტო ასამბლეასთან და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეასთან,¹⁸ და გარდა ამისა, ხშირად პარტნიორობს ევროპის პარლამენტის დამკვირვებლებთან. „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ შემუშავებული აქვს რეგულარული პრაქტიკული მეთოდები და პროცედურები შესაბამისი საპარლამენტო ასამბლეების მხარდაჭერისა და მათთან თანამშრომლობისთვის, საპარლამენტო დამკვირვებლებისთვის ბრიფინგის მოწყობისა და მათი განთავსებისთვის ლოგისტიკური მხარდაჭერის აღმოჩენის ჩათვლით. „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ ძირითად გუნდში, ჩვეულებრივ, შედის თანამშრომელი პარლამენტთან ურთიერთობის საკითხებში, რომელიც ამგვარ მზადებას უწყობს ხელს. არჩევნების დღის ერთობლივი სადამკვირვებლო ღონისძიებანი ტარდება შესაბამისი ორგანიზაციების სახელთა და არჩევნებზე დაკვირვების საერთაშორისო მისიის საერთო გვიდის ქვეშ.

ეშტო-ს საპარლამენტო ასამბლეასთან „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ თანამშრომლობის კუთხით, ორი ორგანიზაცია ერთმანეთს

¹⁸ ადგილობრივ და რეგიონალურ სახელისუფლო ორგანოთა არჩევნებზე დაკვირვების „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ ხშირად თანამშრომლობს ევროპის საბჭოს „ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური მთავრობების კონგრესთან“.



შორის ინფორმაციის მიმოცვლას აწარმოებს საარჩევნო პროცესის განმავლობაში, ხოლო ეშტო-ს საპარლამენტო ასამბლეას რეგულარულად იწვევენ და სთხოვენ „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ სიტუაციის შეფასების მისიის თანხლებას. გარდა ამისა, ეშტო-ს მოქმედ თავმჯდომარეს შეუქმლია ეშტო-ს საპარლამენტო ასამბლეის მაღალი რანგის რომელიმე წევრი დანიშნოს სპეციალურ კოორდინატორად კონკრეტული არჩევნების მოკლევადიანი დაკვირვების საწარმოებლად. მისი დანიშვნის შემთხვევაში, სპეციალური კოორდინატორი აკეთებს წინასწარ არჩევნების შემდგომ განცხადებას „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ მისიის ხელმძღვანელთან, სხვა საპარლამენტო ასამბლეების ლიდერებთან და, ზოგ შემთხვევაში, „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ ხელმძღვანელობასთან ერთად.

13.2 ეუთო-ს მისიები და ინსტიტუტები

„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნებზე დაკვირვების მისიები და ეშტო-ს მუდმივი მისია (სადაც ეს შესაძლებელია) მოქმედებენ თავ-თავიანთი განსხვავებული და განსაკუთრებული მანდატებით. ეს განსხვავება გამუდმებით უნდა განემარტოს მიმდები მთავრობის წარმომადგენლებსა და ფართო საზოგადოებას. წინასწარი პრეს-რელიზიდან ან პრესკონფერენციდანვე დაწყებული. ეშტო-ს მისიები „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნებზე დაკვირვების მისიისთვის ცოდნის, გამოცდილებისა და კონსულტაციების ძვირფას წყაროს წარმოადგენენ.

არჩევნებზე დაკვირვების მისია უნდა გაეცნოს აგრეთვე ეშტო-ს სხვა ინსტიტუტების მიერ ქვეყანაში წარმოებულ ნებისმიერი სახის საქმიანობას. კერძოდ, ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში ეშტო-ს უმადლესი კომისიისა და მედიის თავისუფლების საკითხებში ეშტო-ს წარმომადგენლის მუშაობას, ხშირ შემთხვევაში, კავშირი შეიძლება ჰქონდეს არჩევნებზე დაკვირვების მისიის მუშაობასთან.

13.3 სხვა ორგანიზაციები

გარდა საპარლამენტო დამკვირვებლებთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თავისი პარტნიორობისა და ეშტო-ს სხვა ინსტიტუტებთან და სხვადასხვა მისიებთან მჭიდრო ურთიერთობისა, „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ თანამშრომლობს არჩევნებზე დაკვირვების მწარმოებელ სხვა ჯგუფებთან, მათ შორის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელ ჯგუფებთან.

„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ რეგულარული დიალოგისა და ინფორმაციის გაცვლის გზით თანამშრომლობს აგრეთვე არჩევნებზე ადგილობრივ დამკვირვებელთა ჯგუფებთან. მაგრამ „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ პოლიტიკა ითვალისწინებს საერთაშორისო სადამკვირვებლო ღონისძიებების მკაცრად განცალკევებას ადგილობრივი ძალებით გატარებული ნებისმიერი სახის სადამკვირვებლო ღონისძიებებისგან.¹⁹

¹⁹ „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ 2003 წელს გამოაქვეყნა *Handbook for Domestic Election Observers*, რომლის ნახვაც შეიძლება „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ ვებ-გვერდზე. მისამართით www.osce.org/odihr.



14.

დასკვნითი ანგარიში



დასკვნით ანგარიშში ჩამოყალიბებულია არჩევნებზე დაკვირვების მისიის მიერ საარჩევნო პროცესის საერთო შეფასება. კერძოდ, ანგარიშში მოყვანილია არჩევნებზე დაკვირვების მისიის დასკვნა იმის თაობაზე, თუ რამდენად შეესაბამებოდა პროცესი ეშტო-ს წინაშე აღებულ ვალდებულებებს, უნივერსალურ პრინციპებს და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების სხვა უნივერსალურ პრინციპებს, და თუ რამდენად იყო იგი შესატყვისობაში ადგილობრივ კანონმდებლობასთან. მასში აგრეთვე რეკომენდაციები ეძლევა მიმდებ ქვეყანას იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება პროცესის გაუმჯობესება და ეშტო-ს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან მისი უფრო სრულ შესაბამისობაში მოყვანა. ანგარიში უნდა გამოქვეყნდეს საარჩევნო პროცესის დასრულებიდან დაახლოებით ექვსი კვირის შემდეგ და იგი დაურიგდება ვენაში ეშტო-ს მუდმივი საბჭოს ყველა წევრს.

დასკვნითი ანგარიში ყვრდნობა მონაცემებს, რომლებიც მოპოვებულია არჩევნებზე დაკვირვების მთელი მისიის მიერ, ძირითადი გუნდის, გრძელვადიანი დამკვირვებლებისა და მოკლევადიანი დამკვირვებლების ჩათვლით, და მასში ჩართულია ნაწილები, რომლებიც აღწერს არჩევნების პოლიტიკურ კონტექსტს; საკანონმდებლო ბაზას; საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობას; ამომრჩევლებისა და კანდიდატების რეგისტრაციას; საარჩევნო კამპანიას; ხმის მიცემის, დათვლისა და შეჯამების პროცესებს; და საჩივრებისა და აპელაციების პროცესს. დასკვნითი ანგარიში ითვალისწინებს იმასაც, ყველა ნაცნობები დარღვევა ცალკეული ინციდენტებია, თუ მათ სისტემატური ხასიათი აქვთ, რამაც საფრთხე შეიძლება შეუქმნას საარჩევნო პროცესის სამართლიანობას. იგი ასახავს, თუ რამდენად სარგებლობდა საარჩევნო პროცესის ჩატარების მეთოდი კანდიდატებისა და ელექტორატის ნდობით, და აგრეთვე ხარისხს ქვეყნის ხელისუფლების მიერ ნაჩვენები პოლიტიკური ნებისა, ჩაებარებინ ჭეშმარიტად დემოკრატიული საარჩევნო პროცესი. საბოლოო ჯამში, არჩევნები ფასდება ეშტო-ს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან, უნივერსალურ სტანდარტებთან და სხვა საერთაშორისო ვალდებულებებთან მათი შესაბამისობის კუთხით.



15.

ზეგდომი ღონისძიებანი



დასკვნითი ანგარიშის მთავარი ელემენტია ნაწილი, რომელიც შეეხება მიმღები მთავრობისთვის განსახილველად შეთავაზებულ რეკომენდაციებს იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება მთლიანი პროცესის, ან პროცესის ელემენტების გაუმჯობესება. რეკომენდაციები შეიძლება შეიცავდეს რჩევებს კანონმდებლობაში ან საარჩევნო ადმინისტრაციის პრაქტიკაში შესატანი ცვლილებების შესახებ. ანგარიში ყოველთვის კიდევ ერთხელ უსვამს ხოლმე ხაზს, რომ „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“ მზად არის დაეხმაროს მიმღები ქვეყნის სამთავრობო ორგანოთა წარმომადგენლებს, საარჩევნო ოფიციალური პირების ჩათვლით, და პოლიტიკურ პარტიებს, კანდიდატებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და სხვებს ნებისმიერი გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორებაში.

მონაწილე სახელმწიფოებს ურჩევნ, კონტაქტი დაამყარონ „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისთან“ მის ანგარიშებში გამოთქმული რეკომენდაციების განხორციელებაში დახმარების მისაღებად. „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისს“ შეუძლია მონაწილე სახელმწიფოებს აღმოუჩინოს საარჩევნო დახმარება, მათ შორის არჩევნებთან დაკავშირებული კანონმდებლობის გადახედვა, კონსულტაცია ისეთ სპეციფიკურ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა ამომრჩეველთა ეფექტიანი რეგისტრაცია, გამოცდილების გაზიარება ადგილობრივი დამკვირვებლების ჯგუფებთან და საერთო დახმარება არჩევნებზე დაკვირვების დასკვით ანგარიშში გამოთქმული რეკომენდაციების განხორციელებაში. „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნებზე დაკვირვების ანგარიშებში აგრეთვე განსაზღვრულია ხოლმე საკითხები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში შეიძლება თემა გახდეს „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ უფრო გრძელვადიანი პროგრამებისა, რომელთა მიზანია ადამიანის უფლებათა დაცვა, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, კანონის უზენაესობის პატივისცემა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის ხელის შეწყობა ყველა მონაწილე სახელმწიფოში. „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“ არ ეწევა საარჩევნო დახმარებას უშუალოდ არჩევნებზე დაკვირვების პერიოდის წინ, ან მის განმავლობაში.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ეშთ(ო)-ს მონაწილე სახელმწიფოებმა ევროპის უსაფრთხოების ქარტიაში (1999) აიღეს ვალდებულება, დაუყოვნებლივ გაეტარებინათ შემდგომი ღონისძიებანი „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ მიერ გამოთქმულ არჩევნების შეფასებასთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით. ეს ვალდებულება გამეორებული იქნა ეშთ(ო)-ს ქვეყნების მინისტრთა შეხვედრაზე ქ. პორტუში (2002), რომელმაც მონაწილე სახელმწიფოებს მოუწოდა, გაეძლიერებინათ თავიანთი რეაგირება „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ რეკომენდაციებზე, გამოთქმულზე არჩევნებზე დაკვირვებების შემდეგ.²⁰ ეს რამდენიმეჯგუფის გამოთქმული ვალდებულებანი ხაზს უსვამს, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ორგანიზაცია არჩევნების შემდგომ ღონისძიებებს, რომლებიც საარჩევნო პროცესების გასაუმჯობესებლადაა გამიზნული, და განსაკუთრებით „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ როლს მისი რეკომენდაციების განხორციელებისათვის ხელის შეწყობის საქმეში.

²⁰ გადაწყვეტილება № 7, საარჩევნო ვალდებულებები, ეშთ(ო)-ს ქვეყნების მინისტრთა შეხვედრაზე ქ. პორტუში, 2002.

განათმეობი

დანართი A

იუთო-ს დოკუმენტები²¹

პარიზი, 1990 („ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა“)

დემოკრატიული მთავრობა ეფუძნება ხალხის ნებას, რეგულარულად გამოხატულს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების მეშვეობით. (...)

ჩვენ ვადასტურებთ, რომ (...) ყველას აქვს უფლება: (...) მონაწილეობა მიიღოს თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში (...)

კოპენჰაგენი, 1990 (არჩევნებთან დაკავშირებული ვალდებულებანი)

(6) მონაწილე სახელმწიფოები აცხადებენ, რომ ხალხის ნება, თავისუფლად და სამართლიანად გამოხატული პერიოდული და ჭეშმარიტი არჩევნების მეშვეობით, ყოველგვარი მთავრობის ძალაუფლებისა და ლეგიტიმურობის საფუძველია. მონაწილე სახელმწიფოები, ამდენად, პატივს სცემენ თავიანთი მოქალაქეების უფლებას, მონაწილეობა მიიღონ თავისი ქვეყნის მართვაში, უშუალოდ, ან მათ მიერ სამართლიანი საარჩევნო პროცესების გზით თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით (...)

(7) უზრუნველსაყოფად იმისა, რომ ხალხის ნება მთავრობის ძალაუფლების საფუძველი იქნება, მონაწილე სახელმწიფოები:

(7.1) - ჩაატარებენ თავისუფალ არჩევნებს კანონით დადგინილი დროის მისაღები შუალედებით;

(7.2) - დაუშვებენ საკანონმდებლო ორგანოს მინიმუმ ერთი პალატის ყველა ადგილისთვის თავისუფლად მეტოქეობას პირდაპირი არჩევნების გზით;

(7.3) - მისცემენ სრულწლოვან მოქალაქეებს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების გარანტიას;

(7.4) - უზრუნველყოფენ, რომ ხმები მიცემული იქნება ფარული კენჭისყრით, ან ხმის მიცემის ეკვივალენტური თავისუფალი პროცედურის გამოყენებით, და რომ მათ პატიოსნად დაითვლიან და შეატყობინებენ, ოფიციალური შედეგების საჯარო გამოქვეყნებით;

²¹ არაოფიციალური თარგმანი



(7.5) - პატივს სცემენ მოქალაქეთა უფლებას, ეცადონ პოლიტიკური თუ სახელმწიფო თანამდებობის დაკავებას, ინდივიდუალურად ან როგორც პოლიტიკური პარტიებისა თუ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, დისკრიმინაციის გარეშე;

(7.6) - პატივს სცემენ ინდივიდუალური პირების და ჯგუფების უფლებას, სრული თავისუფლების პირობებში, დააარსონ თავიანთი საკუთარი პოლიტიკური პარტიები ან სხვა ორგანიზაციები და მისცემენ ამგვარ პოლიტიკურ პარტიებსა და ორგანიზაციებს აუცილებელ სამართლებრივ გარანტიებს, რომლებიც მისცემს მათ ერთმანეთთან კონკურირების შესაძლებლობას კანონისა და სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან თანასწორი მოპყრობის პირობებში;

(7.7) - უზრუნველყოფენ, რომ კანონისა და სახელმწიფო პოლიტიკის მოქმედებაში შესაძლებელი გახადოს პოლიტიკური კამპანიის ჩატარება თავისუფალ და სამართლიან ატმოსფეროში, რომლის დროსაც არც ადმინისტრაციული ჩარევა და არც ძალადობა ან დაშინება ხელს არ უშლის პარტიებსა და კანდიდატებს თავიანთი შეხედულებებისა და კვალიფიკაციის შეუზღუდავად წარმოდგენაში, და აგრეთვე ხელს არ უშლის ამომრჩევლებს მათ გაცნობასა და განხილვაში, ან ხმის მიცემაში მოსალოდნელი შურისგების შიშის გარეშე;

(7.8) - ზომებს მიიღებენ იმისათვის, რომ არანაირი ბარიერი არ ეღობებოდეს წინ მედიის დაუბრკოლებელ ხელმისაწვდომობას, დისკრიმინაციის გარეშე, ყველა პოლიტიკური დაჯგუფებისა და ინდივიდუალური პირისთვის, რომელთაც საარჩევნო პროცესში მონაწილეობა სურთ;

(7.9) - უზრუნველყოფენ, რომ კანდიდატები, რომლებიც მოიპოვებენ ხმათა კანონით დადგენილ საჭირო რაოდენობას, სათანადო წესით ოფიციალურად იქნებიან თანამდებობაზე დანიშნულნი და უფლება მიეცემათ თანამდებობაზე დარჩენ მანამ, სანამ მათი ვადა არ ამოიწურება, ან სხვაგვარად არ დასრულდება ისე, როგორც ეს განსაზღვრულია კანონით, თანახმად დემოკრატიული საპარლამენტო და კონსტიტუციური პროცედურებისა.

(8) - მონაწილე სახელმწიფოები თვლიან, რომ როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი დამკვირვებლების დასწრებას შეუძლია საარჩევნო პროცესის ხარისხის გაზრდა იმ სახელმწიფოებში, სადაც არჩევნები ტარდება. ამდენად, ისინი იწვევენ **მშობის** მონაწილე ნებისმიერი სხვა სახელმწიფოებისა და ნებისმიერი შესაფერისი კერძო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დამკვირვებლებს, რომლებსაც ამის სურვილი აქვთ, დააკვირდნენ მათი ეროვნული საარჩევნო პროცესის მიმდინარეობას იმდენად, რამდენადაც ეს კანონითაა დაშვებული. ისინი აგრეთვე ეცდებიან, უზრუნველყონ ეროვნულზე უფრო დაბალი დონის საარჩევნო პროცესების ანალოგიური ხელმისაწვდომობა. ამგვარი დამკვირვებლები ვალდებული არ იქნებიან, არ ჩაერიონ არჩევნების მსვლელობაში.

კოპენჰაგენი, 1990 (საკითხთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებანი)

ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების მიმართ პატივისცემისა და მათით სარგებლობის ხარისხის გასაზრდელად, ადამიანური კავშირების





დასამყარებლად და ამასთან დაკავშირებული პუმანიტარული საკითხების მოსაგვარებლად, მონაწილე სახელმწიფოები თანხმდებიან შემდეგ ზე:

- (3)** - ისინი კვლავ ადასტურებენ, რომ დემოკრატია კანონის უზენაესობის განუყოფელი ელემენტია. ისინი აღიარებენ პლურალიზმის მნიშვნელობას პოლიტიკურ ორგანიზაციებთან მიმართებაში.
- (5)** - ისინი საზეიმოდ აცხადებენ, რომ სამართლიანობის იმ ელემენტთა რიცხვში, რომლებიც აუცილებელია ყველა ადამიანის თანდაყოლილი ღირსებისა და თანასწორი და ხელშეუვალი უფლებების სრულად გამოსახატავად, შედის შემდეგი:
 - (5.1)** - თავისუფალი არჩევნები, რომლებიც ჩატარდება დროის მისაღები შუალედებით ფარული კენჭისყრით, ან ხმის მიცემის ეკვივალენტური თავისუფალი პროცედურის გამოყენებით, ისეთ პირობებში, რომლებიც პრაქტიკულად უზრუნველყოფს ამომრჩეველთა აზრის თავისუფალ გამოხატვას თავიანთი წარმომადგენლების არჩევისას;
 - (5.3)** - მთავრობისა და სახელმწიფო ორგანოების მოვალეობა, შეასრულონ კონსტიტუცია და იმოქმედონ კანონის შესაბამისად;
 - (5.4)** - მკაფიო განსხვავება სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის; კერძოდ, პოლიტიკური პარტიები შერწყმული არ უნდა იყოს სახელმწიფოსთან;
 - (5.9)** - ყველა პირი თანასწორია კანონის წინაშე და ყველას, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, უფლება აქვს თანაბრად იყოს დაცული კანონის მიერ. ამასთან დაკავშირებით, კანონი კრძალავს ნებისმიერ დისკრიმინაციას და ყველა პირს აძლევს თანაბარი და ქმედითი დაცვის გარანტიას ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან ნებისმიერი მიზეზებით;
 - (5.10)** - ყველას ექნება სამართლიანობის ეფექტიანად აღდგენის საშუალება ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, ძირითადი უფლებების პატივისცემის გარანტირებისა და იურიდიული სისტემის სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით;
 - (5.11)** - ადმინისტრაციული გადაწყვეტილება პირის წინააღმდეგ სრულებით გამართლებული უნდა იყოს და, როგორც წესი, უნდა მიუთითებდეს ჩვეულებრივ ხელმისაწვდომ ზომებს;
 - (10)** - კვლავ ადასტურებენ რა თავიანთ ვალდებულებას, ქმედითად უზრუნველყონ ინდივიდუალური პირის უფლება, იცნობდეს და თავის მოქმედებებში ეყრდნობოდეს ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს და ინდივიდუალურად თუ სხვებთან კავშირში აქტიური წვლილი შეიტანოს მათს ხელშეწყობასა და დაცვაში, მონაწილე სახელმწიფოები გამოხატავენ ვალდებულებას:
 - (10.1)** - პატივი სცენ ყველას უფლებას, ინდივიდუალურად თუ სხვებთან ერთად, თავისუფლად ეძიონ, მიიღონ და გადასცენ შეხედულებები და ინფორმაცია ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შესახებ, ამგვარი შეხედულებებისა და ინფორმაციის გავრცელებისა და გამოქვეყნების უფლებათა ჩათვლით;





(10.3) - უზრუნველყონ, რომ ინდივიდუალურ პირებს ნება მიეცეთ ისარგებლონ გაერთიანების უფლებით, ისეთ არასამთავრობო ორგანიზაციათა შექმნის, მათში გაწევრიანებისა და ქმედითი მონაწილეობის მიღების უფლების ჩათვლით, რომლებიც ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დასაცავად და ხელშესაწყობად იღვწიან, პროფესიული კავშირებისა და ადამიანის უფლებათა დამცველი ჯგუფების ჩათვლით;

(10.4) - დართონ ამგვარი ჯგუფებისა და ორგანიზაციების წევრებს დაუბრკოლებლად დაკავშირებისა და ურთიერთობის ნება ანალოგიურ ორგანიზაციებთან მათს ქვეყნებში და მათი ქვეყნების ფარგლებს გარეთ, რათა აწარმოონ მიმოცვლა, კონტაქტები და თანამშრომლობა ამგვარ ჯგუფებთან და ორგანიზაციებთან და მოითხოვონ, მიიღონ და გამოიყენონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის მიზნით ნებაყოფლობითი ფინანსური შეწირულებანი ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდან, როგორც ეს კანონითაა გათვალისწინებული.

(24) - მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ყველა ზემოთ მოყვანილი ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების გამოყენება არ დაექვემდებარება რაიმე შეზღუდვებს, გარდა იმ შეზღუდვებისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და შეესატყვისება მათს ვალდებულებებს საერთაშორისო სამართლის, კერძოდ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტს, და მათს საერთაშორისო ვალდებულებებს, კერძოდ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას. ეს შეზღუდვები გამონაკლისის ხასიათს ატარებს. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ეს შეზღუდვები ბოროტად არ იქნება გამოყენებული და არ იქნება გამოყენებული თვითნებურად, არამედ იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ამ უფლებებით ეფექტიანი სარგებლობა. დემოკრატიულ საზოგადოებაში, უფლებათა და თავისუფლებათა ნებისმიერი შეზღუდვა კავშირში უნდა იყოს გამოყენებული სამართლებრივი ნორმის ერთ-ერთ მიზანთან და მკაცრად პროპორციული უნდა იყოს ამ სამართლებრივი ნორმის დანიშნულებისა.

ბუდაპეშტი, 1994 (დასკვნითი დოკუმენტი, პუნქტი 12)

„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“ გაზრდილ როლს ითამაშებს არჩევნების მონიტორინგში არჩევნებამდე, არჩევნების მსვლელობაში და არჩევნების შემდეგ. ამ კონტექსტში, „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა“ უნდა შეაფასოს მედიის თავისუფლად და დამოუკიდებლად ფუნქციონირების პირობები.

ლისაბონი, 1996 (სამიტის დეკლარაცია, პუნქტი 9)

9. (...) ადამიანური განზომილების მწვავე პრობლემათა შორის, ადამიანის უფლებათა ჯერაც არსებული დარღვევები, როგორცაა (...) არჩევნების გაყალბება (...) კვლავაც საფრთხეს უქმნის სტაბილურობას ევროპის რეგიონში. ჩვენ მოწადინებულნი ვართ, განვაგრძოთ ამ პრობლემათა მოგვარების მცდელობანი.





სტამბული, 1999 (სამიტის დეკლარაცია, პუნქტი 26)

26. იმ პირობებში, როდესაც არჩევნების დიდი რაოდენობა მოგველის, ჩვენ მოწადინებულნი ვართ, რომ ისინი იყოს თავისუფალი და სამართლიანი და შეესაბამებოდეს მშობლიურ პრინციპებსა და ამ ორგანიზაციის წინაშე აღებული ვალდებულებებს. მხოლოდ ამას შეუძლია დემოკრატიული განვითარების მყარი საფუძვლის არსებობის უზრუნველყოფა. ჩვენ ჯეროვნად ვაფასებთ იმ როლს, რომელსაც „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“ ასრულებს, ეხმარება რა ქვეყნებს, შეიმუშაონ ისეთი საარჩევნო კანონმდებლობა, რომელიც შეესაბამება მშობლიურ პრინციპებსა და ამ ორგანიზაციის წინაშე აღებული ვალდებულებებს, და ჩვენ თანახმანი ვართ, დაუყოვნებლივ გავატაროთ შემდგომი ღონისძიებანი „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ მიერ გამოთქმულ არჩევნების შეფასებასთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით. ჩვენ ვაფასებთ „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისისა“ და მშობლიურ საპარლამენტო ასამბლეის მუშაობას – არჩევნებამდე, არჩევნების დროს და არჩევნების შემდეგ – რომელიც კვლავაც უწყობს ხელს დემოკრატიული პროცესის განვითარებას. ჩვენ მოწადინებულნი ვართ, უზრუნველვყოთ ხმის მიცემის სრული უფლება უმცირესობათა წარმომადგენელ პირთათვის და ხელი შევეწყვიტოთ ლტოლვილთა უფლების განხორციელებას, მონაწილეობა მიიღონ მათი წარმომადგენლების ქვეყნებში ჩატარებულ არჩევნებში. ჩვენ პირობას ვდებთ, უზრუნველვყოთ პატიოსანი კონკურენცია კანდიდატებსა და პარტიებს შორის, აგრეთვე მათთვის მედიის ხელმისაწვდომად ქცევისა და თავყრილობის უფლების პატივისცემის მეშვეობით.

სტამბული, 1999 (ევროპის უსაფრთხოების ქარტია, პუნქტი 25)

25. ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს ვალდებულებას, ჩავატაროთ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები თანახმად 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტისა. ჩვენ ვაცნობიერებთ, თუ რა დახმარების აღმოჩენა შეუძლია „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ მონაწილე სახელმწიფოთათვის საარჩევნო კანონმდებლობის შემუშავებისა და რეალიზაციის საქმეში. ამ ვალდებულებათა შესაბამისად, ჩვენს არჩევნებზე მოვიწვევთ დამკვირვებლებს „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისიდან“, მშობლიურ საპარლამენტო ასამბლეიდან, და შესაფერისი დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან, რომელთაც სურვილი აქვთ, დააკვირდნენ ჩვენს საარჩევნო პროცედურებს. ჩვენ თანახმანი ვართ, დაუყოვნებლივ გავატაროთ შემდგომი ღონისძიებანი „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ მიერ გამოთქმულ არჩევნების შეფასებასთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით.



დანართი B

არჩევნების დღის საკონტროლო ანკეტა — ეუთო/„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ მოდელი

ეუთო/„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ არჩევნებზე დაკვირვების მისია		
ანბარიში საარჩევნო უბნის შესახებ		
დამკვირვებელთა გუნდი		
სახელები/ინიციალები	გუნდის ნომერი/სააკრედიტაციო ნომრები	
საარჩევნო უბანი		
საარჩევნო ოლქი	საარჩევნო უბნის სახელწოდება/ნომერი	უბნის ტიპი
ვიზიტის დრო		
გუნდის მისვლა	გუნდის წასვლა	
უბანში რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა		
იმ ამომრჩეველთა რაოდენობა, ვინც ხმა მისცა	(აღნიშნული დროისთვის):	
საარჩევნო უბანზე შესვლამდე		
შეაფასეთ საერთო ატმოსფერო. სასარგებლო იქნება ამომრჩეველთა და სხვა დამსწრეთა მოსმენა. მოიყვანეთ კონკრეტული დეტალები ფორმის მეორე მხარეს.		
ძნელი იყო საარჩევნო უბნის მიგნება?	დ / ა	
უბანი ფიზიკურად ძნელად მისადგომი იყო?	დ / ა	
ხომ არ შეგიმჩნევიათ:		
ამომრჩეველთა დაშინება?	დ / ა	

საერთო მდგელეარება და არეულობა?	დ / ა	
სააგიტაციო პლაკატები და მასალები?	დ / ა	
საარჩევნო აგიტაციის წარმოება?	დ / ა	
საარჩევნო უბნის შიგნით: იქ მყოფი ხალხი, საარჩევნო გარემო მოიყვანეთ კონკრეტული დეტალები ფორმის მეორე მხარეს		
საარჩევნო კომისიის წევრები		
რამდენი?		
რომელი პარტიებიდან?		
პარტიების/კანდიდატების წარმომადგენლები	დ / ა / ავ	რომელი?
ადგილობრივი დამკვირვებლები	დ / ა / ავ	
მედიის წარმომადგენლები		დ / ა / ავ
უშიშროების ძალები		დ / ა / ავ
უფლებამოსილების არქონე პირები		დ / ა / ავ
საარჩევნო უბანი ხალხით გადაჭედული იყო?	დ / ა	
წარმოებდა აგიტაცია უბნის შიგნით?	დ / ა	
უბნის შიგნით იყო სააგიტაციო მასალა?	დ / ა	
ამომრჩეველთათვის გამოფენილი ინფორმაცია სწორი და სრული იყო?	დ / ა	
საარჩევნო უბნის შიგნით: ხმის მიცემის პროცედურები რიგრიგობით შეაფასეთ ხმის მიცემის პროცედურის თითოეული ეტაპი. მოიყვანეთ კონკრეტული დეტალები ფორმის მეორე მხარეს		
პირადობის დამადასტურებელ მოწმობებთან დაკავშირებული პრობლემები?	დ / ა	
რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემები?	დ / ა	
ხელმოწერელი/შეუსვებელი/ბეჭედდაუსმელი ბიულეტენები/დოკუმენტაცია?	დ / ა	
არასაკმარისი ან შეუფერებელი საარჩევნო მასალები?	დ / ა	
არაიზოლირებული საარჩევნო კაბინები?	დ / ა	
ხმის მიცემა საარჩევნო კაბინებს გარეთ?	დ / ა	
კაბინაში ერთდროულად ერთზე მეტი პირი იყო?	დ / ა	
უსინათლო/წერა-კითხვის უცოდინარი ამომრჩევლებისთვის დახმარების აღმოჩენასთან დაკავშირებული პრობლემები?	დ / ა	
საარჩევნო ურნა, რომელიც სათანადოდ არ არის დაღუქული?	დ / ა	
საარჩევნო ურნა კომისიის ხელვალობის არეში არ იმყოფება?	დ / ა	
სხვა პრობლემები?	დ / ა	

ერთი ამომრჩევლის მიღება-გასტუმრებისთვის საჭირო დაახლოებითი დრო		
არის რაიმე კითხვები გადასატან საარჩევნო ურნებთან დაკავშირებით?		
ოჯახური ხმის მიცემის შემჩნეული შემთხვევები მოიყვანეთ კონკრეტული დეტალები ფორმის მეორე მხარეს	დ / ა	
კენჭისყრის ჩაშლის შემთხვევები მოიყვანეთ კონკრეტული დეტალები ფორმის მეორე მხარეს		
კენჭისყრა ხომ არ შეჩერებულა?	დ / ა / ავ	დეტალები?
თქვენთვის ნაცნობები დარღვევები ჩაწერეთ აქ ხმის მიცემისას და საარჩევნო კამპანიის წარმოებისას მომხდარი ნებისმიერი იმ დარღვევების დეტალები, რომელთა შესახებაც თქვენთვის გახდა ცნობილი, და იმის დეტალებიც, თუ ვინ გაცნობათ ამ დარღვევათა შესახებ. გამოკითხეთ პარტიათა წარმომადგენლები, თავად ამომრჩევლები, ადგილობრივი დამკვირვებლები და საარჩევნო კომისიის წევრები. აღნიშნეთ აგრეთვე, შექვლით თუ არა რომელიმე ამ ცნობის გადამოწმება.		
მნიშვნელოვანი რჩევა მანქანით მგზავრობისას დრო დაუთმეთ საარჩევნო უბნის შესახებ თქვენი შთაბეჭდილებების განხილვას და ამ ფორმის სრულად შევსებას. კერძოდ, ჩაწერეთ დეტალები ყოველივე თქვენ მიერ ნანახის და გაგონილისა, რაც თქვენი აზრით დარღვევას წარმოადგენდა, ან სხვაგვარად იყო საყურადღებო.		
დეტალები და კომენტარები:		
საერთო შთაბეჭდილება		
მთლიანობაში, კენჭისყრის ჩატარება ამ საარჩევნო უბანზე იყო:		
ძალიან ცუდი ()	ცუდი ()	კარგი ()

დანართი C

არჩევნებთან დაკავშირებული გამოცემები

Handbook for Monitoring Women's Participation in Elections, ვარშავა, ეუთო/„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“, 2004.

Handbook for Domestic Election Observers, ვარშავა, ეუთო/„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“, 2003.

Existing Commitments for Democratic Elections in OSCE Participating States, ვარშავა, ეუთო/„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“, 2003.

Guidelines for Reviewing a Legal Framework for Elections, ვარშავა, ეუთო/„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“, 2001.

Guidelines to Assist National Minority Participation in the Electoral Process, ვარშავა, ეუთო/„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“, 2001.

Resolving Election Disputes in the OSCE Area: Towards a Standard Election Dispute Monitoring System, ვარშავა, ეუთო/„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“, 2000.





ეუთო/„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ შესახებ

„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“ ეუთო-ს მთავარი დაწესებულებაა, რომლის დანიშნულებაცაა დაეხმაროს მონაწილე სახელმწიფოებს, რათა მათ „უზრუნველყონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სრული პატივისცემა, დაიცვან კანონის უზენაესობის პრინციპი, ხელი შეუწყონ დემოკრატიის პრინციპების გაერცვლებას და (...) ააშენონ, გააძლიერონ და დაიცვან დემოკრატიული ინსტიტუტები, და აგრეთვე ხელი შეუწყონ საზოგადოებაში ტოლერანტულობის დამკვიდრებას“ (1990 წლის ჰელსინკის დოკუმენტი).

ვარშავაში (პოლონეთი) ბაზირებული „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“ 1990 წლის პარიზის სამიტზე დაარსდა როგორც „თავისუფალი არჩევნების ოფისი“, ხოლო ფუნქციონირება 1991 წლის მაისში დაიწყო. ერთი წლის შემდეგ ოფისს სახელი შეეცვალა, რათა ასახულიყო მისი გაფართოებული მანდატი, რომელშიც ადამიანის უფლებები და დემოკრატიზაციაც შევიდა. დღეს მისი შტატი 120-ზე მეტ თანამშრომელს ითვლის.

„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“ ევროპის წამყვანი დაწესებულებაა **არჩევნებზე დაკვირვების** დარგში. ყოველწლიურად იგი ორგანიზებასა და კოორდინირებას უკეთებს ათასობით დამკვირვებლისაგან შემდგარი მრავალი სადამკვირვებლო მისიის განთავსებას, რომლებიც აფასებენ, შეესაბამება თუ არა ეუთო-ს ზონაში ჩატარებული არჩევნები ეროვნულ კანონმდებლობას და საერთაშორისო სტანდარტებს. მისი უნიკალური მეთოდოლოგია საარჩევნო პროცესის ელემენტების დრმა ანალიზის შესაძლებლობას იძლევა. ხელშეწყობის პროექტების განხორციელებით „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“ მონაწილე სახელმწიფოებს მათი საარჩევნო სისტემის გაუმჯობესებაში ეხმარება.

„ოფისის“ **დემოკრატიზაციასთან** დაკავშირებული მოღვაწეობის მიზანია მონაწილე სახელმწიფოთათვის ადამიანურ განზომილებასთან მიმართებით მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში ხელის შეწყობა გამოცდილების გაზიარებითა და პრაქტიკული მხარდაჭერის აღმონებით დემოკრატიული ინსტიტუტების გასაძლიერებლად უფრო გრძელვადიანი პროგრამების მეშვეობით, რომელთა დანიშნულებაც კანონის უზენაესობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული მმართველობის გაძლიერებაა.

„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“ ხელს უწყობს **ადამიანის უფლებათა** დაცვას ტექნიკური დახმარების პროექტებისა და ადამიანურ განზომილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ტრენინგების მეშვეობით. იგი აწარმოებს კვლევას და ანგარიშებს ამზადებს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემებზე. გარდა ამისა, „ოფისი“ ყოველწლიურად აწყოებს რამდენიმე კრებას, რომლებზეც განიხილება მონაწილე სახელმწიფოთა მიერ ადამიანურ განზომილებასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებების რეალიზაცია. თავისი ანტიტერორისტული მოღვაწეობის ფარგლებში, „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და





ადამიანის უფლებათა ოფისი“ მუშაობს ადამიანური განზომილების საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების გათვითცნობიერებულობის გაზრდაზე და ახორციელებს პროექტებს, რომლებიც ტერორიზმის წარმოქმნის ფაქტორების აღმოფხვრისადმი ფუნდამენტურ მიდგომას წარმოადგენს.

„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ **ტოლერანტულობისა და დისკრიმინაციაზე უარის თქმის** პროგრამა ეხმარება მონაწილე სახელმწიფოებს მათ მიერ ეშთო-ს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებაში და მათ მცდელობათა გაძლიერებაში, რეაგირება მოახდინონ სიძულვილის საფუძველზე ჩადენილ დანაშაულებზე და არატოლერანტულობის ძალადობრივ გამოვლინებებზე და შეებრძოლონ მათ. პროგრამის მიზანია აგრეთვე სიძულვილით გამოწვეულ დანაშაულებზე და ინციდენტებზე სამოქალაქო საზოგადოების რეაგირების უნარის გაძლიერება.

„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი“ კონსულტაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს ბოშებთან დაკავშირებული მათი პოლიტიკის თაობაზე. იგი ხელს უწყობს მატერიალური ბაზისა და ურთიერთკავშირის ქსელების შექმნას ბოშათა თემებს შორის და ცდილობს წაახადისოს ბოშების მონაწილეობა პოლიტიკის განმსახვრედ ორგანოებში. ოფისი აგრეთვე წარმოადგენს ბოშებთან დაკავშირებული საჭირობოროტო საკითხების თაობაზე ინფორმაციის გაცვლის ფორუმს ეროვნულ და საერთაშორისო მოდვაწუთა შორის.

„დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ ყველა საქმიანობა ხორციელდება მჭიდრო კოორდინაციითა და თანამშრომლობით ეშთო-ს დაწესებულებებთან და სავველ სამუშაოებთან, ისევე როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

დამატებითი ინფორმაციის ნახვა შეიძლება „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ ვებ-საიტზე (www.osce.org/odihr).







